პალიტრა მედია

# ლელო

გამოიცემა 1934 წლის 13 აპრილიდან

9 თებერვალი **სამშაბათი** 2010

№031(13019) ფასი 60 თეთრი

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ზვიად სიჭინავა

## ქეცბაიამ გვითხრა, თუ შედეგები არ გაუმჯობესდა, პოსტსაც დავტოვებ და საქართველოს პასპორტსაც



პრესკონფერენცია » გვერდი 3

## განათებული სენსაცია

### ზესტაფონს პროჟექტორებმა ვერ უშველეს



» გვერდი 2

## დინამოს გაქლიერება საქმით დაამტკიცა

მათე ვაწაძემ ანგარიში გახსნა

ალექსანდრე კოტორაშვილის ფოტო

## კიდევ ერთი ქართველი არჩევანის წინაშე

### რას გადაწყვეტს ვოლფსბურგელი გოგია?



» გვერდი 5



## მსოფლიოს ჩემპიონატის მონაწილე თბილისის დინამოში

### კრის ჯეიმსი ფულჰემიდან დინამომდე

» გვერდი 5

## სამწვრთნელო რყევები



### ლაციო ინგრევა, ბალარდინი ჩემოდნებზე... მალეზანიც

» გვერდი 6

საქართველოს პარლამენტის



აკირემი უტევს გაგრას

ალექსანდრე კოტორაშვილის ფოტო

# დინამომ გაძლიერება საქმით დაამტკიცა

05.02. რუსთავი. ფოლადი
170 მაყურებელი

| | |
|---|---|
| დინამო | 4 |
| გაგრა | 1 |

1:0 ვანაძე (7. კახელიშვილის პასით), 1:1 გაბედავა (43), 2:1 ვანაძე (49. შ. კაშიას პასით), 3:1 შ. კაშია (56. კოშკაძის პასით), 4:1 ჩიკვილაძე (85. ედნილსონის პასით)

დინამო: ლორია - თომაშვილი, გ. კაშია, კრსტესკი, ჩიკვილაძე - შ. კაშია, ედნილსონი, კოშკაძე (87. ნემსაძე), კახელიშვილი - აკირემი (60. ფირცხალავა), ვანაძე (75. ჯუისი).

*სათადარიგოები: შეყრილაძე, ჩადუნელი, კაკუბავა, ლექვთაძე*

გაგრა: თევდორაძე - ჩენსუ (10. ტყეშელაშვილი), ქორთუა, თ. შალიკაშვილი, ნ. ჯიშკარიანი - ნ. კვასხვაძე (65. პავლიაშვილი), ოქრიაშვილი, და სილვა, ზ. ჩხეტიანი - გულორდავა (61. გაბუნია) - გაბედავა.

*სათადარიგოები: სტურუა, გიგაური, კიკნაძე, ნოშ. ჯიშკარიანი*

გაფრთხილება: კახელიშვილი (55), შალიკაშვილი (62)

არბიტრი: ლ. სილაგავა

თამამად შეიძლება ითქვას, რომ ქვეყნის ყველაზე ტიტულოვანმა გუნდმა ზამთრის მოსამზადებელი შეკრება და სატრანსფერო პერიოდი ნაყოფიერად გამოიყენა. პაუზის შემდეგ სასტარტო ტურში თამაში ყველას უჭირს, მაგრამ **კახა კაჭარავას** გუნდი გუშინ კარგად წარმოჩნდა. რა თქმა უნდა, „დინამოს“ უკეთაც შეუძლია თამაში და ეს მომდევნო მატჩებში გამოჩნდება, სტარტისთვის კი გუშინ მართლაც კარგი თამაში ვიხილეთ.

სანამ უშუალოდ მატჩის მსვლელობაზე გადავალთ, რამდენიმე მომენტზე გავამახვილებთ თქვენს ყურადღებას. პირველ რიგში, აღსანიშნავია, რომ „დინამო“ იმ არენას დაუბრუნდა, რომელზეც ჯერ კიდევ წინა საუკუნიდან მოყოლებული, ქართველ გულშემატკივარს არაერთი ბედნიერი წუთი აჩუქა. მეორეც - გუშინ „დინამოში“ ოფიციალური დებიუტი ჰქონდათ მაკედონიელ **ალექსანდრ კრსტესკის,** მარცხენა მცველ **თენგიზ ჩიკვილაძესა** და მარცხენა ნახევარმცველ **გიორგი კახელიშვილს.** და დებიუტიც ასეთი უნდა - კახელიშვილმა საგოლე პასი გააკეთა, ჩიკვილაძის გოლით კი საბოლოო ანგარიში დაფიქსირდა.

დებიუტანტების ნაკლებობას არც „გაგრა“ უჩიოდა. მარჯვენა მცველ **არნო ჩენსუს** (ფორვარდ **ერიკ რომეო ჩასემის** ძმა) დებიუტი ძალზე ხანმოკლე გამოდგა - მე-10 წუთზე ტრავმა მიიღო და თამაშის გაგრძელება ველარ შეძლო. ასევე, სტუმართა ძირითადში ვიხილეთ **ზვიად ჩხეტიანი,** „ზესტაფონის“ ყოფილი ნახევარმცველი **ნიკა კვასხვაძე** და **ნიკოლოზ ჯიშკარიანი.** პლუს ამას, 8-თვიანი პაუზის შემდეგ მოედანს დაუბრუნდა ბრაზილიელი ნახევარმცველი **ანტონიო და სილვა მოისესი.**

...და მესამე საგულისხმო ფაქტიც - ამ შეხვედრაში არ უთამაშია „დინამოს“ ერთ-ერთ ლიდერ **გიორგი მერებაშვილს.** გუნდის მთავარი მწვრთნელის **კახა კაჭარავას** განმარტებით, მერებაშვილი კვირის ვარჯიშზე მსუბუქად დაშავდა და ტრავმა რომ არ გამიზეზებოდა, მისი დასვენება გადაწყვიტა.

რაც შეეხება უშუალოდ მატჩის მსვლელობას. მოედანს მთლიანად მასპინძლები აკონტროლებდნენ. თუმცა პირველი ხიფათი სტუმრებმა შექმნეს - თბილისელთა მეკარე **გიორგი ლორიამ** იოლად განმუხტა ვითარება. მასპინძელთა პირველივე შეტევა სახიფათო აღმოჩნდა. **შოთა კაშიას** პასით **ჟორჟ აკირემის** ანგარიშის გახსნა შეეძლო, მაგრამ გაგრელთა გოლკიპერმა **რევაზ თევდორაძემ** იმარჯვა. თუმცა მე-7 წუთზე, კახელიშვილის გადაცემისას, სტუმართა კაპიტანი **მათე ვანაძესთან** ვერაფერს გახდა და სწრაფი გოლიც ვიხილეთ - 1:0.

7 წუთში მათეს დუბლის შესრულება შეეძლო - მან აკირემის პასი მიიღო, მაგრამ მცირედით ააცილა მიზანს. 4 წუთის შემდეგ თავად აკირემის შეეძლო ანგარიშის გაზრდა, მაგრამ მასაც უმტყუნა მიზანმა. მერე თითოჯერ **შოთა კაშიამ** და **ალეკო კოშკაძემ** დაასაქმეს თევდორაძე. მატჩის ბოლოს მასპინძლები მოდუნდნენ, რითიც კარგად ისარგებლეს სტუმრებმა და წონასწორობა აღადგინეს. გაგრელებმა პირველივე რეალური საგოლე მომენტი გამოიყენეს - 43-ე წუთზე თავი **გიორგი გაბედავამ** გამოიჩინა - 1:1. დინამოელებს შესვენებამდე შეეძლოთ დაწინაურება, მაგრამ აკირემის თავურიც არაზუსტი აღმოჩნდა.

„დინამომ“ მეორე ტაიმიც სწრაფი გოლით დაიწყო. 49-ე წუთზე შოთა კაშიას ჩინებული პასი ვანაძემ შეირგო და დუბლი გაიფორმა - 2:1. შვიდ წუთში უფროსმა კაშიამ უკვე თავად გაიტანა - 56-ე წუთზე კოშკაძემ ის მეკარესთან პირისპირ გაიყვანა, შოთამ წინ გამოსულ თევდორაძეს დაასწრო და ბურთი თავზე გადაუგდო - 3:1.

მასპინძლები ორბურთიან ფორას არ დასჯერდნენ და სხვაობის გაზრდა სცადეს. თუმცა კოშკაძის, ჩიკვილაძისა და ვანაძის მცდელობებს შედეგი არ მოჰყოლია. სტუმართა იერიშებს სიმწვავე და ინტენსივობა აკლდა. ერთი მომენტი იყო, როცა გაბედავა დაემუქრა მასპინძლებს, მაგრამ მის ძლიერ დარტყმას მეკარე ლორია გადაეფარა. მერე მისმა ვიზავიმ აილო კოშკაძის მიერ შესრულებული საჯარიმო დარტყმა, ბოლოს კი ერთი გოლიც ვნახეთ - **ედნილსონის** მიერ ჩაწოდებულ საჯარიმოს მცველი ჩიკვილაძე თავურით გამოეხმაურა და საბოლოო ანგარიში დააფიქსირა - 4:1.

### მატჩის შემდეგ

**კახა კარანაძე (გაგრა):** „პირველ ტაიმში შედარებით ნორმალურად ვითამაშეთ, თუმცა იმავეს ვერ ვიტყოდი მეორე ნახევარზე. ორი დასანანი შეცდომა დავუშვით, რაც ძვირად დაგვიჯდა. ასეთი შეცდომა, თანაც „დინამოსთან“, და მით უმეტეს გასვლით მატჩში, დასჯადია და სამწუხაროდ ასეც მოხდა. მეორე ტაიმში გაშვებულმა სწრაფმა გოლებმა ჩვენი გუნდი ფსიქოლოგიურადაც გატეხა. ფეხბურთელებმა მობილიზება და თამაშის აწყობა ველარ შეძლეს და ეს მატჩის საბოლოო შედეგშიც აისახა“.

**კახა კაჭარავა (დინამო):** "პირველ რიგში, მინდა მადლობა გადავუხადო ეროვნული სტადიონის ხელმძღვანელობას. მათ ყველაფერი გააკეთეს საიმისოდ, რათა ეს შეხვედრა ამ არენაზე გაგვემართა. სწრაფი გოლის შემდეგ ჩემმა ფეხბურთელებმა უფრო მეტად ირწმუნეს საკუთარი ძალების, რაც კიდევ სამ გოლში აისახა. სასტარტო ტურში ყველა გუნდს უჭირს თამაში, მაგრამ „დინამომ“ დღეს კარგი ფეხბურთი აჩვენა. ალბათ, ყველა დამეთანხმებით, რომ დღეს დამსახურებულადაც მოვიგეთ. მერებაშვილი? კვირას დილის ვარჯიშზე მსუბუქად დაშავდა. ტრავმის გართულებას მოვერიდეთ და ამიტომაც არ ვათამაშეთ...ნამდვილი მიზეზი? დიახ, სწორედ ეს არის ნამდვილი მიზეზი - მერებაშვილი მსუბუქად დაშავდა და მის ჯანმრთელობას გავუფრთხილდით“.

**დავით ცაბაძე**

# განათებული სენსაცია

08.02. ზესტაფონი. ცენტრალური
3 000 მაყურებელი

| | |
|---|---|
| ზესტაფონი | 1 |
| ლოკომოტივი | 1 |

1:0 ხიდეშელი (12. გრიგალაშვილის პასით), 1:1 მეტრეველი (33)

ზესტაფონი: კვასხვაძე - ბენაშვილი, კობახიძე (63. გამეზარდაშვილი), ხიდეშელი, ელიავა - აფციაური, დაუშვილი, ძარია (55. კორღალიძე), გრიგალაშვილი (56. მიქაბერიძე) - დვალი, გელაშვილი.

*სათადარიგოები: მამალაძე, მაკარიანი, ცხადაია, წინამძღვრიშვილი*

ლოკომოტივი: ქვილითაია - გუშარაშვილი, ხატიაშვილი, ლ. ჩაგელიშვილი, სარალიძე - დიაკვნიშვილი, წულაძე (73. კაკულია), მახარაძე (44. ქებაძე) გ. ჭელიძე (78. შენგელია) -ბ. გოცირიძე, მეტრეველი.

*სათადარიგოები: გვენცაძე, ვეკუა, დ. ჩაგელიშვილი*

გაფრთხილება: კობახიძე (19), კაკულია (75), მეტრეველი (84)

არბიტრი: ა. ნონიკაშვილი

ზესტაფონში ჩემპიონატის განახლებას დიდი ინტერესით ელოდნენ. იმერულმა გუნდმა ნაყოფიერი უცხოური შეკრება გაიარა და გულშემატკივრები დარწმუნებული იყვნენ, რომ მათი საყვარელი გუნდი აუტსაიდერ „ლოკომოტივთან“ „მუშა“ 3 ქულას მოიპოვებდა... თუმცა ბევრს პირველი ტურის სენსაციაც ახსენდებოდა, როცა თბილისელებმა „ზესტაფონს“ 2 ქულა დააკარგვინეს... „ლოკომოტივმა“ სენსაცია გუშინაც მოახდინა და ჩემპიონობისთვის მებრძოლ „ზესტაფონს“ ჰაერივით საჭირო ქულები არ დაანება, რამაც ქომაგებს ხასიათი ძალიან წაუხდინა.

არადა, მატჩამდე ყველა საზეიმო განწყობაზე იყო. ზესტაფონის არენაზე ხომ პირველად უნდა გამართულიყო „საღამოს მატჩი“ და ხალხს გუნდის თამაშთან ერთად ახალდამონტაჟებული განათების „საქმეში ნახვაც“ აინტერესებდა... საფეხბურთო განწყობა ზესტაფონში დილიდანვე იგრძნობოდა. გულშემატკივრებმა ავტოკოლონებით ქალაქში მარშიც მოაწყვეს და ქომაგებს სტადიონზე მისვლისკენ მოუწოდეს. სუსხიანი ამინდის მიუხედავად, სტადიონზე 3 000-ზე მეტი გულშემატკივარი მივიდა.

ფანების მხარდაჭერით გაგულისებულმა ზესტაფონელებმა მატჩი მწვავე შეტევებით დაიწყეს. ჯერ **გრიგალაშვილი** შეიჭრა სტუმართა საჯარიმოში და სახიფათოდ დაარტყა, თუმცა „ლოკო“ მეკარე **ქვილითაიამ** გადაარჩინა. მასპინძელთა შეტევებმა მალე შედეგიც გამოიღო. მე-12 წუთზე იმავე გრიგალაშვილმა კუთხური მოაწოდა და **ხიდეშელმა** თავური დარტყმით დალაშქრა ქვილითაიას კარი.

ამის შემდეგ **დვალს** მიეცა გატანის შანსი, თუმცა გუშინდელ იუბილარს მეკარე ქვილითაიამ აუღო. შეტევებში გართულ ზესტაფონელებს 33-ე წუთზე თბილისელთა იშვიათი შეტევა გამოეპარათ. ლოკომოტიველთა საჯარიმო დარტყმის შემდეგ მასპინძლებმა დიდხანს ვერ გამოიტანეს ბურთი საკუთარი საჯარიმოდან, ზესტაფონელი მცველების შეცდომით **მეტრეველმა** ისარგებლა და ანგარიში გაათანაბრა - 1:1.

გაშვებული გოლის შემდეგ „ზესტაფონი“ კვლავ გააქტიურდა, თუმცა მასპინძლები ძირითადად ქაოტურად უტევდნენ და მათ შეტევებს „ლოკომოტივისთვის“ განსაკუთრებული ხიფათი არ მოჰქონდა. **გია გეგუჩაძის** შეგირდებს ჰქონდათ რამდენიმე საგოლე მომენტი, თუმცა გუშინდელ მატჩში კვლავ ბრწყინვალედ ითამაშა ქვილითაიამ. მან ჯერ დვალის სახიფათო დარტყმა გააუვნებელყო, ხოლო შემდეგ **გელაშვილის** რთული დარტყმულიც მოიგერია.

მეორე ტაიმში მოედანზე გუნდის ორი ახალწვეული - **დავით გამეზარდაშვილი** და **გიორგი მიქაბერიძე** შევიდნენ. შეტევითი პოტენციალის გასაძლიერებლად გეგუჩაძემ მოედანზე **კორღალიძეც** შეუშვა, თუმცა მატჩის სცენარი არ შეცვლილა. ზესტაფონელებს კომბინაციური თამაში არ გამოსდიოდათ და დაცვაში გამაგრებული „ლოკომოტივის“ გატეხვას კვლავ ქაოტური შეტევებით ცდილობდნენ. აღსანიშნავია გამეზარდაშვილის სახიფათო თავური, თუმცა ვერც მან და ვერც მისმა თანაგუნდელებმა ქვილითაიას კარის აღება ველარ მოახერხეს.

### მატჩის შემდეგ

**გია გეგუჩაძე (ზესტაფონი):** „ჩემი გუნდის თამაშით და შედეგით ძალიან უკმაყოფილო ვარ. დღეს“ზესტაფონმა“ ერთ-ერთი უსუსტესი თამაში ჩაატარა. ჩვენი შესრულებით ერთი გააზრებული კომბინაციაც კი არ მინახავს. მიზეზების დაკონკრეტებისგან თავს შევიკავებ. ალბათ, მეტოქის შეუფასებლობასაც ჰქონდა ადგილი. ეს ჩემი ბრალიც არის და პასუხისმგებლობას არ გავურბივარ. რაც შეეხება გუნდის შეთამაშებას, ამ მხრივ პრობლემა არ უნდა გვქონოდა, რადგან უცხოური შეკრება გავიარეთ. გუშინდელ მატჩში გამეზარდაშვილი და მიქაბერიძეც გამოვიყენეთ, რომლებიც შეკრებაზე გუნდთან ერთად არ ყოფილან, თუმცა კიდევ ვიმეორებ - „ლოკომოტივთან“ ქულების დაკარგვის მთავარი მიზეზი შეუთამაშებლობა არ არის. სამწუხაროა, რომ ასე სუსტად ვითამაშეთ და მნიშვნელოვანი ქულები დავკარგეთ“.

**დავით პოხრეიძე**
ზესტაფონიდან



გია გეგუჩაძე პასუხისმგებლობას არ გაურბის

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ოლიმპი | 18 | 14 | 3 | 1 | 42-13 | 45 |
| 2. ზესტაფონი | 19 | 11 | 6 | 2 | 32-16 | 39 |
| 3. დინამო | 19 | 10 | 5 | 4 | 33-12 | 35 |
| 4. ვიტ ჯორჯია | 18 | 9 | 6 | 3 | 26-18 | 33 |
| 5. სპარტაკი | 19 | 7 | 5 | 7 | 26-30 | 26 |
| 6. სამტრედია | 18 | 6 | 4 | 8 | 24-35 | 22 |
| 7. სიონი | 19 | 3 | 8 | 9 | 12-26 | 17 |
| 8. გაგრა | 19 | 3 | 5 | 12 | 19-34 | 14 |
| 9. ბაია | 18 | 3 | 3 | 12 | 15-27 | 12 |
| 10. ლოკომოტივი | 19 | 1 | 7 | 11 | 7-24 | 10 |

### ბომბარდირები

| | |
|---|---|
| აკინო (ოლიმპი) | 18 |
| გელაშვილი (ზესტაფონი) | 13 |
| კვარაცხელია (ვიტ ჯორჯია) | 11 |

### მომდევნო ტური

**12 თებერვალი, პარასკევი**

სპარტაკი-ბაია
სიონი-დინამო
გაგრა-ვიტ ჯორჯია

**13 თებერვალი, შაბათი**

სამტრედია-ზესტაფონი
ლოკომოტივი-ოლიმპი

ლელო
დამფუძნებელი და გამომცემელი
შპს გამომცემლობა ლელო
გამოიცემა ყოველდღე, გარდა კვირისა

მთავარი რედაქტორი თენგიზ გაჩეჩილაძე
მთავარი რედაქტორის მოადგილე პაატა გელაშვილი; ტექნიკური ჯგუფის ხელმძღვანელი მიხეილ ჯაში; ფოტო: ალექსანდრე კოტორაშვილი.
1934 წლიდან გაზეთს ხელმძღვანელობდა სარედაქციო კოლეგია. „ლელოს“ მთავარი რედაქტორები: მიხეილ კაკაბაძე (1949-52, 1964-76), ერემო მახათაძე (1952-53), ირაკლი უგულავა (1953-64), ანზორ ბასილაია (1976-83), არჩილ გოგელია (1984-85), თენგიზ გაჩეჩილაძე (1985-დან).
თქვენს ხელთაა უძველესი და მდიდარი ტრადიციის გაზეთი. გსურთ "ლელო" უფრო უკეთესი? მოგვწერეთ, რა მოგწონთ, რა არ მოგწონთ, რას ისურვებდით... ელექტრონული ფოსტა lelo@palitra.ge
მისამართი: იოსებიძის, 49. ტელეფონები: 42 32 73, 899 55 48 97 (მთ. რედაქტორი); ფაქსი: +995. 32 38 08 63; ელფოსტა: leloltd@gmail.com; ინდექსი 66435 INDEX. რეკლამა: 37 78 07
რედაქციასთან შეუთანხმებლად გაზეთის კუთვნილი მასალებისა და ფოტოების სხვა გამოცემებში და ელექტრონულ საშუალებებში გამოქვეყნება აკრძალულია

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ქართული ფეხბურთი

მოსალოდნელი ტრანსფერი

# ზენიტი ვერ იქნება კალაძის ზენიტი, მაგრამ...

**კახა კალაძის** შესაძლო ტრანსფერის გარშემო სპეკულაციებს ბოლო არ უჩანს. გასაკვირი არ არის, რომ საქართველოს ნაკრების კაპიტანი მილანური ყოფით უკმაყოფილო იყოს. **ლეონარდოს** ხელში მას მხოლოდ სათასო მატჩებში უწევს თამაში. თუმცა კალაძე მოედანზე ვერ ვნახეთ ვერც კვირას, როცა „მილანი" ბოლონიაში სტუმრობდა (0:0), მით უფრო, რომ არ უთამაშია **ჯუზეპე ფავალისაც**.

ახლო მომავალში იტალიური ვებგვერდები სიტუაციის გართულებას წინასწარმეტყველებენ. საქმე ისაა, რომ ტრავმის შემდეგ მწყობრში ბრუნდება **დანიელე ბონერა**, რაც კალაძეს კიდევ უფრო დააშორებს ძირითად შემადგენლობას.

ჰოდა, ამიტომაც ვამბობთ, რომ გასაკვირი არ უნდა იყოს კალაძის გადასვლა რუსეთში, რაზეც ბოლო დროს ინტენსიურად ლაპარაკობენ. ამას წინათ ვნერდით კიდეც, რომ ყაზანის „რუბინი" (რუსეთის ჩემპიონი) მზად არის, საქართველოს ნაკრების კაპიტანში 8 მილიონი ევრო გაიღოს. გუშინ კი ახალ ვარიანტზეც ალაპარაკდნენ - სანკტ პეტერბურგის „ზენიტი", რომლის მწვრთნელი **ლუჩანო სპალეტი** კალაძის შესაძლებლობებს კარგად იცნობს და სათანადოდაც აფასებს.

რუსულ კლუბებს სატრანსფერო პერიოდი მარტის შუა რიცხვებამდე აქვთ. ახლა ისაა საქმე, რას გადაწყვეტს თავად კალაძე, რომელსაც „მილანთან" კონტრაქტი 2011 წლის ივნისის ბოლოს უმთავრდება, და მეორე - „როსონერის" პოზიცია, რომელიც ყოველთვის ეწინააღმდეგებოდა ქართველი მცველის გასხვისებას.

**დავით ცაბაძე**



კახა კალაძე

პრესკონფერენცია

## ზვიად სიჭინავა:

# ქეცბაიამ გვითხრა, თუ შედეგები არ გაუმჯობესდა, პოსტსაც დავტოვებ და საქართველოს პასპორტსაც

## ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტის აზრით, საქართველოს ნაკრებს მეორე ადგილზე გასვლის შანსი აქვს

ევროპის 2012 წლის ჩემპიონატის საკვალიფიკაციო ეტაპის ვარშავაში ჩატარებული წილისყრის შემდეგ სამშობლოში დაბრუნებული ჩვენი ფედერაციის ხელმძღვანელობა მასმედიას შეხვდა. ფედერაციის პრეზიდენტ ზვიად სიჭინავასა და გენერალურ მდივან რევაზ არველაძის პრესკონფერენცია გუშინ ნაშუადღევს სპორტისა და ახალგაზრდობის დეპარტამენტის სააქტო დარბაზში გაიმართა. რა თქმა უნდა, მთავარი თემა ეროვნული ნაკრები და ევრო 2012-ის წილისყრა იყო და კითხვებიც უმთავრესად ამ თემას ეხებოდა.

**- რამდენად კმაყოფილი ხართ ვარშავაში ჩატარებული წილისყრის შედეგებით?**

ზვიად სიჭინავა: - უკმაყოფილო ნამდვილად არ ვარ. ჯგუფში გამოკვეთილი ლიდერი არ გვყავს, მალტის გარდა, დანარჩენი 5 გუნდი მეტ-ნაკლებად თანაბარი სიძლიერისაა. ერთი სიტყვით, ამ ჯგუფში, პირველ ხუთეულში ყველასთან შეიძლება ბრძოლა და შანსებიც თანაბარია... ეროვნული ნაკრების თავკაცმა თემურ ქეცბაიამ მე და რევაზ არველაძეს გვითხრა - თუ ამ საკვალიფიკაციო ეტაპის ბოლოს ჩვენს ნაკრებს წინა შესარჩევზე უკეთესი შედეგი არ ექნება, მაშინ პოსტსაც დავტოვებ და საქართველოს მოქალაქის პასპორტსაც. მე რომ იგივე ვთქვა, არ გამოვა, რადგან ევროპის ჩემპიონატის საკვალიფიკაციო ეტაპი ოქტომბერში დასრულდება, ფედერაციის პრეზიდენტად ჩემი ვადა კი მანამდე ინურება და არჩევნები იქნება. ამიტომ ასე ვიტყოდი, თუ იმაზე კარგი შედეგები არ გვექნება, ვიდრე ბოლოს ჩატარებულ საკვალიფიკაციო ეტაპზე, მაშინ მეც დავთმობ საქართველოს მოქალაქის პასპორტს. ისევ ჯგუფის მეტოქეებს დავუბრუნდეთ... ყველა გუნდთან რთული მატჩები გველის. თუმცა ისიც გასათვალისწინებელია, რომ მეტოქეები ერთმანეთთან მატჩებში ქულებს დაკარგავენ. არის შანსი ამ ჯგუფში მეორე ადგილზე გავიდეთ, მაგრამ საამისოდ დიდი ბრძოლა და ყველა მატჩში მაქსიმალური კონცენტრაცია გვჭირდება. თუ ამას შევძლებთ, მაშინ შედეგიც გვექნება.

**- ამხანაგური მატჩების ორგანიზებისთვის, ვარშავაში მოლაპარაკებები ხომ არ გაგიმართავთ?**

ზ. ს. - 3 მარტის შემდეგ, ამხანაგური მატჩის გასამართავად ფიფას მიერ გამოყოფილი თარიღი აგვისტოშია. 11 აგვისტოს მოლდოვა ფეხბურთის 100 და ფედერაციის დაარსების 20 წლისთავს აღნიშნავს. ჩვენ თანახმა ვართ, მოლდოვას ნაკრებთან კიშინიოვში ამხანაგური მატჩი გავმართოთ. ამ საკითხზე მოლდოველებისგან საბოლოო პასუხს ველოდებით.

**- შესარჩევ ციკლამდე აგვისტოში ბოლო ამხანაგური თამაში გველის. ეს ფაქტობრივად გენერალური რეპეტიცია იქნება. ჯგუფის კალენდარი მარტში გაირკვევა და გვეცოდინება, სასტარტო ტურში ვის ვეთამაშებით. ალბათ უპრიანი იქნება პირველი მეტოქის სტილში მოთამაშე გუნდთან ჩავატაროთ აგვისტოს ამხანაგური შეხვედრა...**

რევაზ არველაძე: - მატჩების განრიგის დადგენამდე თითქმის თვეა, უფრო მეტი დროა აგვისტომდე. ასე რომ, დროში ნამდვილად არ „ვიწვებით". ამ საკითხზე მიდის მუშაობა და ვნახოთ.

**- აგვისტოს ამხანაგური მატჩისთვის სხვა რომელ ქვეყნებთან მიდის მოლაპარაკებები?**

ზ. ს. - ირლანდიამ დუბლინში თამაში შემოგვთავაზა, ბელარუსი მზადაა ჩვენთან სათამაშოდ... ვმუშაობთ ამ საკითხზე და ვნახოთ, როცა გადაწყდება, ყველა გაიგებთ.

**- ჯგუფის კალენდარზე რატომ მაინცდამაინც ათენშია შეხვედრა?**

- თავდაპირველად ისრაელმა გამოთქვა სურვილი, ჩვენთან შევიკრიბოთო, მერე მალტამ და საბერძნეთმაც იგივე წინადადება წამოაყენეს. საბოლოოდ, ათენზე შევთანხმდით, ტერიტორიულად ყველასათვის მისაღები ეს ვარიანტი იყო.

**- აპრობირებული ვარიანტია, ჯგუფის სათამაშო კალენდრის შემუშავებისას რამდენიმე ქვეყანა ალიანსს ქმნის და რათა მათთვის სასურველი ვარიანტი გაიტანონ. მსგავსს ხომ არ აპირებთ და რომელ ქვეყანასთან?**

რ. ა. - არა მგონია, ეს ვარიანტი ჩვენს ჯგუფში გამოვიდეს. ჩვენი ვარიანტი დაცვასა და გატანას ათენში ყველანაირად შევეცდებით. მატჩების განრიგის შესათანხმებლად 7-8 მარტი გვაქვს დაგეგმილი. თუ არადა, 9 მარტს უკვე თავად უეფა წილისყრის სისტემით დაგვიდგენს კალენდარს. არ გამოვრიცხავ, რომ საქმე სწორედ აქამდე მივიდეს.

**- ტექნიკურ სპონსორთან დაკავშირებითაც უნდა გქონოდათ შეხვედრები...**

ზ. ს. - ამ საკითხზეც ვაგრძელებთ მუშაობას. უეფას შუამავლობით „ადიდასმა" პირობები კი შემოგვთავაზა, მაგრამ ჩვენთვის მისაღები არაა. „ადიდასზე" უკეთესი პირობები ამჟამად „იაკოსთან" გვაქვს. 2-წლიანი კონტრაქტით, 500 ათასი ევროს სანაცვლოდ „ადიდასის" 304 კომპლექტი მოგვდის. იმავე ფასად „იაკოსგან" უკეთესი ხარისხის 800 ფორმას შევიძენთ. 16 თებერვალს „პუმას" წარმომადგენლებს შევხდებით. ველაპარაკეთ დანიურ „ჰუმელს" და გავაგრძელებთ მოლაპარაკებას. ჩვენთან პარტნიორობის სურვილი აქვს ესპანურ „ჯამას". თუმცა, „იაკოსთან" 31 ივნისამდე გვაქვს მოქმედი კონტრაქტი. ჯერ ამ ფირმასთან უნდა გავარკვიოთ ურთიერთობა. უნდა გადავწყვიტოთ, ვაგრძელებთ თუ არა თანამშრომლობას და როგორი პირობებით, თუ აღარ ვაგრძელებთ, მაშინ სხვა კომპანიებთან მოლაპარაკებების ახალ სტადიაზე გადავალთ. 3 მარტს ესტონეთთან „იაკოს" ფორმებით ვითამაშებთ.

**- ესტონეთთან მატჩისთვის მზადება როდის დაიწყება. ქეცბაია როდის ჩამოვა თბილისში?**

- თემური 20 თებერვალს ჩამოვა. ამ დღეებში ნაკრების გაფართოებულ შემადგენლობას გამოგვიგზავნის. „ბასაზე" სამუშაოები 25 თებერვალს უნდა დასრულდეს. ნაკრები მზადებას 27-28 თებერვალს დაიწყებს, 1 მარტს გუნდი სრულად იქნება შეკრებილი.

პრესკონფერენციის ბოლოს **რევაზ არველაძემ** ერთი საგულისხმო ფაქტი გვითხრა:

- ვარშავაში რომ მივფრინავდით, მე და ზვიადმა ჩვენი ჯგუფის მეტოქეებზე სასურველი ვარიანტები ჩამოვწერეთ და პროგნოზიც გავაკეთეთ. ზვიადის პროგნოზი ასეთი იყო - ხორვატია, საბერძნეთი, ისრაელი, სლოვენია, მალტა. ხუთი მეტოქიდან მან ოთხი გამოიცნო, მე კი ვერც ერთი.

**დავით ცაბაძე**

სამტრედია

# სტარტის გადადება სასარგებლოა

„ვიტ ჯორჯიასთან" კალენდარული მატჩის გადადების მიუხედავად, „სამტრედიას" დრო უქმად არ დაუკარგავს და გამოთავისუფლებული დრო ამხანაგურ შეხვედრას დაუთმო. იმერლებმა პირველლიგელ „ბათუმს" უმასპინძლეს და შეხვედრის მიწურულს მიღებული გოლით 0:1 დამარცხდნენ. „სამტრედიამ" ამ შემადგენლობით ითამაშა: **ხარძეიშვილი (შენგელია) - კუპრეიშვილი (ნინუა), გოგია, ჟვანია, ქორიძე (კირთაძე) - სამსეიშვილი, ილურიძე (ჩხაიძე), ჩომახიძე, კვალინიძე (ჩალაძე) - ეცადეიშვილი (ზ. ხაჭიპერაძე), ტყემალაძე (ბარამიძე).**

„სამტრედიას" ერთ-ერთი მთავარი მწვრთნელი **ლევან ანჯაფარიძე** „ვიტ ჯორჯიასთან" თამაშის გადადებით უკმაყოფილო არ ჩანდა.

- „ვიტ ჯორჯიასთან" მატჩის გადადების შესახებ წინა დღეს გვაცნობეს და ამიტომაც საბედნიეროდ, რუსთავში ტყუილად არ ჩავსულვართ. ისე კი, „ვიტ ჯორჯიასთან" თამაშის გადადება უკვე ტრადიციად გვექცა, ჩემპიონატის პირველ ეტაპზეც ასე მოხდა. „ბათუმთან" შეხვედრა ძალიან სასარგებლო გამოდგა. გუნდი ოპტიმალურ ფორმაში ჯერ არაა და ამიტომაც კარგია, ჩემპიონატს ერთი კვირის დაგვიანებით რომ ვიწყებთ. შემდეგ ტურში „ზესტაფონს" ვმასპინძლობთ და იმედი გვაქვს, რომ ძლიერ მეტოქეს დიდ წინააღმდეგობას გავუწევთ. ჩემპიონატის პირველ ეტაპზე „ზესტაფონმა" ორივეჯერ დამაჯერებლად დაგვამარცხა და ყველაფერს ვილონებთ იმისთვის, რომ მსგავსი რამ აღარ განმეორდეს. ჩვენი ერთგული გულშემატკივრების იმედიც გვაქვს და ვეცდებით, წლის პირველი ოფიციალური მატჩი ჩვენთვის ხელსაყრელი შედეგით დავასრულოთ.

**- ზამთრის სატრანსფერო პერიოდში „სამტრედიას" შემადგენლობა მნიშვნელოვნად შეიცვალა. როგორ ფიქრობთ, გუნდი გაძლიერდა თუ დასუსტდა?**

- ამას სეზონის მსვლელობისას ყველა ერთად დავინახავთ, დღეს კი იმ აზრზე ვარ, რომ ჩვენს განკარგულებაში საკმაოდ ძლიერი შემადგენლობაა. ყველა რგოლში გვყავს რამდენიმე მაღალი დონის მოთამაშე, პირველ ეტაპზე კი ამ მხრივ გარკვეული პრობლემები შეგვექმნა. ყველაზე მნიშვნელოვანი კი ისაა, რომ ამჟამად გაცილებით უფრო გრძელი სათადარიგოთა სკამი გვაქვს, ვიდრე სეზონის პირველ ნახევარში. აქვე აღვნიშნავ, რომ „სამტრედიადან" წასული ფეხბურთელების უმრავლესობამ დიდი სამსახური გაგვიწია და მათი შენარჩუნებაც გვსურდა, მაგრამ კლუბის შეცვლა თვითონ გადაწყვიტეს და ხელი არ შეგვიშლია. საბედნიეროდ, შევძელით სასურველი მოთამაშეების დამატება. მათ საკონტროლო მატჩებში კარგი შთაბეჭდილება დატოვეს და დარწმუნებული ვარ, თავს არც ოფიციალურ შეხვედრებში შეირცხვენენ.

**- ტრავმირებულები ხომ არ გყავთ?**

- არა, საბედნიეროდ სეზონის განახლებას ჩვენი ყველა ფეხბურთელი სრულ მზადყოფნაში ხვდება. როგორც გახსოვთ, პირველ ეტაპზე იშვიათად ვახერხებდით ოპტიმალური შემადგენლობით თამაშს, ახლა კი ეს პრობლემა აღარ გვაწუხებს. მოსამზადებელ პერიოდში გარკვეულ უსიამოვნებებს წავაწყდით, მაგრამ საბედნიეროდ, დღეისათვის ყველა მოთამაშე მწყობრშია. განსაკუთრებით ზაურ ხაჭიპერაძის მდგომარეობაზე ვნერვიულობდით. არსებობდა ეჭვი, რომ მან ერთ-ერთი საკონტროლო თამაშისას მძიმე ტრავმა მიიღო, მაგრამ საბედნიეროდ, გაირკვა, რომ იგი მსუბუქად დაშავდა. ხაჭიპერაძე ჩვენი ერთ-ერთი ყველაზე შედეგიანი თავდამსხმელია და მისი არყოფნა ბევრ თავსატეხს გაგვიჩენდა.

**- შემადგენლობის დაკომპლექტება უკვე დასრულებულია თუ სატრანსფერო ფანჯრის დახურვამდე კიდევ აპირებთ ახალი ფეხბურთელების დამატებას?**

- ამის სურვილი ნამდვილად გვაქვს, მაგრამ რეალობიდან და ჩვენი შესაძლებლობებიდან გამომდინარე, საქმეს ისეთი პირი უჩანს, რომ სეზონს დღევანდელი კონტინგენტით ჩავამთავრებთ. კიდევ გავიმეორებ, რომ საკმაოდ ბრძოლისუნარიანი შემადგენლობა გვყავს, რომლითაც ჩვენ წინაშე მდგარი ამოცანების გადაჭრა სავსებით შესაძლებელია. უმაღლეს ლიგაში ადგილის შენარჩუნების საკმაოდ რეალურ შანსს ვფლობთ, მაგრამ ისიც კარგად გვესმის, რომ კონკურენტებთან საკმაო ფორის მიუხედავად, მოდუნების უფლება არ გვაქვს. ჩვენი მდევრებიც გვარიანად გაძლიერდნენ და ვფიქრობ, უმაღლესში დარჩენა არ გაგვიადვილდება. თუმცა ბუნებრივია, აუტსაიდერებთან შედარებით კომფორტულ სიტუაციაში ვართ და პოზიციების დათმობას არ ვაპირებთ.

**- თქვენ და „სამტრედიას" მეორე მთავარი მწვრთნელი მამუკა მესიაჩენკო რამდენიმე დღით თბილისში იმყოფებოდით სამწვრთნელო კურსებზე...**

- დიახ, B ლიცენზიას უახლოეს პერიოდში მივიღებთ. ამ კურსებზე საკმაოდ ბევრი ახალი რამ გავიგეთ თანამედროვე ფეხბურთის ტენდენციებზე. სასარგებლო ცოდნა მივიღეთ, რომელსაც ბუნებრივია, „სამტრედიას" მოვახმართ.

**ლევან ჯანეზაშვილი**

ამბები

## ბილიჩი გასეირნებას არ ელოდება

ხორვატიის ნაკრების მთავარი მწვრთნელი **სლავენ ბილიჩი** ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი ტურნირის წილისყრით კმაყოფილი დარჩა: *„შემიძლია ვთქვა, რომ გაგვიმართლა. უდავოა, რომ ამაზე გაცილებით ძლიერი ჯგუფიც შეიძლებოდა შეგვხვედროდა, მაგრამ ჩვენც საკმაოდ ძლიერი მეტოქეები გვყავს. საბერძნეთმა, ისრაელმა და ლატვიამ წინა ციკლში მაღალ დონეზე იასპარეზეს და მათთან თამაში რთული იქნება. იოლი გასეირნება არც საქართველოსა და მალტასთან გველის"*, - განაცხადა ბილიჩმა.

## 3:0 ლევსკისთან

თურქულ შეკრებაზე მყოფმა ტირასპოლის „შერიფმა" ამხანაგურ მატჩში სოფიის „ლევსკი" 3:0 გაანადგურა. მოლდოვის ჩემპიონთა ქართველმა კაპიტანმა **ვაჟა თარხნიშვილმა** ამ შეხვედრაში შეუცვლელად ითამაშა.

## გიგიაძის საგოლე პასი

სიმფეროპოლის „ტავრია" საკონტროლო შეხვედრაში პოლონურ „იაგელონიას" შეხვდა და 2:1 გაიმარჯვა. უკრაინელთა შორის ერთ-ერთი საუკეთესო **ვასილ გიგიაძე** იყო, რომლის ანგარიშზეც საგოლე პასია. ვეტერანი ქართველი ფორვარდი „ტავრიას" ძირითად შემადგენლობაში გაამწესეს და 65-ე წუთზე შეცვალეს.

აქვე იმასაც გეტყვით, რომ გიგიაძე „ტავრიას" ყველა დროის საუკეთესო ფეხბურთელთა გამოკითხვაში 46-ე ადგილზე გავიდა, საუკეთესო ლეგიონერთა შორის კი პირველია. მან სიმფეროპოლი ორჯერ დატოვა და ორივეჯერ უკან დაბრუნდა. 2001 წლიდან მოყოლებული, ვასომ „ტავრიას" შემადგენლობაში 154 ოფიციალური მატჩი ჩაატარა და 48 გოლი გაიტანა.

**ლევან ჯანეზაშვილი**

ძველ-ახალი მეტოქეები

# იმედი და რეალობა

...არაფერი შეცვლილა - ისე როგორც ადრე, შესარჩევი ეტაპის კენჭისყრას ახლაც დიდი იმედით ველოდით; ასევე ძველებურად თუ „ტრადიციულად“ მიმდინარეობდა ჩვენი ნაკრებისთვის... სასურველი თუ არასასურველი მეტოქეების „ამორჩევაც“: „ამ გუნდთან ტრადიციულად არ გვიჭირს“, „იმ გუნდთან თანაბრად შეიძლება პაექრობა“, „მესამეს, შესაძლოა, კრიზისი დაეწყოს“, „მეოთხეზე, თაობათა ცვლის პროცესი უარყოფითად იმოქმედებს და ეს შანსი უნდა გამოვიყენოთ“. „მეხუთეს, ჩვენთან მოტივაცია აღარ ექნება“ და ასე შემდეგ...

ჰო, მსგავსი ილუზიებით მოვდივართ უკვე რვა შესარჩევი ციკლის განმავლობაში და აი, მეცხრეც „კარს მოგვადგა“! იმედი, რაღა თქმა უნდა, კარგია, მაგრამ, ხომ არ სჯობს, ხანდახან მაინც არ დავკარგოთ რეალობის შეგრძნება? ანუ, ისევ და ისევ, ქართული ფეხბურთის უმთავრეს სატკივარზე გვინდა ყურადღება გავამახვილოთ - ადამიანური რესურსის დეფიციტს ვგულისხმობთ, უკვე მერამდენე წელიწადია, ჩვენი ნაკრების ასპარეზობასთან პირდაპირ რომ არის დაკავშირებული. სამწუხაროდ, მწარე რეალობაა - რაც უნდა „სასურველი“ მეტოქეები შეგვხვდნენ და რაც უნდა „ტკბილ“ ჯგუფში მოვხვდეთ, საერთაშორისო დონეს რომ აკმაყოფილებს, ისეთი ფეხბურთელები თუ არ გვეყოლება, სერიოზულ წარმატებაზე არც უნდა ვიფიქროთ. ეს „სერიოზული წარმატება“ კი რაღა თქმა უნდა, 2012 წლის ევროპის ჩემპიონატის ფინალური ეტაპის საგზურის მოპოვებაა. ოღონდ, გუშინაც ვთქვით, ადრეც და კვლავაც, ალბათ, ბევრჯერ მოგვიწევს იმის გამეორება, რომ არც ზედმეტი აჟიოტაჟის ატეხა არის საჭირო და არც ეიფორიაში ჩავარდნა. ჰო, აქაოდა, შესარჩევ ჯგუფში „ბობოლებს“ ავცდით და ამის მერე ჩვენი შემჩერებელი ვილა იქნებაო, - აი, თუ ასეთი მიდგომა იქნება, მეტ-ნაკლებად მისაღებ შედეგზეც არ უნდა ვიფიქროთ...

... და მთავარიც: ამ შემთხვევაშიც გუშინდელ თუ უფრო ადრინდელ საკუთარ ნათქვამს გავიმეორებთ, საქართველოს ეროვნული ნაკრების ახალი თავკაცის საქმეებში ჩაურევლობას რომ ვგულისხმობდით. თემურ ქეცბაიას მეტად არასახარბიელო მემკვიდრეობა ერგო: უკვე ყბადაღებული, „ადამიანური რესურსის დეფიციტს“ თავი რომ დავანებოთ, საქართველოს ნაკრების ფეხბურთელებს „გამარჯვებულის ფსიქოლოგია“ უნდა დაუბრუნდეთ. თან, რაც შეიძლება მალე! ჰო, უიმედოდ ყოფნა როგორ შეიძლება; მაგრამ არც ის მიგვაჩნია „ნორმალურად“, როცა გუნდს ევროპის ჩემპიონატის ფინალური ეტაპის საგზურის მოპოვებას სთხოვ და ამ დროს წესიერად აღარც გახსოვს, როდის მოიგო ამ გუნდმა უკანასკნელი მატჩი...

...ხორვატია, საბერძნეთი, ისრაელი, ლატვია, მალტა, - ახალ შესარჩევ ციკლში თავის მეტოქეებთან საქართველოს ნაკრებს არაერთგვაროვანი ბალანსი გააჩნია; ზოგიერთთან, საერთოდ, არ გვითამაშია, ზოგიერთთან... ფრეც გვენატრება, ზოგიერთთან კი, თქვენ წარმოიდგინეთ, აშკარა უპირატესობაც გვაქვს! ჰოდა, სწორედ ამ თემაზე გვინდა ვისაუბროთ: საქართველოს ნაკრებისა და მისი ახალი მეტოქეების ძველ დაპირისპირებებზე...

## მუდამ სასურველი სტუმარი

უცნაურია, მაგრამ ფაქტია - 1992 წლიდან მოყოლებული დღემდე საქართველოსა და ხორვატიის ნაკრებებს ოფიციალური კი არა, ერთმანეთთან ამხანაგური მატჩიც არ ჩაუტარებიათ. ჰო, 1992 წელს იყო, ხორვატული ფეხბურთი ფიფა-უეფას „ოჯახში“ რომ გაწევრდა და იმის შემდეგ ამ ქვეყნის ნაკრებს კი არა, საკლუბო გუნდებთანაც არ გვიპაექრია ოფიციალურ დონეზე. თუმცა, ქართულ და ხორვატულ ფეხბურთს საერთო „შეხების წერტილი“ მაინც გააჩნია! **ივო შუშაკს** ვგულისხმობთ, ცნობილ ხორვატ მწვრთნელზე, ქართულ ფეხბურთში წარუშლელი კვალი რომ დატოვა. შეგახსენებთ, რომ შუშაკის ხელმძღვანელობით თბილისის „დინამო“ 2003 წელს საქართველოს ჩემპიონიც გახდა და თასიც მოიპოვა, შემდეგ კი მოსკოვში დსთ-ის თასიც დაისაკუთრა. შუშაკი საქართველოს ნაკრების მთავარი მწვრთნელიც გახლდათ (ორ შეხვედრაში) და სწორედ ხორვატი სპეციალისტის სახელს უკავშირდება ჩვენი უპირველესი გუნდის ერთ-ერთი ყველაზე დასამახსოვრებელი და „ხმაურიანი“ გამარჯვება (2003 წლის 30 აპრილს რუსეთის ნაკრებთან).

ივო შუშაკს ხორვატიის ეროვნულ ნაკრებთანაც ბევრი რამ აკავშირებს: 1998 წლის მსოფლიოს ჩემპიონატზე ნაკრების მთავარი მწვრთნელის **მიროსლავ ბლაჟევიჩის** თანაშემწე იყო. სხვათა შორის, მანამდე ხორვატიის ახალგაზრდულ ნაკრებს თავკაცობდა და მისი ერთ-ერთი მაშინდელი შეგირდი **სლავენ ბილიჩი** დღეს უკვე ხორვატიის ეროვნული ნაკრების მთავარი მწვრთნელია.


თემურ ქეცბაია


ივო შუშაკი

შუშაკი დღესაც აქტიურად არის ჩართული თავისი ქვეყნის ფეხბურთის სამსახურში - ზუსტ სტატუსზე თავს ვერ დავდებთ, მაგრამ ის კი დანამდვილებით ვიცით, რომ ხორვატიის ნაკრების მეტოქეთა შესახებ ინფორმაციის მოპოვება-მოგროვება ევალება და სისტემატურად ესწრება თავისი ქვეყნის ნაკრების მოწინააღმდეგეთა შეხვედრებს. ასე რომ, ყოველთვის ისედაც სასურველ სტუმრად მიჩნეული ივო შუშაკს თბილისში კვლავაც უნდა ველოდეთ, თან - არაერთხელ...

...ერთ რამეშიც დარწმუნებული ვართ: საქართველოსა და ხორვატიის ნაკრებების ორივე შეხვედრის დროს ივო შუშაკს გაორებული გრძნობა ექნება; იმიტომ, რომ თავის სამშობლოზე არანაკლებ... საქართველოც უყვარს; ქვეყანა, სადაც უამრავი მეგობარი შეიძინა და სადაც ჩამოსვლა ყოველთვის უხარია...

## შეხვედრა წარსულთან

ჩვენი ჯგუფის მეორე ფავორიტი, რაღა თქმა უნდა, საბერძნეთის ნაკრებია. სამწუხაროდ, საქართველოს ნაკრებს ამ მეტოქესთან ერთობ უარყოფითი ბალანსი აქვს - ბერძნებთან სანაკრებო დონეზე ხუთი მატჩი გვაქვს ჩატარებული და ხუთივეში დავმარცხდით! პირველი დაპირისპირება 1996 წლის 6 მაისს იყო, როცა ბერძნულ ქალაქ იანინაში ჩატარებული ამხანაგურ მატჩში საბერძნეთის ნაკრებთან 1:2 დავმარცხდით. აღსანიშნავია, იმ შეხვედრაში პირველი გოლი ქართველებმა გაიტანეს (პირველ ტაიმში თავი **გოჩა გოგრიჭიანმა** გამოიჩინა); აი, შესვენების შემდეგ კი მასპინძელთა გამოცდილმა ფორვარდმა **დემის ნიკოლაიდისმა** „დუბლი“ შეასრულა. მაშინ ჩვენი ნაკრების მთავარი მწვრთნელი **ალექსანდრე ჩივაძე** გახლდათ და სწორედ იმ მატჩში ჰქონდათ სანაკრებო დებიუტი **ნიკა ტოგონიძესა და გიორგი დემეტრაძეს.** საერთოდ კი, ძნელი სათქმელია, თუ როგორ მორჩებოდა ეს შეხვედრა, საქართველოს ნაკრებს ოპტიმალური შემადგენლობით რომ ეასპარეზა - სხვადასხვა მიზეზის გამო ჩვენებს ექვსი (!) წამყვანი ფეხბურთელი (**გიორგი ქინქლაძე, კახა ცხადაძე, მურთაზ შელია, გოჩა ჯამარაული, არჩილ არველაძე, მიხეილ ყაველაშვილი**) აკლდა. 13 წლის წინათ ჩატარებული ის მატჩი სხვა მხრივაც იყო განსაკუთრებული - ჩვენი ნაკრები მოედანზე კაპიტნის სამკლაურით **თემურ ქეცბაიამ** გამოიყვანა! იმ დროისათვის ქეცბაია უკვე... საბერძნეთში თამაშობდა და ამ ქვეყნის ერთ-ერთი უძლიერესი კლუბის, ათენის აეკ-ის საუკეთესო ფეხბურთელადაც მიიჩნეოდა. მხოლოდ ამ კლუბის? ქეცბაიამ საბერძნეთში სამი სეზონი ჩაატარა და ამ ხნის განმავლობაში ქვეყნის მასშტაბითაც უდავოდ გამორჩეული გახლდათ. არაერთი ინდივიდუალური ტიტულიც მოიპოვა (საუკეთესო ფეხბურთელი, საუკეთესო ლეგიონერი) და იქაურ ქომაგთა კერპიც იყო; ბოლოს და ბოლოს, ნამდვილად არ იყო პატარა ამბავი, საქართველოს ნაკრების გასვლით შეხვედრებში ქეცბაიას საქომაგოდ... ათენიდან გულშემატკივრები რომ ჩადიოდნენ-ხოლმე!

საბერძნეთი და საქართველო ერთ შესარჩევ ჯგუფში ორჯერ მოხვდნენ. პირველად, 2000 წლის ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი ეტაპის დროს იყო და ორივეჯერ წავაგეთ: ათენში (0:3) და თბილისში (1:2, გოლი თემურ ქეცბაიამ გაიტანა). პირველ შემთხვევაში ჩვენი ნაკრების მთავარი მწვრთნელი **ვლადიმერ გუცაევი** იყო, მეორედ - ჰოლანდიელი **იოჰან ბოსკამპი.**

მომდევნო დაპირისპირება კი უკვე ევროპის მოქმედ ჩემპიონებთან გვქონდა - 2006 წლის მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევ ციკლში **ალენ ჟირესის** განწვრთნილმა საქართველოს ნაკრებმა თბილისშიც წააგო ბერძნებთან (1:3) და სტუმრადაც (0:1). საერთო ჯამში კი როგორც თავში აღვნიშნეთ, საქართველოს ნაკრებს ფრიად სავალალო სტატისტიკა აქვს საბერძნეთის ნაკრებთან - ხუთ მატჩში ხუთი წაგება (ბურთების სხვაობა - 3:11).

...თემურ ქეცბაიას საბერძნეთში მართლაც შთამბეჭდავი საფეხბურთო კარიერა ჰქონდა. გავა წლები და ქეცბაია ამ ქვეყანაში უკვე სხვა რანგში დაბრუნდება - არანაკლებ წარმატებული მწვრთნელისა. ჰო, ისევ და ისევ 2008 წლის „ანორთოსისის“ ზღაპრული ასპარეზობა გვინდა გავიხსენოთ, როცა ახალგაზრდა ქართველი მწვრთნელის დამოძღვრილმა მოკრძალებულმა კვიპროსულმა კლუბმა ჯერ „ოლიმპიაკოსი“ ჩამოაშორა ჩემპიონთა ლიგის ჯგუფურ ეტაპს, შემდეგ კი სულ ცოტა დააკლდა, ბერძნული ფეხბურთის მეორე „ვეშაპიც“ („პანათინაიკოსი“) იმავე გზაზე გაეშვა. აქედან გამომდინარე, ნამდვილად არ იყო შემთხვევითი ის ფაქტი, როცა შარშან ზაფხულში „ოლიმპიაკოსის“ ხელმძღვანელებმა თავიანთი გუნდის გაძღოლა სწორედ ქეცბაიას დაავალეს. ქართველმა სპეციალისტმაც ჩინებულად დაიწყო - გუნდს ჩემპიონთა ლიგის ჯგუფური ეტაპის საგზური ისე მოაპოვებინა, საკუთარ კარში ბურთი არ გაუშვია; ამასობაში, საბერძნეთის ჩემპიონატიც დაიწყო და ორი ტურის შემდეგ... ქეცბაიამ გუნდი საკუთარი სურვილით დატოვა! ჰო, ეს, მართლაც, უცნაურზე მეტი იყო - მწვრთნელი გუნდიდან ისე მიდიოდეს, არც ერთი ოფიციალური მატჩი არ წაეგოს, ძნელი გასახსენებელია. ათასი ვერსია ითქვა, თუმცა ერთ რამეში ღრმად ვართ დარწმუნებულნი - ქეცბაია და „ოლიმპიაკოსის“ პრეზიდენტი **სოკრატის კოკალისი...** ერთად დიდხანს ვერ იმუშავებდნენ. აი, ქეცბაიას შემცვლელსაც, ლეგენდარულ ბრაზილიელ **ზიკოსაც** ხომ იგივე დაემართა - ბრაზილიელმა მწვრთნელმა „ოლიმპიაკოსი“ ჩემპიონთა ლიგის მერვედფინალში გაიყვანა, მაგრამ შიდა ასპარეზზე მცირე ჩავარდნა არ აპატიეს და ისიც გაათავისუფლეს. თუმცა, ჩვენთვის მთავარი მაინც სხვა რამ არის - „ოლიმპიაკოსიდან“ წამოსული თემურ ქეცბაია უმუშევარი დიდხანს არ დარჩენილა და რამდენიმე სოლიდური მიწვევის მიუხედავად, მაინც საქართველოს ნაკრების გაძღოლას დათანხმდა!

საერთოდ კი, საბერძნეთის ჩემპიონატში სხვადასხვა დროს რამდენიმე ქართველს უთამაშია, ერთი ჩვენებური, **ანდრეი ნინიადისი** (იგივე, **ანდრო კიურჯიევი**) სულაც საბერძნეთის ნაკრებშიც ასპარეზობდა; თუმცა, ბერძენ ქომაგებში ქართული ფეხბურთი დღესაც ერთ კონკრეტულ პიროვნებასთან ასოცირდება - თემურ ქეცბაიასთან!

**გია ტუხაშვილი**
(გაგრძელება იქნება)

ჩემპიონთა ლიგა

რეგულარული ჩემპიონატი 2009/10

VIII ტური

**ვისოლი-სპორტმედია 4:2**

1:0 მანაგაძე (1), 2:0, 3:0 ჯაფარიძე (10, 12), 3:1 ედიშერაშვილი (21), 4:1 ჯაფარიძე (22), 4:2 მეკოკიშვილი (27)

*მატჩის საუკეთესო მოთამაშეები: თემურ ჯაფარიძე (ვისოლი), დავით სოლოლაშვილი (სპორტმედია)*

**PSP-დინამო 8:4**

1:0 მამარდაშვილი (6), 2:0, 3:0 მაჭავარიანი (8, 10), 4:0, 5:0 მეგრელაძე (12, 13), 5:1 ნადირაძე (16), 5:2 კევლიშვილი (21), 5:3 ნადირაძე (22), 6:3 კობახიძე (23), 7:3, 8:3 მაჭავარიანი (26, 28), 8:4 ნადირაძე (29)

მატჩის საუკეთესო მოთამაშეები: ლევან მაჭავარიანი (PSP), ბუბა ტყავაძე (დინამო)

**პატრული-გიგაბაიტი 1:3**

0:1 ჯინიკაშვილი (3), 0:2 ბაბილეიშვილი (23), 0:3 ფურცელაძე (25), 1:3 ჭანტურია (28)

მატჩის საუკეთესო მოთამაშეები: ბესო გოგონაია (პატრული), გიორგი ჯინიკაშვილი (გიგაბაიტი)

**ავტობილდი-პეპსი 3:6**

0:1 ძაბირაძე (9), 1:1 ჩიქოვანი (11), 1:2 ძაბირაძე (15), 2:2 ბიბილეიშვილი (18), 2:3 ბარნოვი (18), 3:3 ჩიქოვანი (25), 3:4, 3:5 ალთუნაშვილი (26, 29), 3:6 კბილაძე (30)

*მატჩის საუკეთესო მოთამაშეები: იბრაჰიმ იდოუ (ავტობილდი), გიორგი ალთუნაშვილი (პეპსი)*

**AMTS-ალგორითმი 0:8**

0:1 ხუციშვილი (9), 0:2 ლუკავა (9), 0:3 გონჩაროვი (13), 0:4 ჩანთლაძე (15), 0:5 გონჩაროვი (15), 0:6 სეფერთელაძე (21), 0:7 ჩანთლაძე (26), 0:8 კახელაშვილი (28)

მატჩის საუკეთესო მოთამაშეები: გიორგი ნიკოლაიშვილი (AMTS), ომარ დოჭვირი (ალგორითმი)

**მითანა-ფალავანი 2:3**

0:1 ხარიჩაშვილი (4), 1:1 ბაბულაიძე (8), 1:2 ჯორბენაძე (11), 2:2 დოლიძე (19), 2:3 ჯორბენაძე (27)

*მატჩის საუკეთესო მოთამაშეები: ტატო დოლიძე (მითანა), ვასილ საბაშვილი (ფალავანი)*

**საქ. უნივერსიტეტი-თიბისი 2:0**

1:0 მ. ჯანგავაძე (21), 2:0 ჭოხონელიძე (29)

მატჩის საუკეთესო მოთამაშეები: მირიან ჯანგავაძე (საქ. უნივერსიტეტი), დიმიტრი ბრანკლოვი (თიბისი ბანკი)

ჩემპიონატის საუკეთესო მოთამაშის გამოკითხვა

| | |
|---|---|
| ლაშა დვალიშვილი (სპორტმედია) | 5 ხმა |
| ლევან მაჭავარიანი (PSP) | 5 ხმა |

ბომბარდირები

| | |
|---|---|
| ლევან მაჭავარიანი (PSP) | 13 |
| ბაჩო კოზიძე (საქ. უნივ.) | 12 |
| გიორგი ჯინიკაშვილი (გიგაბაიტი) | 12 |

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. გიგაბაიტი | 8 | 6 | 2 | 0 | 29-14 | 20 |
| 2. საქ. უნივერს. | 6 | 4 | 1 | 1 | 27-7 | 13 |
| 3. მითანა | 6 | 4 | 1 | 1 | 20-13 | 13 |
| 4. პეპსი | 6 | 4 | 1 | 1 | 19-14 | 13 |
| 5. ალგორითმი | 5 | 4 | 0 | 1 | 23-6 | 12 |
| 6. თიბისი ბანკი | 7 | 4 | 0 | 3 | 17-12 | 12 |
| 7. პატრული | 7 | 3 | 1 | 3 | 19-11 | 10 |
| 8. ვისოლი | 6 | 2 | 3 | 1 | 13-7 | 9 |
| 9. ფალავანი | 5 | 3 | 0 | 2 | 15-16 | 9 |
| 10. ავტობილდი | 8 | 2 | 1 | 5 | 17-29 | 7 |
| 11. PSP | 8 | 2 | 0 | 6 | 23-30 | 6 |
| 12. სპორტმედია | 6 | 2 | 0 | 4 | 13-21 | 6 |
| 13. დინამო | 4 | 0 | 0 | 4 | 8-22 | 0 |
| 14. AMTS | 8 | 0 | 0 | 8 | 6-47 | 0 |

**ფეხბურთელთა სტაჟირება ბრაზილიის ს/კ „ინტერნაციონალში“**

წარვადგენთ ბრაზილიის უმაღლეს ლიგაში მოასპარეზე 2009 წლის ვიცე-ჩემპიონ პორტო ალეგრეს საფეხბურთო კლუბ „ინტერნაციონალში“ 16-17-18-19 წლის პერსპექტიულ ფეხბურთელებს ფიზიკური, ტექნიკური და ტაქტიკური დონის ასამაღლებლად. სტაჟირების პროგრამის მინიმუმი 3 თვეა, მაქსიმუმი - ერთი წელი.

სტაჟირების შემდეგ ქართველ ფეხბურთელებს საკონტროლო თამაშები ექნებათ ს/კ „ინტერნაციონალსა“ და პორტო ალეგრეს სხვა გუნდებში.

თუ ქართველი ფეხბურთელები დაიმსახურებენ მოწონებას, მათ მიიწვევენ ბრაზილიურ კლუბებში სათამაშოდ.

სტაჟირების ხარჯებს ბრაზილიური მხარე არ აფინანსებს. ავიაბილეთების (თბილისი-პორტო ალეგრე-თბილისი), ვიზების, ადგილზე საცხოვრებლის, კვებისა და მომსახურების ხარჯებს იხდის მსურველი ან სპონსორი.

*დაწვრილებითი ცნობებისა და საბუთების გასაფორმებლად დაუკავშირდით მისამართზე: თბილისი, ლეონიძის №4 (თავისუფლების მოედნიდან ზემოთ, ეროვნული ბანკის მოპირდაპირე მხარე).*

*მიღება 10 თებერვლიდან ყოველდღე, კვირის გარდა, 12-დან 13 საათამდე. ტელეფონი: 899 22 55 20.*

*ბრაზილიაში ფეხბურთელები გაემგზავრებიან ა. წ. 1 მარტიდან.*

R

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოსალოდნელი ტრანსფერი

# მსოფლიოს ჩემპიონატის მონაწილე თბილისის დინამოში



## დოსიე

**კრის ჯეიმსი**

დაიბადა 1987 წლის 4 ივლისს

**ამპლუა:** ნახევარმცველი (გამთამაშებელი)

**სიმაღლე:** 181 სმ

**წონა:** 74 კგ

**ამჟამინდელი კლუბი:** ტამპერე იუნაიტედი (ფინეთი, 2008 წლიდან).

**წინა კლუბი:** ფულჰემი (სარეზერვო გუნდი, 2004-08)

**სანაკრებო კარიერა:** ახალი ზელანდიის ნაკრები (16 მატჩი, 1 გოლი); ინგლისის 19-წლამდელთა ნაკრები; ახალი ზელანდიის 20-წლამდელთა ნაკრები (8 მატჩი, 7 გოლი).

მაკედონიელი მცველის **ალექსანდრ კრსტესკისა** და ბრაზილიელი საყრდენი ნახევარმცველის **რობერტინიოს** შეძენის შემდეგ, როგორც ჩანს, თბილისის „დინამოს" ხელმძღვანელობა კიდევ ერთი საინტერესო უცხოელის შეძენაზე დაფიქრდა: 7 თებერვალს თბილისში მსოფლიო მომავალი ჩემპიონატის მონაწილე, ახალი ზელანდიის ნაკრების გამთამაშებელი **კრის ჯეიმსი** ჩამოვიდა. ამ ფეხბურთელით თბილისის „დინამო" დაინტერესდა და მოლაპარაკებების შემდეგ ფინეთის „ტამპერე იუნაიტედის" (ქვეყნის ჩემპიონი 2006 და 2007 წლებში) გამთამაშებელი საქართველოში ჩამოსვლაზე დაითანხმა.

კრის ჯეიმსი ახალ ზელანდიაში დაიბადა. 13 წელი ინგლისში ცხოვრობდა და რამდენიმე მატჩი ამ ქვეყნის 19-წლამდელთა ნაკრებშიც ჩაატარა. თუმცა საბოლოოდ, არჩევანი მაინც სამშობლოს სასარგებლოდ გააკეთა - ახალი ზელანდიის მოქალაქეობა დაიბრუნა და ქვეყნის მთავარი ნაკრების ფორმაც მოირგო.

2006 წელს ჯეიმსი ახალზელანდიური ფეხბურთის „აღმოჩენად და წლის საუკეთესო ახალგაზრდა ფეხბურთელად" დასახელდა. საგულისხმოა, რომ 19 წლის ყმაწვილს ეროვნულ ნაკრებში დებიუტი, არც მეტი, არც ნაკლები, ბრაზილიის ნაკრების წინააღმდეგ ჰქონდა - 4 ივნისს „პენტაკამპეონებმა" ჟენევაში 4:0 მოიგეს.

ახალი ზელანდიის 20-წლამდელთა ნაკრების შემადგენლობაში კანადის მსოფლიოს ჩემპიონატზე ითამაშა. 2007 წელს 63-ე წუთზე შეცვლაზე შევიდა კოსტა რიკასთან შეხვედრაში, რომელიც ზელანდიამ სან ხოსეში 0:4 წააგო. შემდეგ 90 წუთი ითამაშა ვენესუელის წინააღმდეგ - 5:0 სამხრეთამერიკელთა სასარგებლოდ. სამაგიეროდ, ჯეიმსის სასტარტოში იყო ვანუატუს წინააღმდეგ მატჩში, რომელიც ზელანდიელებმა 2:1 მოიგეს. მანამდე კი იყო ამხანაგური მატჩი უელსთან - 2:2.

## კრის ჯეიმსი
### ფულჰემიდან საქართველომდე

2008 წელს „ფულჰემმა" მას კონტრაქტის ერთი წლით გაგრძელება შესთავაზა, თუმცა უარი მიიღო. ჯეიმსი ახალი კლუბის ძიებას შეუდგა...

იმ წელსვე, ნუმეაში, ახალი კალედონიის წინააღმდეგ შეცვლაზე ითამაშა. ოკლენდში ჩატარებულ შეხვედრაში, იმავე კალედონიასთან, უკვე ძირითად შემადგენლობაში დააყენეს. ზელანდიელთა მთავარმა მწვრთნელმა **რიკი ჰერბერტმა** კრისს გამთამაშებლის როლი არგუნა.

2008 წელს ჯეიმსმა ფინურ „ტამპერე იუნაიტედთან" 2-წლიანი კონტრაქტი გააფორმა. იმავე წელს, ჩემპიონთა ლიგის საკვალიფიკაციო ეტაპზე, ჩერნოგორიის „ბუდუჩნოსტსა" და სლოვაკეთის „არტმედიას" თითო გოლი გაუტანა.

2009 წელს სამხრეთ აფრიკაში გამართულ კონფედერაციის თასზე ითამაშა ესპანეთის (0:5), სამხრეთ აფრიკისა (0:2) და ერაყის წინააღმდეგ (0:0).

■ ■ ■

როგორც შევიტყვეთ, კრის ჯეიმსის გეგმებში საქართველოში ჩამოსვლა არაფრით არ შედიოდა. თუმცა საბოლოოდ მაინც იმ ქვეყანაში აღმოჩნდა, რომელზეც ასეთი რამ თქვა - ვერასდროს წარმოვიდგენდი, თუ ამ ქვეყანაში ჩამოვიდოდიო. ის დიდხანს ფიქრობდა, დასთანხმებოდა თუ არა ქართველთა წინადადებას. არც არის გასაკვირი - რუსული აგრესიის შემდეგ უცხო და ნაომარ ქვეყანაში ჩასვლა ბევრისთვის ვერ იქნებოდა მომხიბლავი პერსპექტივა. თბილისის აეროპორტიდან კრისი ნელ-ნელა მიხვდა, რომ ეს არ იყო ქვეყანა, სადაც ქუჩაში ყაჩაღები იარაღმომარჯვებულები დარბიან.

საქართველოში ჩამოსვლამდე ჯერ ნაკრების მთავარ მწვრთნელის აზრით დაინტერესდა - თბილისის „დინამოში" რომ ჩავირიცხო, ეროვნულ გუნდში გამოძახების პრობლემა ხომ არ შემექმნებაო (ალბათ, ეს მაგალითი უნდა იყოს ქართველი ფეხბურთელებისთვის). კრისმა ნაკრების მთავარი მწვრთნელისგან თანხმობა მიიღო - როგორც ჩანს, 1981 წელს ევროპის ერთ-ერთი საკლუბო თასის მომგები თბილისის „დინამო" დღემდე პრესტიჟულ კლუბად ითვლება. ჯეიმსის მთავარი ამოცანაა, კლუბში მსოფლიოს ჩემპიონატისთვის მოემზადოს. ნაკრებში გამოძახების მხრივ კი მას თითქმის ასპროცენტიანი გარანტია აქვს. რაკი გუშინ თბილისის „დინამო" „გაგრასთან" ეროვნულ ჩემპიონატის მეორე ეტაპის პირველ შეხვედრას მართავდა, ახალზელანდიელის გასინჯვა ვერ მოხერხდა. ეს უახლოეს დღეებში მოხდება.

დაგვეთანხმებით, მისი პირადი სტატისტიკა არ არის ხელწამოსაკრავი. თუმცა დასკვნების გაკეთებას მაინც არ ვიჩქარებთ. სინჯების შედეგად გაირკვევა, როგორ ფორმაშია ამჟამად ჯეიმსი, რა დონის მოთამაშეა და რა სარგებელი შეიძლება მოუტანოს თბილისის „დინამოს". ბევრი სახელიანი ფეხბურთელი გვინახავს, ვისაც თავი ვერ გამოუჩენია. თუმცა ამ შემთხვევაში გვეიმედება იმისი, რომ ინგლისში გაზრდილ ფეხბურთელს, რომელიც ფიფას ვებგვერდზე ნიჭიერ და ენერგიულ მოთამაშედაა მოხსენიებული, თავისი ქვეყნის ეროვნული ნაკრების შემადგენლობაში მსოფლიო ჩემპიონატზე მოხვედრის რეალური იმედი გააჩნია. ეს ხომ უდიდესი მოტივაციაა...




მიმოფანტული ქართველები

# ვოლფსბურგელი გოგია არჩევანის წინაშე

## ფეხბურთის ფედერაცია ლტოლვილთა და განსახლების სამინისტროსთან თანამშრომლობას აპირებს

საქართველოც ისევეა, როგორც ომისგან დაზარალებული ყველა ქვეყანა. ზოგი უძლებს ამ მძიმე ყოფას, ზოგიც უცხოეთს მიაშურებს და საქართველოში მაშინ გეგმავს დაბრუნებას, როცა ქვეყანა ფეხზე დადგება, ან თავად იშოვის ორ კაპიკს...

თუმცა უკეთესი მომავლის იმედად გადახვეწილთა დიდი ნაწილი მაინც შერჩა სხვადასხვა ქვეყანასა თუ კონტინენტს - ევროპაში, აზიაში, ამერიკაში, ავსტრალიასა და აფრიკაშიც კი. ანტარქტიდაზე არ იცხოვრება, თორემ ქართველი იქაც დასახლდებოდა...

მერე, უცხოეთში წასულ ქართველთა შვილებმა ფეხბურთი ითამაშეს და ბევრს ნიჭიც აღმოაჩნდა. უცხოეთში მოთამაშე ქართველებს ლამის ყველა ქვეყანაში წააწყდებით - რუსეთში, უკრაინაში, გერმანიაში, შეერთებულ შტატებში, საფრანგეთში, ინგლისში და ასე შემდეგ.

ერთი მათგანი, **თემურ ფარცვანია**, გასულ წელს უკრაინის ნაკრების შემადგენლობაში ევროპის 19-წლამდელთა ჩემპიონატის გამარჯვებული გახდა. სულ, ქართველებს რუსეთის (**გრიგალავა, ჭეჟია, გეფერიძე, სოზიაშვილი, კალაძე**), უკრაინისა (**ფარცვანია, ციკოლია**) და საბერძნეთის (**კირიკიადისი**) ნაკრებებში უთამაშიათ.

MLS-ის ერთ-ერთ ყველაზე ცნობილ კლუბ „ნიუ იორკ რედ ბულსის" ძირითად გუნდში გასული წლის ზაფხულში 19 წლის ქართველი ფეხბურთელი **გიორგი ჩირგაძე** აიყვანეს. ის თავდამსხმელია და აქამდე სარეზერვო გუნდში თამაშობდა. ნიუიორკელთა მთავარმა მწვრთნელმა კი ახლახან ესპანეთში, ლა მანგაში შეკრებაზე წაიყვანა. გიორგიმ „წითელ ხარებში" საკონტროლო მატჩიც ჩაატარა - ნორვეგიულ „სტრიომგოდსეტთან" 20 წუთი ითამაშა. ამერიკელებმა 2:1 მოიგეს.

გერმანიის ჩემპიონ „ვოლფსბურგის" დუბლშემადგენლობაში კი 19-წლამდელთა გუნდიდან ნახევარმცველი **აკაკი გოგია** გადაიყვანეს და მან ზამთრის მოსამზადებელ ეტაპზე დუბლებში ორი საკონტროლო შეხვედრაც ჩაატარა.

„ბაიერნის" ქართველ ქომაგთა ვებგვერდი კი იუწყება, რომ მიუნხენის ქართული სათვისტომოს სპორტის ქომაგთა კლუბმა „ივერიელმა" პროექტის განხორციელება დაიწყო, რაც ნიჭიერი ქართველი ბავშვების გერმანიაში ჩაყვანა-სტაჟირებას ითვალისწინებს. პირველი ბედნიერი - აკადემია „ოლიმპის" 14 წლის ფეხბურთელი **დავით ჯიქია** აღმოჩნდა.

„ბაიერნის" ასაკობრივ გუნდში 16 წლის ნახევარმცველი **ლუკას ჰუფნაგელი** თამაშობს. ლუკას დედა **ფიქრია აფციაური-ჰუფნაგელია.** ამ ცოტა ხნის წინ „ლელო" წერდა, რომ ქალბატონ ფიქრიასა და მის მეუღლეს სურთ, ვაჟი საქართველოს ნაკრებში იხილონ. ლუკასი „ბაიერნის" სკოლაში 10 წლიდან ვარჯიშობს, 2005 წელს 11-წლამდელებში მინი-მაისტერის წოდებაც მოიპოვა. მოგვიანებით, ლუკამ ანალოგიური ტიტული 13-წლამდელებშიც დაისაკუთრა.

დღეისთვის, ჰუფნაგელი „ბაიერნის" 16-წლამდელთა ერთ-ერთი ლიდერია. გასულ წელს მან შვეიცარიის საერთაშორისო ტურნირი მოიგო. ეს ის ტურნირია, სადაც საფეხბურთო აკადემია „ოლიმპის" გუნდმა (რომელიც 2008 წელს თავის ასაკში საუკეთესო ქართულ გუნდად დაასახელეს) ყველა მატჩი წააგო...

წინა ფედერაციასა და ჰუფნაგელების ოჯახს შორის მოლაპარაკება დაიწყო, მაგრამ აქაური წარმომადგენელი შემოდგომაზე მიუნხენში ვერ ჩავიდა. ეტყობა, ფედერაციის წინა უფროსობას წყალი რომ შეუდგა, ლუკასთვის ველარ მოიცალა. თუმცა ჩვენთვის ცნობილია, რომ ოჯახს განზრახვაზე ხელი არ აუღია.

მოკლედ, ეს ის თემაა, რომელიც ბოლო წლებში ჩვენს განსაკუთრებულ ინტერესს იწვევს. საინტერესო ჩანაფიქრი გაგვიმხილა ფეხბურთის ფედერაციის ტექნიკურმა დირექტორმა **ნიკა ჩხეიძემ**:

- ეს იმდენად მნიშვნელოვანი და გლობალური თემაა, ლტოლვილთა და განსახლების სამინისტროსთან თანამშრომლობას ვაპირებთ, რადგან ეს საერთო საქმეს წაადგება. უცხოეთში უამრავი ქართველი ოჯახია მიმობნეული და მათი დახმარებით საინტერესო ქართველი ფეხბურთელების მოძებნა გვსურს. სხვადასხვა არხით ბევრი უკვე მოვძებნეთ, მაგრამ დარწმუნებულნი ვართ, სამინისტროსთან თანამშრომლობით უფრო მეტს მოვახერხებთ. ამ მიზნით, ქართველ ფეხბურთელთა საინფორმაციო ბანკის შექმნას ვაპირებთ. არც ერთი ქართველი დასაკარგად არ გვემეტება და ჩანაფიქრიც სწორედ აქედან გამომდინარეობს.

**- საზოგადოებისთვის უცნობი ფეხბურთელები თუ გეგულებათ?**

- რა თქმა უნდა. მაგალითად, „ბაიერნშია" დედით ქართველი ლუკას ჰუფნაგელი. საინტერესო ბიჭია და აუცილებლად ვნახავთ. „ვოლფსბურგშია" ნახევარმცველი აკაკი გოგია... თუნდაც გიორგი ჩირგაძე, რომელიც „ნიუ იორკ რედ ბულში" თამაშობს. თითოეულ მათგანს უნდა დავუკავშირდეთ და დავინტერესდეთ, სურთ თუ არა საქართველოს ნაკრებში თამაში.

საქართველოს ახალგაზრდული ნაკრების მთავარი მწვრთნელი **ოთარ გაბელია** იმ პრობლემებზე გვესაუბრება რომელიც ასეთი მოთამაშეების გასინჯვას ხელს უშლის:

*„უცხოეთში ბევრი საინტერესო მოთამაშეა და შეუძლებელია, არ დავინტერესდე. სამწუხარო ისაა, რომ ამხანაგურ შეხვედრებში შეზღუდულები ვართ. გასასინჯი ფეხბურთელების მხოლოდ იმ კატეგორიას ვიწვევთ, რომლებსაც მეტნაკლებად ვიცნობთ და ნაკრებისთვის სასარგებლოდ მივიჩნევთ. ხოლო ვის რეალურ შესაძლებლობებზეც წარმოდგენა არ გვაქვს, შეუძლებელია ასეთ მატჩებში მოვიწვიოთ. თურქულ შეკრებაზეც მხოლოდ ის ბიჭები წავიყვანეთ, რომელთაგან რამდენიმე ძალიან გვაინტერესებდა. სამწუხაროდ, ევროპულ კლუბებთან შეხვედრებმა დაგვანახვა, რომ საერთაშორისო დონეზე სათამაშოდ ბევრი ჯერ მზად არაა. ვფიქრობ, უპრიანი იქნება, ჯერ უცნობი ფეხბურთელების შეხვედრების ვიდეოჩანაწერები ვნახოთ და დასკვნები მერე გავაკეთოთ. ბევრი მოთამაშე მირჩიეს, მაგრამ ჩანაწერები რომ ვნახე, რამდენიმე მათგანს განსაკუთრებული ვერაფერი შევამჩნიე. არადა, შეკრებაზე ისინიც რომ მოგვეწვია, დიდი და, თანაც, გაუმართლებელი ხარჯი იქნებოდა. თუმცა ჩირგაძეცა და გოგიაც საინტერესო ფეხბურთელები არიან და უნდა ვნახოთ".*

როგორც დავადგინეთ, საქართველოს 19-წლამდელთა ნაკრების მთავარი მწვრთნელი **ვლადიმერ გუცაევი** „ვოლფსბურგის" ნახევარმცველ **აკაკი გოგიას** ოჯახს დაუკავშირდა. ახლა გუცაევი ელის პასუხს კითხვაზე - ითამაშებს თუ რა ეს ბიჭი საქართველოს ნაკრებში?

*„გოგიას მშობლებს ვესაუბრე და სიმართლე გითხრათ, ვერ გავიგე, სურს თუ არა აკაკის საქართველოს ნაკრებში თამაში. ერთ კვირაში თავად ფეხბურთელსაც დაველაპარაკები და მისგან გავიგებ პასუხს. ჩემი დიდ სურვილია, გოგია ჩამოვიყვანო და ჩვენს ნაკრებში ვათამაშო, როგორც თავის დროზე მიხეილ ფოცხვერიას შემთხვევაში მოხდა. მიშა უკრაინაში იზრდებოდა, მაგრამ არჩევანის დრო რომ დაუდგა, საქართველოს სასარგებლოდ მიიღო გადაწყვეტილება. კიდევ არიან საინტერესო ბიჭები - მაგალითად, ფრანგულ კლუბ „ტარდეში" თორნიკე გაბრიჭიძე თამაშობს. თავად სურს ჩვენთან თამაში და შევხედავთ. ეს ბიჭი ცენტრალური მცველია. პორტუგალიურ „ესპერანსაშია" საყრდენი ნახევარმცველი გეგა დიასამიძე, უნგრულ „დიორი ეტოში" - თავდამსხმელი თემურ შარაშენიძე. 17 წლის ბიჭი მთავარ გუნდში თამაშობს. ასე რომ, საინტერესო ფეხბურთელი მრავლადაა და კიდევ ბევრის მოძიება შეიძლება", - ამბობს გუცაევი.*

გვერდი მოამზადა

**მერაბ მამულაშვილმა**

ეროვნული ბიბლიოთეკა



სერია A


დავიდე ბალარდინი


ალბერტო მალეზანი

# ბალარდინი და მალეზანი ჩემოდნებზე

**დავიდე ბალარდინიზე** „ლაციოს" გულშემატკივრები დიდ იმედებს ამყარებდნენ, თუმცა მათი მოლოდინი არ გამართლდა. მართალია, დივიდე ჯერ კიდევ „ბიანკოჩელესტეს" მთავარი მწვრთნელია და თითქოს შანსი კიდევ აქვს, მაგრამ თუ იტალიელ ჟურნალისტებს დავუჯერებთ, მისი საქმე წასულია.

„კორიერე დელო სპორტის" მიერ გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, „ლაციოს" სპორტული დირექტორი **იგლი ტარე** უკვე შეხვდა დავიდეს და აცნობა, რომ უახლოეს დღეებში პოსტის დატოვება მოუწევს. „კორიერე" იუწყება, რომ ასეთ ინფორმაციას სანდო წყაროზე დაყრდნობით ფლობს. ჩვენც დაველოდოთ მოვლენათა განვითარებას და ვნახოთ, რამდენად გამართლდება ავტორიტეტული გამოცემის პროგნოზი.

ამასობაში, უკვე ვრცელდება ინფორმაციები იმის შესახებ, თუ ვინ ჩაანაცვლებს ბალარდინის. ყველაზე ხშირად ოთხი სპეციალისტის გვარი გაისმის, ჩამოვთვალოთ ისინი: კლუბის ყოფილი ფეხბურთელი **ჯანკარლო კამოლეზე, ლუიჯი კანი, დანიელ არიგონი და ედუარდო რეია**, რომელიც ამჟამად ხორვატულ „ჰაიდუკს" უდგას სათავეში. დავიდე არ ტყდება და აცხადებს, რომ თუ დატოვებენ, გუნდს კრიზისიდან გამოიყვანს:

*„ვერ ვიტყვი, რომ გუნდი ცუდად თამაშობს, მაგრამ რეზულტატი არ ჩანს. მესმის გულშემატკივრების, რომლებიც შეშფოთებულნი არიან ჩვენი სატურნირო მდგომარეობით. ვადასტურებ, კრიზისი გვაქვს, მაგრამ გამოუვალ მდგომარეობაში ნამდვილად არ ვართ. კარგად ვიცი, როგორ უნდა დავძლიოთ სირთულეები და თუ დამცალდება, ამას დავამტკიცებ კიდეც. ჩემი ნებით პოსტის დატოვებას არ ვაპირებ, დანარჩენი კი კლუბის მესვეურებზეა დამოკიდებული".*

იტალიური პრესა ვარაუდობს, რომ თანამდებობის დატოვება **ალბერტო მალეზანისაც** მოუწევს. ის „სიენას" უდგას სათავეში, გუნდს, რომელსაც მხოლოდ 13 ქულა აქვს და სატურნირო ცხრილში ბოლო ადგილზე იმყოფება. ყოველივე ამის ფონზე, რა გასაკვირია, რომ მალეზანის სკამი შერყეულია.

**ლაშა ნიკლაური**

ტრანსფერი

# გული აქეთ უნევს, ფული იქით

26 წლის მაროკოელმა თავდამსხმელმა **მარუან შამახმა**, რომელიც 2002 წლიდან „ბორდოში" თამაშობს და ამ ფრანგული გუნდის შემადგენლობაში უკვე 270 შეხვედრა აქვს ჩატარებული, განაცხადა, რომ კარიერას სიამოვნებით გააგრძელებდა „არსენალში" და არა „ლივერპულში". საქმე ის გახლავთ, რომ მიმდინარე სეზონის ბოლოს შამახს „ბორდოსთან" კონტრაქტის ვადა ეწურება და იგი თავისუფალი აგენტი ხდება. ასეთ შემთხვევაში, მისი ოცნების ასრულებას, ერთი შეხედვით, წინ ბევრი არაფერი უნდა აღდგომოდა, მით უფრო, რომ შამახის შეძენით „მეთოფეთა" თავკაცი **არსენ ვენგერიც** გახლდათ დაინტერესებული, მაგრამ როგორც თავად ფეხბურთელმა განაცხადა, ახალი პირობა ფრანგი სპეციალისტის გუნდთან კი არ დადო, არამედ, **რაფა ბენიტესის** „ლივერპულთან". მიზეზი: მერსისაიდელები ჩრდილო ლონდონელებზე გაცილებით მეტ გასამრჯელოს სთავაზობენ.

*„გადავწყვიტე, კარიერა პრემიერლიგაში გავაგრძელო. არჩევანი რომ მქონოდა, „არსენალში" გადავიდოდი, მაგრამ ყველაფერი ჩემზე ხომ არ არის დამოკიდებული. „ბორდომ" ცხოვრებაში ძალიან ბევრი მომცა და მე არ მინდა გუნდი მანამდე დავტოვო, სანამ ის ჩემს შემცვლელს იპოვის. მალე მოვაწყობ ყველაფერს ისე, რომ „ბორდოს" ჩემი წასვლით ძალა არ მოაკლდება"*, - განაცხადა მაროკოელმა.

რამდენადაც ინგლისური ტაბლოიდებისთვის გახდა ცნობილი, „ლივერპულმა" შამახს ოთხწლიანი კონტრაქტი შესთავაზა და გასამრჯელოდ წელიწადში 3 მილიონი ფუნტის მიცემას აპირებს.

**ილია ბაბუნაშვილი**


მარუან შამახი

ინტერი

# არანაირი შავი კატა!

## მორატი მოურინიოს აქებს

უკვე მეხუთე წელია, რაც „ინტერი" სერია A-ში კონკურენტებს ახლოს არ იკარებს და შესაბამისად, სკუდეტოს არავის უთმობს. მიუხედავად იმისა, რომ ასე იყო ჯერ კიდევ **რობერტო მანჩინის** დროს, შეგვიძლია თამამად ვთქვათ, რომ **ჟოზე მოურინიოს** ხელში გუნდი კიდევ უფრო განვითარდა და გაძლიერდა. ჯერ ერთი, დღეს იტალიაში გაცილებით დიდი კონკურენციაა, ვიდრე მანჩინის დროს და მეორე, თამაშის ხარისხსაც ხომ აქვს მნიშვნელობა? - ჟოზეს ფორმაციის „ინტერი" კიდევ უფრო დამაჯერებლად ასპარეზობს და უშუალო კონკურენტებსაც კი ძალიან იოლად უსწორდება. გავიხსენოთ ორივე მილანური დერბი და „ნერაძურის" სრული ტრიუმფი, ჯერ 4:0, შემდეგ კი 2:0.

ერთი ხანობა, ხმა დაირხა, მოურინიოს და მორატის შორის შავმა კატამ გაირბინაო. ეს ყველაფერი ზამთრის სატრანსფერო ფანჯრისას დაიწყო, როდესაც პორტუგალიელმა ახალი ფეხბურთელების შეძენა მოითხოვა, პრეზიდენტმა კი მას ცივი უარი პრესის მეშვეობით შეუთვალა. მიუხედავად ამისა, ჟოზემ მაინც გაიტანა თავისი და შემადგენლობა **გორან პანდევით** გააძლიერა. მაშინ ითქვა, მაკედონიელის გადაბირება ჟოზეს პრეზიდენტთან ურთიერთობის გაფუჭებად დაუჯდაო. თუმცა, მორატის გუშინდელი გამონათქვამების მიხედვით, ძნელია ამაზე საუბარი. სინიორ მასიმომ ჟურნალისტთან საუბარში მოურინიოს მისამართით საქებარი სიტყვები არ დაიშურა:

*„ჟოზე მაოცებს თავისი შრომისუნარიანობითა და მაღალი კვალიფიკაციით. თავიდან ბოლომდე საქმეშია გადავარდნილი, რაც პირადად მე ძალიან მომწონს. მოურინიოსთან შესანიშნავი ურთიერთობა მაქვს და დარწმუნებული ვარ, ჩვენი თანამშრომლობა კიდევ დიდხანს გაგრძელდება".*

ამასობაში, **გორან პანდევიც** გამოჩნდა ჟურნალისტებთან. მაკედონიელი შესანიშნავად ჩაეწერა ახალ გუნდში და ერთ-ერთ წამყვან ფეხბურთელად მოგვევლინა. თუ ასე გააგრძელა, დიდია შანსი ძირითადი შემადგენლობიდან ან **სამუელ ეტოო** ამოაგდოს, ანდაც **დიეგო მილიტო**. მართალია, „კალიარისთან" სამივე მათგანი სასტარტოში გახლდათ, მაგრამ ცხადია, რომ გაცილებით ძლიერ მეტოქეებთან, მოურინიო უფრო ფრთხილ ტაქტიკას აირჩევს.

**ლაშა ნიკლაური**

სკანდალი


პოლ გესქოინმა ძველებურად აურია

# გაზას მორიგი სიგიჟე

**ინგლისური** ფეხბურთის ლეგენდას **პოლ გესქოინს** მორიგმა სიგიჟემ დარია ხელი. ის სათევზაოდ წასულა, დამთვრალა და... ერთი სიტყვით, პოლიციელებმა „გაზა" სოფლის სასტუმროს გარეთ, მოედანზე, მზერაარეული და მობარბაცე იპოვეს. საბოლოოდ, მის დაშოშმინებას ხელბორკილები და მანქანაში ძალად ჩასმა დასჭირდა.

მოწმეები ყვებიან, რომ „ნიუკასლის", „ტოტენჰემის", „ლაციოს", „რეინჯერსის" და სხვა გუნდების ყოფილ ფეხბურთელს, რომელიც ახლა 42 წლისაა, სიმმაგემ მას მერე დარია ხელი, რაც უთხრეს, რომ მისი მანქანა შესასვლელს კეტავდა. როგორც ტაბლოიდებმა შეიტყვეს, გესქოინი გამოსაფხიზლებლად პოლიციის განყოფილების საკანში მთელი ღამე გაუჩერებიათ და დილით დაუკითხავთ.

მავანი მოწმე ასე ყვება: *„ისეთი მთვრალი იყო, ფეხზე ძლივს იდგა. აშკარა იყო, მეტისმეტად ბევრი დაელია. როდესაც პოლიციამ ხელბორკილების დადება გადაწყვიტა, მან ღრიანცელი ატეხა. საბოლოოდ, მაინც ჩასვეს მანქანაში. ის დაბერებული და ძალიან გამხდარი ჩანდა".*

„გაზას" დასაჭერად პოლიციამ ორი მიკროავტობუსი და ერთი მსუბუქი მანქანა მიიყვანა „ბარბაცის ადგილზე". ვეტერანს „ნიუკასლის" ქურთუკი ეცვა. ეს ამბავი ჩრდილო იორკშირში, ლიმინგად წოდებული ადგილის ბარში მოხდა.

*„თევზაობიდან დაბრუნებული, მანქანიდან რომ გადმოდიოდა, გადმოვარდა - მოყვა მეორე თვითმხილველი - შემდეგ ჩვენ გვთავაზობდა საერთო კამპანიაში გაერთიანებას, მაგრამ ერთ მომენტში ჩამოჯდა, თავი ხელებში ჩარგო და ჩაილაპარაკა: საშინლად მრცხვენია. მე ლეგენდა ვარ და ხალხი ასეთ დღეში არ უნდა მხედავდეს".*

**ილია ბაბუნაშვილი**


ოპერაცია გაზას დასაკავებლად

ცისფერი პერსპექტივა

# რატომ ხვდება ჯანმრთელი ნესტა ლიპის?

**ალესანდრო ნესტა** უკვე კვირაზე მეტია, რაც გამოჯანმრთელდა, მაგრამ „ბოლონიას" წინააღმდეგ თამაში მაინც ვერ შეძლო. საქმე იმაშია, რომ სანდრო გაცივდა და მაღალი ტემპერატურის გამო, მილანში მოუწია დარჩენამ. „გაძეტა დელო სპორტის" ინფორმაციით, იგი დღეს უკვე კარგად გრძნობს თავს და ხვალიდან გუნდთან ერთად ივარჯიშებს. შესაბამისად, მომავალ ტურში „უდინეზეს" წინააღმდეგ, წესით, უნდა იასპარეზოს. ნესტას გვარმა იტალიურ პრესაში სანაკრებო ჭრილშიც გაიჟღერა, ამბობენ, სანდროსთან შეხვედრას **მარჩელო ლიპი** აპირებს, რომელსაც მისი ეროვნულ გუნდში დაბრუნება უნდაო. ეს სულაც არ გახლავთ გასაკვირი, რადგან „სკუადრა აძურას" მცველები, რომლებსაც მეტწილად „იუვენტუსის" მაისურით უწევთ ასპარეზობა, ბოლო დროს ველარ ბრწყინავენ. ნესტამ „გაძეტას" შემდეგი განუცხადა:


ალესანდრო ნესტა შეიძლება ნაკრებში დაბრუნდეს

*„ტრავმა უკვე მოვიშუშე და „უდინეზეს" წინააღმდეგ აუცილებლად ვიასპარეზებ. „ბოლონიასთან" უნდა მოგვეგო, თამაშის სადავეებს ბოლომდე ვაკონტროლებდით, თუმცა ფორტუნა მეტოქის მხარეს აღმოჩნდა. ვფიქრობ, საჩემპიონო მარათონი ჯერ არ დასრულებულა. რაც შეეხება ჩემს სანაკრებო პერსპექტივას, ამაზე უკვე კარგა ხანია აღარც კი მიფიქრია. მარჩელო ლიპის უდიდეს პატივს ვცემ და თუ ჩემთან შეხვედრას მოისურვებს, საწინააღმდეგო არაფერი მექნება. თუმცა არა მგონია, ამან შედეგი გამოიღოს. სამწუხაროდ, ჯანმრთელობის მდგომარეობა არ მაძლევს იმის საშუალებას, რომ სანაკრებო დონეზეც ვიასპარეზო".*

„ბოლონიასთან" პაექრობა **მასიმო ამბროზინისთვის** საიუბილეო გახლდათ, მან მე-300 შეხვედრა ჩაატარა სერია A-ში. „მილანის" კაპიტანი გულდაწყვეტილია, რომ ასეთ მნიშვნელოვან თამაშში მისმა გუნდმა ორი ქულა დაკარგა:

*„ნამდვილად ვერ წარმოვიდგენდი, თუ საიუბილეო შეხვედრას გამარჯვებით ვერ აღვნიშნავდი. არადა, სრულ ტერიტორიულ და სათამაშო უპირატესობას ვფლობდით. ისეთ გუნდებთან, როგორიც „ბოლონიაა", ძალიან რთულია თამაში, რადგან რამდენიმე ფენად განლაგებული დაცვის გარღვევა გიწევს. ბევრი უნდა ვიშრომოთ, რომ ასეთი თამაშების მოგება ვისწავლოთ".*

**ლაშა ნიკლაური**

ეროვნული ბიბლიოთეკა

სკანდალის კვალდაკვალ

# ინგლისური ის-ტერია

ინგლისის ნაკრების ახლა უკვე ყოფილმა კაპიტანმა **ჯონ ტერიმ** თავის შემცვლელ **რიო ფერდინანდს** დაურეკა და უთხრა: *„ყველაფერში შენ გვერდით მიგულე“*. ეს ამბავი ინგლისურმა ტაბლოიდებმა ტერის მეგობრისგან შეიტყვეს, რომელმაც თქვა: *„ჯონმა ძალიან კარგად იცის, რომ მსოფლიოს ჩემპიონატზე გუნდი ერთსულოვანი უნდა იყოს“*. შეგახსენებთ, „ჩელსის“ ვარსკვლავს ნაკრების თავკაცმა **ფაბიო კაპელომ** სამკლავური იმ სკანდალის გამო ჩამოართვა, რომელმაც უკვე ერთ კვირაზე მეტია ბრიტანელი საზოგადოება აალაპარაკა: „მისტერ ჩელსისა“ და დასავლეთლონდონური კლუბის ყოფილი ფეხბურთელის **უეინ ბრიჯის** სატრფოს და როგორც ამ ბოლო დროს დააზუსტეს, მისი ვაჟის დედის, **ვანესა პერონსელის** ფარული რომანის ამბავს თავიდან, ბუნებრივია, აღარ მოვყვებით.

„სანი“ იუწყება, რომ მალე ტერის ცხოვრებაში მნიშვნელოვანი მომენტი დადგება. მოგეხსენებათ, როგორც კი ქმრის ღალატის ამბავი შეიტყო მისმა მეუღლე **ტონიმ** ტყუპ შვილებს ხელი მოჰკიდა და დუბაიში გადაფრინდა. ოთხშაბათ დილას ცოლ-ქმარი ერთმანეთს შეხვდება და თავიანთი მომავლის ამბავს გადაწყვეტსო, - წერს გაზეთი.

ყველა, ვინც კვირას „ჩელსისა“ და „არსენალის“ თამაშს უყურა, დაინახავდა, რომ ინგლისის ნაკრების კაპიტნობიდან მოხსნილსა და ფართო საზოგადოების დიდი ნაწილისგან შერისხულ ფეხბურთელს „სტემფორდ ბრიჯზე“ ქომაგებმა საოცარი მხარდაჭერა აგრძნობინეს. აი, მისმა დუბაიში გადახვეწილმა ცოლმა კი ის დღე საცურაო აუზთან გაატარა და ეცვა მაისური, რომელსაც წინიდან ეწერა - „მე ეს ქალი მომწონს“ ხოლო ზურგიდან - „მე მძულს ეს შეცბუნება“.

განვმარტოთ: ეს გახლავთ ფრაზები პოპულარული ამერიკული წიგნიდან, რომელიც პრობლემების დამოუკიდებლად დაძლევისთვის საგანგებოდაა დაწერილი და ერთგვარი რჩევებისგან შედგება. ქალის სიყვარულში მოულოდნელობით ალსავსე ცხოვრების სიყვარული იგულისხმება, ხოლო შეცბუნების სიძულვილი იმას ნიშნავს, რომ ადამიანი გამოწვევისა და სირთულის გამო არ უნდა შეცბეს.



ტონი ტერი



ჯონ ტერის მხარდამჭერები

„ჩელსის“ ფანებმა მხარდაჭერა აგრძნობინესო... სამაგიეროდ, ავი სიტყვა „არსენალის“ ფანებმა არ დააკლეს: *„შენ კაპიტანი აღარ ხარ!“* - ყვიროდნენ ისინი. სტუმართა ზოგ გულშემატკივარს ეცვა მაისურა წარწერით: Team Bridge. ასეთი მაისურები ერთი კვირის წინ „მანჩესტერ სიტის“ ბანაკში გამოჩნდა, ბრიჯი ხომ სწორედ ისტლენდულ კლუბში თამაშობს, შემდეგ კი სხვაგანაც გავრცელდა. Team Bridge-ის საპირისპიროდ, „სტემფორდ ბრიჯზე“ გავცელდა მაისურები წარწერით Team Terry, რომელსაც ქვემოთ, პატარა ასოებით ცინიკური მინაწერი ახლდა: „ბრიჯზე მას ყოველთვის გოლი გააქვს“ - რაც ერთი მხრივ იმას ნიშნავს, რომ ტერი „სტემფორდ ბრიჯზე“ მუდამ კარგად თამაშობს, მეორე მხრივ კი უეინ ბრიჯს კენწლავს, რადგან He always scores at the Bridge ინგლისურად უფრო მწარედ ჟღერს.

როდესაც „ჩელსისა“ და „არსენალის“ შეხვედრა დასრულდა, 29 წლის ვარსკვლავმა ქომაგებს მადლობა გადაუხადა, კოცნა გაუგზავნა და სხვა გრძნობისა და მადლიერების გამომხატველი ჟესტები აკეთა. ტრიბუნიდან მას ტაშს ძმა **პოლი** და დედა **სიუც** უკრავდნენ.

მოგვიანებით, პრესკონფერენციაზე თავისი გუნდის კაპიტანზე კარგი სიტყვა არც მწვრთნელმა **კარლო ანჩელოტიმ** დაიშურა:

*„ჩემთვისა და „ჩელსისთვის“ ჯონი დიდებული კაპიტანია, ინგლისის ნაკრების ხელმძღვანელთა გადაწყვეტილებაზე კი მე ვერაფერს ვიტყვი, რადგან ამ გადაწყვეტილებასთან არაფერ შუაში ვარ. ერთადერთი, რაც შემიძლია ვთქვა ის გახლავთ, რომ ჯონი მოედანზე უმაღლესი დონის პროფესიონალია. მან ეს ამ შეხვედრაშიც დაამტკიცა“.*

ბოლოს კი იმას დავუბრუნდეთ, რითაც დავიწყეთ - რიო ფერდინანდთან დარეკვაზე მოგახსენებთ. ტერის ზემოხსენებულმა მეგობარმა ჟურნალისტებს უამბო: *„ჯონმა რიოს პირველმა დაურეკა და ყოველმხრივ გვერდში დგომა შესთავაზა. რასაკვირველია, ინგლისის ნაკრების კაპიტნობიდან მოხსნა მისთვის ძალიან ძნელი გადასატანი გახლდათ, მაგრამ მთავარია, რომ მან იცის - მსოფლიოს ჩემპიონატზე მთელი გუნდი ერთსულოვანი უნდა იყოს.*

როგორც იქნა, ხმა ამოიღო ვანესა პერონსელმაც, ოღონდ, ჯერჯერობით სულ ორი გაუგებარი წინადადება თქვა: *„ეს ყველაფერი შურიანი ხალხის მოგონილია“* და *„ეს ყველაფერი ტყუილია“.*

### ბრიჯს ნაკრებში იძახებენ?

როგორც ინგლისური გაზეთის „დეილი მირორის“ საფეხბურთო გვერდი იუწყება, ინგლისის ნაკრების თავკაცი **ფაბიო კაპელო** 3 მარტს ეგვიპტის ნაკრებთან დანიშნული ამხანაგური შეხვედრისთვის „მანჩესტერ სიტის“ მცველის **უეინ ბრიჯის** გამოძახებას აპირებს. ცნობილი გახდა, რომ კაპელოს მარჯვენა ხელი **ფრანკო ბალდინი** „ჩელსის“ ყოფილ მოთამაშეს ბოლო ერთ კვირაში ორჯერ ელაპარაკა - ხაზს ვუსვამთ, ეს სატელეფონო საუბრები მას მერე განხორციელდა, რაც მთელ ინგლისს მოედო ბრიჯის სატრფოსა და მისი ვაჟის დედის, ფრანგი მოდელის **ვანესა პერონსელის** ღალატის ამბავი. ბუნებრივია, ამიერიდან ბრიჯის სანაკრებო კარიერა პირადად მასზე იქნება დამოკიდებული - ენდომება კი მას „თითქმის ცოლის“ საყვარლის, **ჯონ ტერის** მხარდამხარ თამაში. ბუნებრივია, კაპელოს სურს, რომ მოედანზე გასულ მის ფეხბურთელებს ერთმანეთში შუღლი არ ჰქონდეთ.

შეგახსენებთ, რომ რაც ვანესა პერონსელის ღალატის ამბავი გახდა ცნობილი, ბრიჯი ღირსეულად დუმს. ბოლო პერიოდის განმავლობაში ის დაშავებული იყო, მუხლს მკურნალობდა, მაგრამ ამ უქმეებზე, შეხვედრაში, რომელშიც მისმა „მანჩესტერ სიტიმ“ ჰალში 2:1 წააგო, იგი მოედანს დაუბრუნდა.

შეგახსენებთ, რომ 29 წლის ბრიჯი კაპელოს **ეშლი კოულის** სათადარიგოდ სჭირდება.

მოსაზრება


ჯორჯ გრემი არსენ ვენგერს აკრიტიკებს

# ჯორჯ გრემი: რა უნდა ინგლისში ბარსელონას?

**ჯორჯ გრემი** შიშობს, რომ სანამ „არსენალი“ „ბარსელონასავით“ თამაშს ცდილობს, ვერანაირ ტიტულს ვერ მოიგებს. 1986-1995 წლებში „მეთოფეთა“ მწვრთნელმა არ დამალა, რომ **არსენ ვენგერის** ჯიუტი უარი, გუნდის შესახედავად მშვენიერ თამაშს ცოტა პრაგმატიზმიც დაამატოს, ვერ აუხსნია და ცოტა აბრაზებს კიდეც: მოგეხსენებათ, ჩრდილოლონდონელებმა ბოლო ტურებში „მანჩესტერ იუნაიტედთან“ შინ წააგეს 3:1, შემდეგ კი „სტემფორდ ბრიჯზე“ „ჩელსისთან“ დათმეს 2:0.

*„დღევანდელ „არსენალს“ დიდი პრობლემა აქვს: მნიშვნელოვან შეხვედრებს ვერ იგებს. მას უშუალო კონკურენტები ამარცხებენ. არსენ ვენგერი ტოტალური ფეხბურთის მოყვარული კაცია, მას მოსწონს „ბარსელონას“ თამაში და, როგორც ვატყობ, ცდილობს თავისი ფეხბურთელებიც ისე ათამაშოს. მაგრამ აქ ერთი სერიოზული კითხვა იჩენს თავს: შესაძლებელია ეს ინგლისურ ფეხბურთში? როცა არსენი კლუბში მოვიდა ჩვენ ძალიან წარმატებული გუნდი გვყავდა და ეს წარმატება ეყრდნობოდა ფეხბურთელებს, რომელთაც ტექნიკის გარდა ახასიათებდათ ათლეტიზმი, სიმძლავრე, დაჟინება და აგრესია. დღეს მე მინდა მას ვკითხო: რატომ შეცვალე ეს ფილოსოფია? გაიხსენეთ შეხვედრა „მანჩესტერ იუნაიტედთან“. მე მეგონა „არსენალი“ მოწინააღმდეგის დამარცხებას შეძლებდა, მაგრამ, როგორც გაირკვა, სასტიკად ვცდებოდი. არსენალის თამაში „იუნაიტედისას“ ინტენსივობით საგრძნობლად ჩამოუვარდებოდა. გაიხსენეთ „იუნაიტედთან“ და „ჩელსისთან“ ჩატარებული ბოლო შეხვედრები. „არსენალმა“ ისინი ყველა პარამეტრით წააგო და აშკარაა, რომ საქმე გამონაკლისთან კი არა, რეგულარულ მოვლენასთან გვაქვს. რასაკვირველია, ამ გუნდის თამაშის ნახვა ყველას სიამოვნებს. ფეხბურთელები ბურთს პრემიერლიგის ყველა გუნდზე უკეთესად და სწრაფად ათამაშებენ, მაგრამ თვალში საცემია, რომ იმ შემთხვევისთვის, როდესაც საქმე ცუდად მიდის, არსენს სათადარიგო გეგმა არ აქვს მოფიქრებული. როცა „არსენალს“ მე ვედექი სათავეში, ფეხბურთელებს ასე ვეუბნებოდი: ჩვენ გაგვაკრიტიკებენ, მაგრამ ჯილდოებს მოვიგებთ. არსენის პრიორიტეტი კი ლამაზად თამაშია, ჯილდოები მას პირველ ადგილზე არ აქვს დაყენებული. ვენგერის ხელმძღვანელობით გუნდი ბოლო ოთხი წელიწადი ულამაზესად თამაშობს, მაგრამ არაფერი მოუგია - სხვათა შორის, სწორედ ამიტომ უნდა რამდენიმე ფეხბურთელს სხვაგან გადასვლა. მაგალითად, სესკ ფაბრეგასმა იცის, რომ თუ „ბარსელონაში“ გადავა, ტიტულები გარანტირებული ექნება. დარწმუნებული ვარ, ბიჭს თავში სწორედ ეს უტრიალებს“.*

უბედური შემთხვევა

# სიკვდილი სტოკში

სააგენტო „როიტერის“ ცნობით, კვირას ინგლისში გარდაიცვალა ფეხბურთის გულშემატკივარი, რომელსაც შაბათს, ქალაქ სტოკში, „სტოკ სიტისა“ და „ბლექბერნ როვერსის“ შეხვედრისას მომხდარი ინციდენტის დროს თავი დაუზიანდა, რასაც გულის შეტევა მოჰყვა.

30 წლის მამაკაცი „ბრიტანია სთედიუმის“ ტერიტორიაზე შესვენების დროს დაეცა. BBC-მ გადასცა, რომ მას ფიზიკურად შეეხნენ, თუმცა პოლიცია ამას ჯერჯერობით არ ადასტურებს და საერთოდაც, დაწვრილებითი კომენტარისგან თავს იკავებს. სტრედფორშირის პოლიციის პრესატაშემ მხოლოდ ეს განაცხადა: *„მიმდინარეობს გამოძიება. სადღეისოდ დაკავებულია 25 წლის კაცი, რომელიც პოლიციას მომხდარის გამოკვლევაში ეხმარება“.*

BBC-ს კი ინფორმაცია დანაშაულის შესახებ „სტოკ სიტისა“ და „ბლექბერნ როვერსის“ შეხვედრის კურატორად დანიშნული შეფინსპექტორის **ედრიან რობინსისგან** ჰქონდა. სამაუწყებლო კომპანიას სწორედ რობინსმა განუცხადა, რომ მოხდა ინციდენტი, რომელშიც მასპინძელი გუნდის ფანები მონაწილეობდნენ. თამაშს 1 300 ბლექბერნელიც ესწრებოდა. „სტოკმა“ გაიმარჯვა 3:0.

„როიტერმა“ შეიტყო, რომ პოლიციამ და კეთილმა ადამიანებმა, რომელთაც დაზარალებულს სტადიონზე პირველი დახმარება გაუწიეს, ის „ბლექბერნის“ გულშემატკივართა შორის აღმოაჩინეს.

გვერდი მოამზადა
**ილია ბაბუნაშვილმა**

# ყველაფერი თავიდან იწყება?

## გრენობლი ცხვარიაო, მაგრამ...

ლიგა 1-ის 23-ე ტურმა ლამის ყველაფერი თავდაყირა დააყენა: ეტყობა „ბორდოს" თავკაცი **ლორან ბლანი** ფიქრებში უკვე „სამფეროვანთა" ტაქტიკას „ხაზავს" და ჟირონდელთათვის ნაკლებად იცლის, შაბათს ჩემპიონი „რენს" ეწვია და 2:4 დამარცხდა. ახლა „ბორდოს" უპირატესობა მდევართან სულ 3 ქულაა, თუმცა რამდენად შეძლებს „მონპელიე" ჩემპიონობისთვის ბრძოლას, სხვა საქმეა... ტურში კიდევ ბევრი საინტერესო ფაქტი მოხდა: მარსელის „ოლიმპიკის" ფეხბურთელებმა კიდევ ერთხელ იყარეს ძველისძველი ჯავრი „ვალანსიენზე", ხოლო მაჩანჩალა „გრენობლმა" 50 წუთში ხუთი უპასუხო გოლი გაუტანა ერთ-ერთ ლიდერთაგანს „ოსერს".

ჩემპიონის რბევას სათავე „რენის" შემტევმა **სილვენ მარვომ** დაუდო. ბრეტონელებმა „ბორდოს" საოცარი ტემპი მოახვიეს თავს. უკვე მე-4 წუთზე მარვომ ანგარიში გახსნა. მე-17 წუთზე კი მისი წაქცევისთვის დანიშნული პენალტი **ჯიმი ბრიანდმა** გაიტანა. მეორე ტაიმის დასაწყისში **ისმაელ ბანგურამ** ანგარიში გამანადგურებელი გახადა. ამის შემდეგ ჟირონდელებმაც გამოიღეს ხელი, ჯერ **იოან გუფრანმა**, შემდეგ კი ბრაზილიელმა **ვენდელმა** გაიტანეს, მაგრამ გადამწყვეტი მასპინძელთა აფრიკელი ბომბარდირის **ასამოა გიანის** 78-ე წუთზე გატანილი გოლი გამოდგა - 4:2. განელმა **ლერუას** პასი მიიღო, მოატყუა **მარკ პლანიუ** და კარასოს შანსი არ მისცა. მართალია, გოლკიპერი თითებით შეწვდა ბურთს, მაგრამ „ბორდოს" ველარ უშველა. ეს ასამოა გიანის პირველი გოლია აფრიკის ერთა თასის შემდეგ. **ფრედერიკ ანტონეტის** გუნდმა სეზონის ყველაზე ბრწყინვალე გამარჯვება მოიპოვა. ბრეტონელების წაუგებელი სერია ხუთ მატჩამდე გაგრძელდა.

სამ ქულასთან ერთად ჩემპიონმა **ალუ დიარაც** დაკარგა, რომელმაც მე-14 წუთზე საკმაოდ სერიოზული ტრავმა მიიღო. ექიმები შიშობდნენ, რომ კაპიტანი ჩემპიონთა ლიგის მატჩს გამოტოვებდა, მაგრამ სკანირებამ აჩვენა, რომ შესაძლოა დიარამ საბერძნეთში თამაში მაინც შეძლოს.

**ფრედერიკ ანტონეტი** (რენი): *„გულშემატკივრები ტაშით წამოუდგნენ საფრანგეთის საუკეთესო გუნდს - „ბორდოს". იმის მიუხედავად, რომ დღეს ჩვენ მოვიგეთ, ამავე აზრის ვარ მეტოქეზე. ჩვენ დღეს ყველაფერი გამოგვდიოდა, ბრწყინვალედ ვითამაშეთ, მაგრამ „ბორდოს" დონემდე" მაინც ძალიან ბევრი გვიკლია.*

**ლორან ბლანი** (ბორდო): *„ჩვენ ძალიან ბევრი ინდივიდუალური შეცდომა მოგვივიდა. ვერავინ წარმოიდგენდა ამას. დასაწყისშივე ორი უპატიებელი შეცდომა დავუშვით და ჩვენ უკვე 0:2-ს ვაგებდით. მე მგონი, მეტოქე თავად ვერ იჯერებდა, რომ გვიგებდა. გვეგონა, რომ პირველივე ტაიმში მოვახერხებდით მდგომარეობის გამოსწორებას. შემდგომ იმედი 2:3-ის შემდეგ გაჩნდა, მაგრამ მეოთხე გოლის გაშვებაც „მოვახერხეთ". იმდენი შეცდომა დავუშვით დაცვაში, რომ ასე მეგონა, „რენის" ყოველი შეტევა გოლით დასრულდებოდა".*

**დიდიე დეშამის** „ოლიმპიკმა" 5:1 მოუგო „ვალანსიენს". 1993 წელს ამ გუნდების მატჩმა უდიდესი სკანდალი გამოიწვია საფეხბურთო საფრანგეთში. „მარსელის" მაშინდელმა პრეზიდენტმა **ბერნარ ტაპიმ** მეტოქის ფეხბურთელები მოისყიდა, მაგრამ არ შერჩა და ორივე გუნდი უმაღლესი დივიზიონიდან გააძევეს. 17 წლის შემდეგ „ოლიმპიკმა" დიდი რბევა მოუწყო „ვალანსიენს". „მონპელიესთან" მარცხის შემდეგ მარსელელებს საკუთარი გულშემატკივრის თვალწინ რეაბილიტაცია ესაჭიროებოდათ და ეს შეძლეს კიდეც. ანგარიში **ლუჩო გონსალესმა** გახსნა, შემდეგ გოლი ექსშახტარელმა ფორვარდმა **ბრანდაომ** გაიტანა. ამის მერე კაპიტან **ბენუა შეირუს** ჯერი დადგა, რომლის დარტყმა მცირე რიკოშეტით გავიდა სტუმართა კარში. სტუმართაგან პრესტიჟის გოლი **კარლოს სანჩეს მორენომ** გაიტანა. განსაკუთრებით ლამაზი იყო „მარსელის" მე-4 გოლი, რომლის ავტორი **მატიო ვალბუენაა**. „ვალანსიენის" რბევა შეცვლაზე შესულმა **მამადუ ნიანგმა** მსაჯის დამატებულ წუთზე შეაგდო - 5:1.

**დიდიე დეშამი** (მარსელი): *„ლიგის თასის ფინალში გასვლამ ჩვენ საკუთარი თავის რწმენა დაგვიბრუნა. ხანდახან ყველაფერი გამოგდის, ასე იყო დღესაც, ძალიან დაგვეხმარნენ ჩვენი ერთგული გულშემატკივრები. თებერვალსა და მარტში ქულათა მაქსიმუმის მოპოვებას ვგეგმავთ, ჩვენ ჩემპიონობისთვის ბრძოლას ვაგრძელებთ. დღეს ძალიან მომეწონა ჰატემ ბენ არფა, თუკი ის ყოველთვის ამ დონეზე ითამაშებს, სათამაშო პრაქტიკის პრობლემა აღარ ექნება".*

**ფილიპ მონტანიე** (ვალანსიენი): *„უბრალოდ, ჩვენს გუნდებს შორის უზარმაზარი სხვაობაა დონეებში. 20 წუთის შემდეგ დავკარგეთ მატჩის კონტროლი. სეზონში ყველაზე ცუდად ვითამაშეთ. იმედია, ჩემმა ბიჭებმა იმ გაკვეთილიდან, რაც „მარსელმა" მოგვიწყო, სწორი დასკვნები გამოიტანეს".*

ტურში დიდ ინტერესს იწვევდა „ტულუზისა" და „ლიონის" მატჩი. მართალია, სტუმრები კვლავ აგრძელებენ წაუგებელ სერიას 2010 წელს, მაგრამ მნიშვნელოვანი ორი ქულა კი დაკარგეს - 0:0. დღეისათვის „ლიონი" მხოლოდ მე-4 ადგილზეა. სტუმრები მაინც კმაყოფილნი უნდა იყვნენ შედეგით, რადგან მათ ბოლო 20 წუთზე მეტი 10 კაცით ითამაშეს, გააძევეს **ჟან მაკუნი**.

**ალენ კაზანოვა** (ტულუზი): *„ძალიან უსამართლოა, ამდენი წვალების შემდეგ, რომ ვერ მივიღეთ სათანადო შედეგი. თამაშის ხარისხით, მომენტების სიხშირით ჩვენ აშკარად ვჯობდით მეტოქეს, მაგრამ დაბოლოებისას უფრო უკეთ თამაში გვმართებდა. ძალიან სამწუხაროა".*

**კლოდ პუელი** (ლიონი): *„ტულუზის" შეტევები ბევრ პრობლემას გვიქმნიდა. ჩვენი მიზანია, სამეულში ადგილის შენარჩუნება. მართალია, დღეს ყველაფერი ისე არ გამოგვივიდა, როგორც საჭიროა, მაგრამ გუნდში ბიჭების დამოკიდებულება კარგად ვიცი, „ლიონი" თავის სიტყვას კიდევ იტყვის".*

„ოსერი" თავს დაცვითი ფეხბურთით იწონებდა, მაგრამ სტუმრად „გრენობლთან" გუნდის დაცვა ნაწილებად დაიშალა. არადა, „გრენობლმა" სეზონში მხოლოდ მეორედ მოიგო და, რა თქმა უნდა, პირველად დიდი ანგარიშით. „გრენობლის" წარმატების შემოქმედი სამი გამოცდილი შემტევია, მე-8 წუთზე სერბმა **დანიელ ლიუბოიამ** გახსნა ანგარიში, შემდეგ კი ალჟირელი **ნასიმ აკრურისა** და იაპონელი **დაისუკე მაცუის** ჯერი დადგა (მათ დუბლები მიითვალეს). უკვე 53-ე წუთისთვის „გრენობლი" 5:0-ს იგებდა. ამის შემდეგ გოლები აღარ გასულა. მიუხედავად გამარჯვებისა, „გრენობლი" 10 ქულით ღრმა აუტსაიდერია.

**მეჰდა ბაჟდარევიჩი** (გრენობლი): *„ოსერს" კარგი დაცვა ჰყავს. მე აქცენტი სისწრაფეზე გავაკეთე, სწორედ მაღალმა ტემპმა დააშვებინა მეტოქის მცველებს ბევრი შეცდომა. დიდებული დღე იყო, გოლიც კი არ გაგვიშვია".*

**ჟან ფერნანდესი** (ოსერი): *„არა მგონია, საფრანგეთის ლიგის ყველაზე სუსტ გუნდს ვეთამაშეთ დღეს, ყოველ შემთხვევაში ეს გუნდი ჩვენ ბევრად გვჯობს".*

**ანტუან კამბუარეს** ხელში „პარი სენ ჟერმენი" ნელ-ნელა ჩემპიონატის უმაღლეს დივიზიონში დარჩენისთვის მებრძოლ მაჩანჩალად იქცა. ამ ტურში დედაქალაქელები შინ 0:3 განადგურდნენ „ლორიანთან".

**ანტუან კამბუარე** (პსჟ): *„20-30 წუთი არა გვიშავდა, მერე რა დაგვემართა, ვერ მივხვდი. ჩვენს კარში დანიშნული პენალტი გარდამტეხი გამოდგა ამ თამაშში, მალევე კიდევ ერთი გოლი გავუშვით. როცა ყველაფერი შენს წინააღმდეგაა, ძნელია დადებით შედეგზე იფიქრო".*

**კრისტიან გურკუფი** (ლორიანი): *„ძალიან ვისიამოვნე დღევანდელი თამაშით. ბრწყინვალედ ვართმევდით თავს სახიფათო მომენტების შექმნას, რაც სამომავლოდ დიდ იმედს გვაძლევს".*

დაბოლოს, გთავაზობთ ტურის სიმბოლურ ნაკრებს, რომელიც ყოველდღიურმა „ეკიპმა" შეადგინა: **ოდარი** (ლორიანი, 7.0) - **იანგამბივა** (მონპელიე, 6.0), **კრისი** (ლიონი, 7.0), **მანგანე** (რენი, 7.0), **ბედიმო** (ლანსი, 6.0) - **შეირუ** (მარსელი, 8.0) - **ბანგურა** (რენი, 8.0), **ბენ არფა** (მარსელი, 8.0), **მაცუი** (გრენობლი, 8.0) - **გამეირო** (ლორიანი, 8.0), **ვაირუა** (ლორიანი, 8.0).

გვერდი მოამზადა
**ნიკოლოზ ნეფარიძემ**

### მომდევნო ტური

**13 თებერვალი.** ლე მანი-სოშო, ლილი-ბულონი, მონაკო-მარსელი, მონპელიე-გრენობლი, ნანსი-პსჟ, ვალანსიენი-ნიცა, ლიონი-ლანსი. **14 თებერვალი.** ოსერი-რენი, ლორიანი-ტულუზი, ბორდო-სენტ ეტიენი.



გაოგნებული ბორდო და მოზეიმე რენი

### ბულონი-მონპელიე 0:2

**ბულონი (4-4-2):** ბედენიკი - ბორნი, სუმარე, ლაშო, დემბელე - მარკი, და როშა, კაპო (65. აგუაზი), კუვილიე - ლორკა (60. ბლაიაკი), მუსილუ (54. იატაბარე).

**მონპელიე (4-3-3):** ჟურდრენი - იანგამბივა, სპაჰიჩი, ალ-კაუტარი, ჟენშამი - მარვო (70. საიჰი), პიტო, კოსტა - კამარა (78. კომპანი), მონტანიო, აიტ-ფანა (63. ბელჰანდა).

**გოლები:** 0:1 კამარა (26), 0:2 მონტანიო (92)

**გაფრთხილება:** 3-1; **კუთხური:** 4-4; **ჯარიმა:** 21-22; **თამაშგარე:** 1-4; **კარში დარტყმა:** 8-11 (0-6); **ბურთის ფლობა:** 46%-54%.

**მაყურებელი:** 11 900

### ნიცა-ლილი 1:1

**ნიცა (4-2-3-1):** ლეტიზი - მაბიალა, აპამი, დიგარი, კანტარეი - დიაკიტე, კულიბალი - რემი, ფაე (76. ტრაორე), ბენ საადა (72. ელბიკი) - პოტე.

**ლილი (4-3-3):** ლანდრო - დებიუში, რამი, ჩედჯუ, ბერია - ბალმონი, მავუბა (61. ობრანიაკი), კაბაიე - ჟერვინიო, ფრო (79. დიუმონი), ჰაზარდი (61. დე მელო).

**გოლები:** 1:0 ბენ საადა (17), 1:1 დე მელო (75)

**გაფრთხილება:** 3-3; **კუთხური:** 2-5; **ჯარიმა:** 18-17; **თამაშგარე:** 2-2; **კარში დარტყმა:** 11-23 (4-9); **ბურთის ფლობა:** 35%-65%.

**მაყურებელი:** 7 123

### გრენობლი-ოსერი 5:0

**გრენობლი (4-2-3-1):** ვივიანი - კალვე, პაილო, სესარი, რობენი (81. ვიტაკიჩი) - დიოზი, რომაო (74. რავე) - ბატლე, აკრური, მაცუი - ლიუბოია (85. ჟუანი).

**ოსერი (4-4-1-1):** სორენი - ენგბარი, გრიხტინგი, მინიო, ბერტოდი - ოლიეჩი (62. ბირსა), პედრეტი, ნდინგა, კაპუე (77. დუდკა) - ჟელენი.

**გოლები:** 1:0 ლიუბოია (8), 2:0 აკრური (10), 3:0 მაცუი (36), 4:0 აკრური (41), 5:0 მაცუი (53)

**გაფრთხილება:** 3-1; **კუთხური:** 4-4; **ჯარიმა:** 17-9; **თამაშგარე:** 2-3; **კარში დარტყმა:** 13-5 (6-3); **ბურთის ფლობა:** 40%-60%.

**მაყურებელი:** 12 849

### პსჟ-ლორიანი 0:3

**პსჟ (4-4-2):** ედელი - ჟალე, კამარა, ტრაორე, არმანი - სესენიონი, მაკელელე, კლემანი (75. მორისი), ლუინდულა - ერდინგი, ოარო (57. ჟიული).

**ლორიანი (4-4-2):** ოდარი - ბაკა, მარშალი (72. მორელი), კოშილნი (59. ჟენტონი), ლე ლანი - ამალფიტანო, მვუემბა, დიუკასი, დიარა - გამეირო, ვაირუა (77. ფანშონი).

**გოლები:** 0:1 ვაირუა (24-პენ), 0:2 გამეირო (26), 0:3 ამალფიტანო (37)

**გაფრთხილება:** 1-2; **კუთხური:** 14-4; **ჯარიმა:** 12-9; **თამაშგარე:** 6-0; **კარში დარტყმა:** 16-17 (8-8); **ბურთის ფლობა:** 57%-43%.

**მაყურებელი:** 32 156

### სოშო-ნანსი 1:1

**სოშო (4-2-3-1):** რიშერი - ფატი, პერკისი, ბრეშე, დრამე - გავანონი, კარლაო - მორისბელაი (89. ბუდებუზი), მარტინი (85. სვერკოში), დალმა (83. მიკარი) - ბრაუნი.

**ნანსი (4-3-2-1):** ბრასილიანო - შრეტიე, უადო, მარკალუზო, ლემაიტრი (75. მარანჟი) - ნდიაიე, ბერენგერი, მალონგა (84. ბაკარი) - დია, ფერე - ჰაჯი (84. ალუ ეფულუ).

**გოლები:** 0:1 დია (32), 1:1 დალმა (52)

**გაფრთხილება:** 3-2; **კუთხური:** 5-4; **ჯარიმა:** 24-18; **თამაშგარე:** 4-3; **კარში დარტყმა:** 7-12 (1-4); **ბურთის ფლობა:** 58%-42%.

**მაყურებელი:** 11 057

### ლანსი-ლე მანი 2:1

**ლანსი (4-2-3-1):** რუნიე - დემონი, იაჰია, შელი, ბედიმო - სოუ, ერმახი - მონე-პაკე, რუდე, აკალე (76.ბუკარი) - ედუარდო.

**ლე მანი (4-4-1-1):** ოვონო - კორჩია, ჟედერი, ანდრადე, ბაალი - აბდი, ლორიო, გულონი (67. ჰელსტადი), ტომერი (77. დოსევი) - უალი - ლე ტალეკი (65. მაიგა).

**გოლები:** 1:0 მონე-პაკე (31), 2:0 ედუარდო (49), 2:1 მაიგა (83)

**გაფრთხილება:** 2-3; **კუთხური:** 1-9; **ჯარიმა:** 13-19; **თამაშგარე:** 4-0; **კარში დარტყმა:** 14-10 (7-4); **ბურთის ფლობა:** 47%-53%.

**მაყურებელი:** 30 113

### რენი-ბორდო 4:2

**რენი (4-3-3):** დუშეზი - ფანი, მანგანე, ჰანსონი, ბოკანეგრა - ლემოანი (46. ტეტე), მვილა, ლეროა - ბანგურა (71. დანზე), ბრიანი (77. ასამოა გიანი), მარვო.

**ბორდო (4-2-3-1):** კარასო - შალმე, სიანი, პლანიუ, ტრემულინასი - ფერნანდო, დიარა (14. ვენდელი) - გუფრანი, გურკუფი, პლაშილი - შამახი.

**გოლები:** 1:0 მარვო (4), 2:0 ბრიანი (17-პენ), 3:0 ბანგურა (48), 3:1 გურკუფი (64), 3:2 ვენდელი (69), 4:2 ასამოა გიანი (78)

**გაფრთხილება:** 3-1; **კუთხური:** 4-7; **ჯარიმა:** 22-16; **თამაშგარე:** 4-0; **კარში დარტყმა:** 11-16 (6-6); **ბურთის ფლობა:** 36%-64%.

**მაყურებელი:** 28 006

### ტულუზი-ლიონი 0:0

**ტულუზი (4-3-2-1):** ვალვერდე - ებონდო, სეტო, კონგრე, მბენგე - სისოკო, ბერსონი, ლუანი (73. ტაბანუ) - ბრაატენი (73. კაზიმ-რიჩარდსი), სირიეი (82. მაშადო) - ჟინიაკი.

**ლიონი (4-2-3-1):** ლორისი - რევეიერი, კრისი, ბუმსონგი, ლოვრენი - გონალონსი, მაკუნი - დელგადო (65. გოვუ), კალსტრიომი (66. ბაშტოში), ლოპესი (75. პიანიჩი) - გომისი.

**გაძევება:** მაკუნი (68. ლიონი)

**გაფრთხილება:** 2-1; **კუთხური:** 7-6; **ჯარიმა:** 16-16; **თამაშგარე:** 1-0; **კარში დარტყმა:** 16-4 (4-0); **ბურთის ფლობა:** 51%-49%.

**მაყურებელი:** 20 218

### სენტ ეტიენი-მონაკო 3:0

**სენტ ეტიენი (4-4-2):** ჟანო - პერენი, დიახატე, ბენალუანი, დაბო - პაიე, ნდავი, მატუიდი (73. ფერნადესი), საკო - ბერხესიო, სანოგო (69. რივიერი).

**მონაკო (4-2-3-1):** რუფიე - მოდესტო, მონგონგუ, პიუგრენიე, ტრაორე - პერესი, მანგანი - პარკი, ჰარუნა (34. მოლო), ნენე - მააზუ (62. საგბო).

**გოლები:** 1:0 მატუიდი (15), 2:0 ბერხესიო (75), 3:0 რივიერი (93)

**გაფრთხილება:** 1-1; **კუთხური:** 6-4; **ჯარიმა:** 14-13; **თამაშგარე:** 1-4; **კარში დარტყმა:** 19-16 (7-6); **ბურთის ფლობა:** 51%-49%.

**მაყურებელი:** 23 241

### მარსელი-ვალანსიენი 5:1

**მარსელი (4-2-3-1):** ანდრადე - ბონარი, დიავარა, მბია, ტაივო - სისე (69. ჰილტონი), შეირუ - ვალბუენა, გონსალესი (82. აბრიელი), ბენ არფა - ბრანდაო (73. ნიანგი).

**ვალანსიენი (4-3-2-1):** პენეტო - მატერი, ბიზევაცი, აბარდონადო, ტიენე - კოადი, გომისი (78. ბანგურა), სანჩესი - ბენ ხალფალაჰი, ოდელი - პუჟოლი (71. დანიკი).

**გოლები:** 1:0 გონსალესი (33), 2:0 ბრანდაო (43), 3:0 შეირუ (53), 3:1 სანჩესი (66), 4:1 ვალბუენა (77), 5:1 ნიანგი (90)

**გაფრთხილება:** 1-3; **კუთხური:** 5-4; **ჯარიმა:** 9-19; **თამაშგარე:** 4-1; **კარში დარტყმა:** 22-10 (10-2); **ბურთის ფლობა:** 62%-38%.

**მაყურებელი:** 46 306

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ბორდო | 23 | 15 | 3 | 5 | 38-18 | 48 |
| 2. მონპელიე | 23 | 14 | 3 | 6 | 32-25 | 45 |
| 3. ლილი | 23 | 12 | 5 | 6 | 43-23 | 41 |
| 4. ლიონი | 23 | 11 | 7 | 5 | 38-28 | 40 |
| 5. მარსელი | 22 | 11 | 6 | 5 | 38-25 | 39 |
| 6. მონაკო | 23 | 12 | 3 | 8 | 30-27 | 39 |
| 7. ოსერი | 23 | 11 | 6 | 6 | 21-20 | 39 |
| 8. რენი | 23 | 10 | 7 | 6 | 33-21 | 37 |
| 9. ლორიანი | 23 | 10 | 5 | 8 | 36-26 | 35 |
| 10. ტულუზი | 23 | 9 | 6 | 8 | 25-18 | 33 |
| 11. ვალანსიენი | 23 | 9 | 5 | 9 | 35-35 | 32 |
| 12. ნანსი | 23 | 9 | 4 | 10 | 28-32 | 31 |
| 13. სოშო | 22 | 9 | 4 | 9 | 21-26 | 31 |
| 14. ლანსი | 23 | 8 | 6 | 9 | 22-28 | 30 |
| 15. პსჟ | 23 | 8 | 5 | 10 | 33-27 | 29 |
| 16. სტ. ეტიენი | 23 | 6 | 5 | 12 | 16-28 | 23 |
| 17. ნიცა | 23 | 6 | 5 | 12 | 23-38 | 23 |
| 18. ლე მანი | 23 | 4 | 4 | 15 | 20-38 | 16 |
| 19. ბულონი | 23 | 3 | 7 | 13 | 15-39 | 16 |
| 20. გრენობლი | 23 | 2 | 4 | 17 | 17-42 | 10 |

**ბომბარდირები:** 13 - ნენე (მონაკო); 11 - ჟერვინიო (ლილი); 10 - ნიანგი (მარსელი); 9 - ერდინგი (პსჟ), გამეირო (ლორიანი), ფრო (ლილი), ასამოა გიანი (რენი), ლოპესი (ლიონი).

### ლიგა 2

### XXIII ტური

**სედანი-სტრასბური** 3:3

**გოლები:** 1:0 ენაინი (10-პენ), 2:0 მოკაკე (21), 2:1 ფოვერჟი (32), 2:2 ფოვერჟი (53), 3:2 ოლივეირა (54), 3:3 გარგოროვი (90)

**ლავალი-ბასტია** 1:1

**გოლები:** 0:1 ანდრე (9), 1:1 შაპუა (78)

**გენგამი-ტური** 2:2

**გოლები:** 1:0 სუმა (3), 1:1 დუმენგი (22), 2:1 ჟილმარი (28), 2:2 გაკპე (72)

**დიჟონი-ისტრი** 1:1

**გოლები:** 1:0 კიტამბალა (3), 1:1 სანტოსი (90)

**შატორუ-კლერმონი** 1:3

**გოლები:** 1:0 ბუენგო (48), 1:1 შოსიდერი (64), 1:2 აკვინი (68), 1:3 მურსი (84)

**აიაჩო-ანჟერი** 0:2

**გოლები:** 0:1 დიერსი (4), 0:2 ბრუნელი (38)

**ნანტი-ბრესტი** 1:4

**გოლები:** 0:1 რუ (10), 1:1 დარშევილი (38), 1:2 გრუჟი (40), 1:3 რუ (69), 1:4 გრუჟი (72)

**მეცი-ნიმი** 3:1

**გოლები:** 1:0 ვილტორი (10), 1:1 აიტ-ბაჰი (44), 2:1 პიე (45), 3:1 ვილტორი (54)

**გაძევება:** აიტე (40. ნიმი)

**ლე ავრი-ვანი** 0:1

**გოლი:** 0:1 ჯეჯე (37)

**არლი-კაენი** 0:0

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. კაენი | 23 | 13 | 8 | 2 | 35-17 | 47 |
| 2. ბრესტი | 23 | 13 | 6 | 4 | 36-20 | 45 |
| 3. ნიმი | 23 | 10 | 5 | 8 | 27-29 | 35 |
| 4. მეცი | 22 | 9 | 7 | 6 | 27-25 | 34 |
| 5. ლე ავრი | 23 | 9 | 6 | 8 | 26-23 | 33 |
| 6. ლავალი | 23 | 7 | 11 | 5 | 31-26 | 32 |
| 7. არლი | 22 | 8 | 8 | 6 | 25-24 | 32 |
| 8. ტური | 23 | 7 | 10 | 6 | 31-29 | 31 |
| 9. აიაჩო | 23 | 8 | 6 | 9 | 25-23 | 30 |
| 10. კლერმონი | 23 | 8 | 6 | 9 | 28-28 | 30 |
| 11. ანჟერი | 22 | 8 | 6 | 8 | 24-24 | 30 |
| 12. ვანი | 23 | 7 | 8 | 8 | 29-32 | 29 |
| 13. ნანტი | 23 | 7 | 7 | 9 | 27-34 | 28 |
| 14. სტრასბური | 23 | 6 | 9 | 8 | 30-32 | 27 |
| 15. სედანი | 22 | 6 | 9 | 7 | 28-30 | 27 |
| 16. დიჟონი | 23 | 5 | 11 | 7 | 26-28 | 26 |
| 17. შატორუ | 23 | 6 | 8 | 9 | 31-35 | 26 |
| 18. გენგამი | 23 | 5 | 10 | 8 | 23-27 | 25 |
| 19. ისტრი | 23 | 5 | 8 | 10 | 18-32 | 23 |
| 20. ბასტია | 23 | 4 | 5 | 14 | 20-29 | 17 |

**ბომბარდირები:** 15 - ჟირუ (ტური); 13 - მოდესტე (ანჟერი); 12 - რუ (ბრესტი); 10 - ფოვერჟი (სტრასბური), რიბასი (დიჟონი); 9 - მანდრიჩი (ნიმი).

ჰოლანდია



დე ზეუვი ანგარიშს ხსნის

# ტვენტემ გამოცდა ვერ ჩააბარა

რა თქმა უნდა, ერედივიზიონის ბოლო ტურში საყოველთაო ყურადღება „აიაქსისა“ და „ტვენტეს“ მატჩისკენ იყო მიპყრობილი. გარკვეულწილად, ამ შეხვედრის შედეგი განმსაზღვრელი უნდა ყოფილიყო ჩემპიონობისთვის მომავალ ბრძოლაში.

ბევრს არ დავიწყებია პირველ წრეში ამ გუნდების შეხვედრა, რომელშიც მინიმალური ანგარიშის მიუხედავად, „ტვენტემ“ არანაირი შანსი არ დაუტოვა სახელოვან მეტოქეს. ასე რომ, ამსტერდამელებს რევანშზე ფიქრი მართებდათ, მით უმეტეს, რომ ნაგების შემთხვევაში **მარტინ იოლის** გუნდი ფაქტობრივად ეთიშებოდა საჩემპიონო რბოლას.

„აიაქსი“ თავიდანვე შეეცადა საკუთარი ამბიციების დამტკიცებას - ინიციატივას დაეუფლა და „ტვენტე“ მისსავე მოედანს მიაჯაჭვა. მაგრამ სტუმრებმა არათუ გაუძლეს „აიაქსის“ შტურმს, არამედ ერთი-ორი კონტრშეტევაც განახორციელეს, რომელიც შემთხვევითობის წყალობით არ გამოდგა შედეგიანი. ცენტრალური ფიგურა კენეტ პერესი იყო. თავიდან ის ბრაიან რუისის ბრწყინვალე პასით მეკარესთან პირისპირ გავიდა, მაგრამ დარტყმის ნაცვლად ფინტის გაკეთება მოინდომა და **ოლეგერს** ბურთის მოგერიების საშუალება მისცა. რამდენიმე წუთის შემდეგ ვეტერანმა კიდევ ერთხელ შემოირტყა თავში ხელი, რომ 5 მეტრიდან კარში ვერ გაუშვა ბურთი.

ამის შემდეგ „აიაქსმა“ სერიოზულად მოჰკიდა საქმეს ხელი. სანამ სტუმრები **სტეკელენბურგის** კარისკენ ახალ გზებს ეძებდნენ, იოლის შეგირდები წინ გავიდნენ. **დე ზეუვმა** საჯარიმოს ხაზთან მიილო მოგერიებული ბურთი და ძლიერად დაარტყა.

„ტვენტე“ დაიბნა. მან მხოლოდ ის მოახერხა, რომ საკუთარ კარს მიეჯაჭვა და კონტრშეტევის ახალი შანსის ლოდინი დაიწყო. მაგრამ სტუმრებმა ასეთი შესაძლებლობა ველარ მიიღეს და თან მეორე გოლიც გაუშვეს. **სუარესმა** საჯარიმოს ხაზიდან ძელს გაარტყა ბურთი, მაგრამ იქვე პანტელიჩი გაჩნდა და ორი მეტრიდან შეაგორა ბურთი კარში. ასე რომ, „ტვენტე“ შესვენებაზე ორბურთიანი ჩამორჩენით გავიდა, რაც ამ სეზონში არ მომხდარა.

მეორე ტაიმში ძალთა თანაფარდობა შეიცვალა. ყველასთვის გასაკვირად, „აიაქსმა“ უკან დაიხია და მეტოქეს სივრცე დაუთმო. მაგრამ ამან „ტვენტეს“ ვერ უშველა. ყველაზე სახიფათო **იანსენისა** და პერესის შორეული დარტყმები იყო. ამით შეიძლება დავასრულოთ სტუმართა გმირობების ჩამოთვლა, „აიაქსი“ კი მართალია დაცვიდან მოქმედებდა, მაგრამ გაცილებით სახიფათოდ გამოიყურებოდა. ამის შედეგი სტუმართა კარში გასული მესამე გოლი იყო. ის **ლუნდგრენმა** შექმნა, რითაც პასუხი გასცა კრიტიკოსებს, რომლებსაც მიაჩნიათ, რომ ის შემადგენლობაში სხვა მოთამაშეების ტრავმების გამო ხვდება. რასმუსმა ფლანგზე ბრწყინვალედ ითამაშა და საჯარიმოში პანტელიჩი მონახა, რომელმაც თავის მხრივ **რომედალს** გაატანინა.

**სტივ მაკლარენის** გუნდმა პირველი მარცხი იწვნია ჩემპიონატში, რაც მას ლიდერობის დაკარგვად დაუჯდა. „ეინდჰოვენი“ სამი ქულით გაიჭრა წინ, დანებებას არ აპირებს „აიაქსი“, ასე რომ, ჩემპიონობისთვის ბრძოლა ახლა იწყება.

არავის ეპარებოდა ეჭვი, რომ „ეინდჰოვენი“ შინ იოლად გაუსწორდებოდა „დენ ჰააგს“, რაც დადასტურდა კიდეც. როდრიგესის პირველ გოლამდე ლიდერს არაერთი შანსი ჰქონდა, მაგრამ ვერ გამოიყენა. მეორე ტაიმშიც ანალოგიური სცენარი ვიხილეთ - „ეინდჰოვენი“ უპირატესობას ფლობდა, „დენ ჰააგი“ კი სასწაულის იმედად იყო, რომელიც არ მოხდა. საკონტროლო გასროლა **ტოივონენმა** შეასრულა. მცველებმა საჯარიმოს მისადგომებთან დაკარგეს შვედი, რომელმაც კარგად გამოიყენა მეკარესთან პირისპირ გასვლა.

„აიაქსისა“ და „ტვენტეს“ დაპირისპირება რომ არა, ცენტრალურ შეხვედრად „ფეიენოორდისა“ და „ალკმაარის“ მატჩი ჩაითვლებოდა. თავიდანვე უნდა ითქვას, რომ **მარიო ბენის** გუნდისთვის ეს მატჩი არც ისე კარგად წარიმართა. „ეინდჰოვენთან“ და „აიაქსთან“ ზედიზედ ორი ურთულესი შეხვედრის შემდეგ, როტერდამელები ფიზიკურად გატყდნენ. ამიტომაც გასაკვირი არ არის, რომ „დე კუიპის“ მასპინძლებმა საკუთარი თამაში ვერ მოახვიეს თავს „ალკმაარს“ და საერთო ჯამში თანაბარი ბრძოლა მივიღეთ. უბრალოდ, მეტი გოლი ჩემპიონმა გაიტანა და სამი ქულა დაიმსახურა.

ანგარიში პირველი ტაიმის შუაში გაიხსნა. **მორენოს** პასს დროულად დაუხვედრა ფეხი **ელ ჰამდაუიმ** და ერთი მეტრიდან შეაგორა ბურთი კარში. თუმცა „ალკმაარის“ სიხარული დიდხანს არ გაგრძელებულა. ამის მიზეზი გახდა **პონტუს ვერნბლოომის** აბსურდული ავტოგოლი. ახალგაზრდა შვედმა უზუსტესი დარტყმა შეასრულა საკუთარი კარის დაბალ კუთხეში, რითაც გააოგნა არამარტო **რომერო**, არამედ ადგილობრივი პუბლიკა.

შესვენების შემდეგ „ალკმაარმა“ ტემპს მოუმატა და მასპინძლებს ბევრი შრომა დასჭირდათ საკუთარი კარის დასაცავად. ორჯერ ცარიელი კარიდან გამოიტანეს ბურთი როტერდამელმა მცველებმა. თუმცა არც „ალკმაარის“ მეკარე რომეროს მოუწყენია, რომელმაც **ტომასონის** ურთულესი დარტყმა მოიგერია.

საბოლოოდ, ალკმაარელებმა მაინც მიაღწიეს თავისას და გამარჯვებით აღნიშნეს ახალ სატიტულო სპონსორთან კონტრაქტის გაფორმება. საფინალო სასტვენამდე სამი წუთით ადრე მორენომ კუთხურიდან ჩაწოდებულ ბურთს შეუცვალა მიმართულება.

**XXII ტური**

| | |
|---|---|
| ვილემი-ბრედა | 1:2 |
| ეინდჰოვენი-დენ ჰააგი | 2:0 |
| როდა-სპარტა | 2:1 |
| ჰერენვეენი-უტრეხტი | 2:0 |
| ჰერაკლესი-გრონინგენი | 4:3 |
| ფეიენოორდი-ალკმაარი | 1:2 |
| ვაალვიკი-ნიიმეგენი | 0:1 |
| ვენლო-ვიტესი | 2:0 |
| აიაქსი-ტვენტე | 3:0 |

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ეინდჰოვენი | 22 | 18 | 4 | 0 | 51-14 | 58 |
| 2. ტვენტე | 22 | 17 | 4 | 1 | 42-18 | 55 |
| 3. აიაქსი | 22 | 15 | 4 | 3 | 63-17 | 49 |
| 4. ფეიენოორდი | 22 | 12 | 6 | 4 | 33-19 | 42 |
| 5. ჰერაკლესი | 22 | 11 | 3 | 8 | 31-31 | 36 |
| 6. ბრედა | 22 | 9 | 6 | 7 | 31-31 | 33 |
| 7. ალკმაარი | 22 | 10 | 2 | 10 | 35-25 | 32 |
| 8. უტრეხტი | 22 | 8 | 8 | 6 | 24-22 | 32 |
| 9. ვენლო | 22 | 6 | 9 | 7 | 31-30 | 27 |
| 10. გრონინგენი | 22 | 7 | 6 | 9 | 28-32 | 27 |
| 11. ვიტესი | 22 | 6 | 5 | 11 | 24-36 | 23 |
| 12. როდა | 22 | 6 | 5 | 11 | 27-41 | 23 |
| 13. ჰერენვეენი | 22 | 7 | 2 | 13 | 25-39 | 23 |
| 14. ნიიმეგენი | 21 | 5 | 7 | 9 | 23-35 | 22 |
| 15. სპარტა | 22 | 5 | 5 | 12 | 21-39 | 20 |
| 16. დენ ჰააგი | 22 | 4 | 6 | 12 | 20-40 | 18 |
| 17. ვილემი | 21 | 5 | 2 | 14 | 25-41 | 17 |
| 18. ვაალვიკი | 22 | 4 | 0 | 18 | 17-41 | 12 |

**ბომბარდირები:** 22 - სუარესი (აიაქსი); 15 - რუისი (ტვენტე); 12 - ტოივონენი (ეინდჰოვენი); 10 - დოსტი (ჰერაკლესი), იუნკერი (როდა); 9 - ნკუფო (ტვენტე), ფალკენბურგი (სპარტა).

პორტუგალია

# შერცხვენილი ლისაბონელები

პორტუგალიის ჩემპიონატის მორიგი ტური ლისაბონური გრანდების წარუმატებლობით აღინიშნა, თუმცა „სპორტინგთან“ მიმართებაში უფრო უპრიანი იქნება, თუ სიტყვა „შერცხვენას“ გამოვიყენებთ.

შუა კვირას პორტუგალიის თასზე „პორტუსთან“ განადგურების შემდეგ **კარლუშ კარვალიალის** გადადგომას ყველა წინასწარმეტყველებდა, მაგრამ მწვრთნელი დაინდეს. ახლა კი მას, ალბათ, ველ არაფერი უშველის. „სპორტინგმა“ ისევ წააგო, თანაც სახლში „აკადემიკასთან“.

თამაშზე ბევრი სალაპარაკო არაფერია. „სპორტინგმა“ ბურთი ჩააბარა „აკადემიკას“, ამ უკანასკნელმა კი არ იცოდა, რა ექნა ბურთისთვის. სტუმრებმა ანგარიში 35 მეტრიდან **ორლანდუს** დარტყმით გახსნეს - **რუის პატრისიუმ** ვერ გათვალა ბურთის ტრაექტორია.

„ლომებმა“ 24-ე წუთზე აღადგინეს თანაფარდობა - სტუმრების დაცვა ჩავარდა, **მუტინიო** კი თავის სტილში ახლო ძელთან ჩაუსაფრდა ბურთს და **პერეირას** ფლანგიდან ჩაწოდებული გამოიყენა. ამის შემდეგ „სპორტინგმა“ მეტოქის ნახევარზე სცადა თამაშის გადატანა, მაგრამ ეს მხოლოდ მატჩის ბოლოს მოახერხა, მანამდე კი „აკადემიკამ“ გაიტანა მეორე გოლი, რომელიც შეიძლება „ტურის აღმოჩენად“ მოვინათლოთ. „სპორტინგის“ შეტევა ჩაიშალა და სტუმრები კონტრშეტევაზე გადავიდნენ - სამი „სტუდენტი“ შვიდი ლისაბონელისკენ მირბოდა. თითქოს საშიშროება არ არსებობდა, მაგრამ ეს „შესანიშნავი“ შვიდეული დაცვაში ისე განლაგდა, რომ **ჟოაო რიბეირომ** ცენტრიდან შეაღწია საჯარიმოში და უშეცდომოდ დაარტყა. ჩვეულებრივ, ასეთი ბურთები გრანდებს გააქვთ, ამჯერად კი გრანდის კარში ვიხილეთ ბურთი.

როგორც ჩანს, ამ წაგებამ საბოლოოდ ჩამოაშორა „სპორტინგი“ ჩემპიონთა ლიგის საგზურისთვის ბრძოლას.

„ბენფიკა“ ერთი კვირის განმავლობაში მეორე მატჩს ატარებდა და შესაძლოა, „ლეირიას“ ძლევის შემდეგ ლისაბონელებმა ფიზიკურად ვერ გაძლეს სტუმრად „სეტუბალის“ წინააღმდეგ. ეს უკანასკნელი ჩემპიონატის ერთ-ერთი აუტსაიდერია და ამ მატჩში დიდ ბრძოლას არ ელოდნენ, მით უმეტეს, რომ ლიდერი ნაადრევად დაწინაურდა - **ლუისმა** მოჭრილი დაარტყა, რასაც **მარკ ზორომ** შეუცვალა მიმართულება და ეფექტური ავტოგოლი გამოუვიდა.

„სეტაბული“ დანებებას არ აპირებდა, მოედნის ცენტრი არ დათმო, ხოლო ფორვარდების - **ნეკასა** და **კეიტას** დუეტი დიდ პრობლემებს უქმნიდა სტუმართა დაცვას. ზეწოლა იმდენად დიდი აღმოჩნდა, რომ შეცდა „ბენფიკას“ ერთ-ერთი ყველაზე საიმედო მცველი **დავიდ ლუისი** - მან ბურთის ძლიერად მოგერიება გადაწყვიტა, მაგრამ ამის ნაცვლად საკუთარ კარში შეაგდო გოლი.

მეორე ტაიმში „ბენფიკა“, რა თქმა უნდა, უფრო აქტიური იყო, მაგრამ ამ გუნდში მხოლოდ **დი მარიას** შექება შეიძლება - ყველა ხიფათი სწორედ მისგან მოდიოდა, ხოლო **სავიოლა, კარდოსო, ალენ კარდეკი** „სეტუბალის“ დაცვაში ჩაიკარგნენ. **ჟესუსმა** თავისი საფირმო ჯოკერი - **ნუნუ გომეშიც** გამოუშვა მოედანზე, მაგრამ ამანაც არ უშველა...

„ბენფიკამ“ უმნიშვნელოვანესი ორი ქულა დაკარგა. მართალია, ის ნებისმიერ შემთხვევაში შეინარჩუნებს ლიდერობას, მაგრამ „ბრაგა“ წარმატების შემთხვევაში „არწივებს“ დაკარგული ქულებით გაუსწრებს, ამასობაში კი ლიდერს „პორტუც“ წამოეწია, რომელიც დიდი ხანია შევიდა ჩვეულ ფორმაში და საჩემპიონო რბოლას დაუბრუნდა.

„პორტუ“ ერთადერთი გრანდია, რომელმაც ამ ტურში გაიმარჯვა, თანაც ეს ძალების ზედმეტი დაძაბვის გარეშე გააკეთა. „ნავალთან“ მატჩის ერთადერთი ნაკლი საგოლე მომენტების სიმწირე იყო, თუმცა ასეთ თამაშშიც ჩემპიონმა შეძლო სამი გოლის გატანა.



კარდოსოს უგოლოდ დატოვა მოედანი

**XVIII ტური**

| | |
|---|---|
| სპორტინგი-აკადემიკა | 1:2 |
| სეტუბალი-ბენფიკა | 1:1 |
| ოლანენსე-ნასიონალი | 1:0 |
| რიუ ავე-ლეიქსოეში | 2:0 |
| მარიტიმუ-ლეირია | 1:0 |
| გიმარაეში-ფერეირა | 1:2 |
| პორტუ-ნავალი | 3:0 |
| ბელენენსეში-ბრაგა | 1:3 |

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ბენფიკა | 19 | 14 | 4 | 1 | 51-11 | 46 |
| 2. ბრაგა | 18 | 14 | 3 | 1 | 27-7 | 45 |
| 3. პორტუ | 18 | 12 | 3 | 3 | 38-14 | 39 |
| 4. სპორტინგი | 18 | 7 | 6 | 5 | 20-16 | 27 |
| 5. ლეირია | 19 | 7 | 5 | 7 | 23-20 | 26 |
| 6. მარიტიმუ | 18 | 7 | 4 | 7 | 26-26 | 25 |
| 7. ნასიონალი | 18 | 7 | 3 | 8 | 24-34 | 24 |
| 8. რიუ ავე | 18 | 5 | 8 | 5 | 17-16 | 23 |
| 9. გიმარაეში | 18 | 6 | 5 | 7 | 18-22 | 23 |
| 10. ფერეირა | 18 | 5 | 7 | 6 | 18-19 | 22 |
| 11. აკადემიკა | 18 | 5 | 4 | 9 | 23-28 | 19 |
| 12. ნავალი | 18 | 5 | 3 | 10 | 10-23 | 18 |
| 13. ოლანენსე | 18 | 3 | 8 | 7 | 14-24 | 17 |
| 14. სეტუბალი | 18 | 3 | 6 | 9 | 12-32 | 15 |
| 15. ლეიქსოეში | 18 | 3 | 5 | 10 | 17-31 | 14 |
| 16. ბელენენსეში | 18 | 1 | 8 | 9 | 9-24 | 11 |

**ბომბარდირები:** 16 - კარდოსო (ბენფიკა); 14 - ფალკაო გარსია (პორტუ); 10 - ედგარი (ნასიონალი), სავიოლა (ბენფიკა); 8 - ვარელა (პორტუ); 7 - სოუგუ (აკადემიკა).

ბელგია

# ანდერლეხტმა დაისვენა

გასული კვირის შუაში, როდესაც „ანდერლეხტმა“ უშუალო კონკურენტ „ბრიუგეს“ მოუგო და ქულათა სხვაობა ცხრამდე გაზარდა, საჩემპიონო რბოლის ბედი ყველამ გადაწყვეტილად ჩათვალა. მაგრამ შაბათს ლიდერი მოულოდნელად შინ „სენტ ტრუიდენთან“ დამარცხდა. თუ გახსოვთ, ეს უკანასკნელი თავის დროზე წლევანდელი სეზონის აღმოჩენად მოვნათლეთ. „სენტ ტრუიდენმა“ ჩემპიონატი ზედიზედ ხუთი მოგებით დაიწყო და გათამაშებას ლიდერობდა. ამ გამარჯვებათა სერიაში იყო საშინაო მოგება „ანდერლეხტთან“ (2:1). მართალია, ამის შემდეგ გუნდმა ნელ-ნელა დათმო პოზიციები, მაგრამ დროდადრო გვახსენებს თავს, როგორც ეს ბოლო ტურში გააკეთა და ლიდერი გააწბილა, თანაც ევროპის ლიგის საგზურისთვის ბრძოლის შანსი დაიტოვა.

„ანდერლეხტის“ წაფორხილებით „ბრიუგემ“ ვერ ისარგებლა - მან კვირას „ვარეგემს“ ვერ მოუგო, არადა, შეეძლო ლიდერთან ჩამორჩენა ექვს ქულამდე შეემცირებინა. ახლა კი ეს სხვაობა რვა ქულას უდრის, ხოლო თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ ბელგიის ჩემპიონატში გუნდებს 28-28 მატჩის ჩატარება უწევთ, „ბრიუგესთვის“ თითქმის უტოპიურია 5 ტურში ასეთი ჩამორჩენის გაბათილება.

**XXV ტური**

| | |
|---|---|
| ანდერლეხტი-სტ. ტრუიდენი | 1:2 |
| სერკლი-რუზელარე | 2:0 |
| ლოკერენი-მეხელენი | 2:1 |
| ვესტერლო-ზეერსხოტი | 1:1 |
| ვარეგემი-ბრიუგე | 1:1 |
| კორტრიიკი-შარლერუა | 2:1 |
| გენკი-სტანდარდი | 1:0 |

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ანდერლეხტი | 23 | 17 | 3 | 3 | 50-19 | 54 |
| 2. ბრიუგე | 23 | 14 | 4 | 5 | 43-29 | 46 |
| 3. გენტი | 23 | 12 | 5 | 6 | 43-26 | 41 |
| 4. ვარეგემი | 23 | 10 | 7 | 6 | 35-27 | 37 |
| 5. სტ. ტრუიდენი | 24 | 10 | 5 | 9 | 30-31 | 35 |
| 6. სტანდარდი | 24 | 9 | 8 | 7 | 35-29 | 35 |
| 7. კორტრიიკი | 23 | 9 | 7 | 7 | 29-26 | 34 |
| 8. ზეერსხოტი | 24 | 9 | 6 | 9 | 27-35 | 33 |
| 9. მეხელენი | 24 | 10 | 2 | 12 | 31-41 | 32 |
| 10. გენკი | 22 | 7 | 8 | 7 | 27-23 | 29 |
| 11. სერკლი | 22 | 7 | 5 | 10 | 34-34 | 26 |
| 12. ვესტერლო | 23 | 6 | 7 | 10 | 22-31 | 25 |
| 13. შარლერუა | 22 | 4 | 7 | 11 | 23-35 | 19 |
| 14. ლოკერენი | 22 | 4 | 3 | 15 | 18-36 | 15 |
| 15. რუზელარე | 22 | 4 | 3 | 15 | 26-51 | 15 |

**ბომბარდირები:** 12 - ლუკაკუ (ანდერლეხტი); 11 - სიდიბე (სტ. ტრუიდენი); 10 - იოვანოვიჩი (სტანდარდი), შევალიე (ვარეგემი), იანჩუკი (ლოკერენი).

გვერდი მოამზადა
**გია თვალაბეიშვილმა**

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბუნდესლიგა

# დოიჩლანდ, დოიჩლანდ... ურთიერთობა კაპუტ!

## იოახიმ ლიოვი წასვლას აღარ გამორიცხავს, მაგრამ თუ დარჩება, მხოლოდ ბირჰოფთან ერთად. ეს უკანასკნელი კი უკვე ყველას ყელში ამოუვიდა



დაპირისპირებულები: ერთ მხარეს გერმანიის საფეხბურთო კავშირის პრეზიდენტი თეო ცვანციგერი, მეორე მხარეს კი მწვრთნელი იოახიმ ლიოვი და მენეჯერი ოლივერ ბირჰოფი

ყველაფერი, რაც გერმანიის ნაკრების სამწვრთნელო შტაბისა და საფეხბურთო კავშირის პრეზიდიუმს შორის დაპირისპირებაზე გასული კვირის მიწურულს დავწერეთ, ჟურნალია იმ კინოსთან შედარებით, რაც გასულ უქმეებზე მოხდა. **იოახიმ ლიოვთან** კონტრაქტის ნაადრევად გაგრძელებაზე მოლაპარაკებების ჩაშლამ გერმანიაში დიდი აჟიოტაჟი გამოიწვია. საქმე იქამდე მივიდა, რომ ლიოვი ბუნდესგუნდის დატოვებას (მუნდიალამდე თუ მუნდიალის შემდეგ) აღარ გამორიცხავს. ამასობაში, **ოლივერ კანმა** და **შტეფან ეფენბერგმა** გერმანიის ნაკრების მენეჯერი **ოლივერ ბირჰოფი** მაგრად გააკრიტიკეს. კანმა ბირჰოფის საქციელს, რომელიც ვეტოს უფლებას ითხოვდა ბუნდესმწვრთნელის გათავისუფლებასა თუ დანიშვნაზე, თანამდებობის ბოროტად გამოყენება უწოდა.

შეგახსენებთ, რომ ლიოვმა კონტრაქტის გაგრძელებისთვის მთელი სამწვრთნელო შტაბისთვის საკმაოდ სოლიდური ჯიბის ფული მოითხოვა, ხოლო ბირჰოფმა კი იმის უფლება, რომ მის გარეშე გერმანიის ნაკრების მწვრთნელი არც დანიშნონ და არც გაათავისუფლონ. ასეთი პირობების წაყენების შემდეგ, გერმანიის საფეხბურთო კავშირის პრეზიდენტმა **თეო ცვანციგერმა** მოლაპარაკებები შეწყვიტა და ლიოვთან და მის შტაბთან ახალი კონტრაქტების გაფორმების საკითხის გადაწყვეტა მსოფლიოს ჩემპიონატის დასრულების შემდეგ გადადო.

ამ ყველაფრის შემდეგ ლიოვმა განაცხადა, რომ ამიერიდან ის მხოლოდ მომავალ მუნდიალზე იქნება კონცენტრირებული - ახლა ყველაზე მნიშვნელოვანი ის არის, რომ მსოფლიოს ჩემპიონატისთვის ჯეროვნად მოვემზადოთ. ანუ, ჯერჯერობით გაურკვეველი რჩება, რა მოხდება მუნდიალის შემდეგ - არავინ იცის, დარჩება თუ არა ლიოვი თანამდებობაზე. თვითონ არაფერს გამორიცხავს. კითხვაზე, სურს თუ არა ამ ყველაფრის შემდეგ გერმანიის ნაკრების მწვრთნელის პოსტზე მუშაობის გაგრძელება, ლიოვი ასე პასუხობს:

*„გააჩნია, ენდომებათ თუ არა ჩვენი შენარჩუნება და ვიქნებით თუ არა მზად მოლაპარაკებებისთვის. უნდა ვაღიარო, რომ ჩვენ ყველაფერი სხვაგვარად წარმოგვედგინა, მაგრამ ყველაფერი ისე არ მოხდა, როგორც ჩვენ ვფიქრობდით".*

როგორც ხედავთ, ლიოვი თითქმის ულტიმატუმის ენით საუბრობს. ცვანციგერსა და ბირჰოფს შორის მოლაპარაკებების (გერმანიის ნაკრების სამწვრთნელო შტაბის სახელით მოლაპარაკებებს ოლივერი აწარმოებს) ჩაშლის შედეგად გამოწვეულ დისკუსიებს ლიოვი ვერ იგებს და ამტკიცებს, რომ ის და მისი შტაბის წევრები აბსოლუტურად კორექტულად მოქმედებდნენ:

*„ჩვენ გვაქვს იმის უფლება, რომ გარკვეული მოთხოვნები წამოვაყენოთ. ვინც ჩვენ გვიცნობს, ისიც იცის, რომ არ ვართ ფულზე გაგიჟებულები და არც ძალაუფლების მოყვარულნი. აქ საქმე სულ სხვა რამეს, კერძოდ, გერმანიის ნაკრების პროგრესსა და წინსვლას ეხება. ჩემთვის ყველაზე ცუდი ის არის, რომ ხალხმა გაიგო ყველაფერი, რაც მოლაპარაკების მაგიდაზე ითქვა. ეს ისეთი საკითხებია, რაც საჯარო არ უნდა გამხდარიყო".*

### კანი: მიუჩინეთ ბირჰოფს თავისი ადგილი!

ამასობაში, გერმანიის ნაკრების ყოფილმა მეკარემ, გერმანული ფეხბურთის ლეგენდა **ოლივერ კანმა** ბირჰოფი მწარედ გააკრიტიკა. აი, რა თქვა ოლიმ: *„ოლივერ ბირჰოფის, როგორც ბუნდესგუნდის მენეჯერის მოვალეობაა, მოლაპარაკებები აწარმოოს ლიოვთან ერთად და არა ლიოვისთვის, კიოპკესთვის და სხვებისთვის. ბირჰოფი უბრალოდ შუამავალია ბუნდესგუნდის სამწვრთნელო შტაბსა და გერმანიის საფეხბურთო კავშირს შორის. ყველაფერი, რასაც ბირჰოფი ითხოვს, ჩემი აზრით, თანამდებობის ბოროტად გამოყენებაა. დაუშვებელი და მიუღებელია ის, რომ გერმანიის ნაკრების მენეჯერის თანხმობის გარეშე მწვრთნელი ვერც გაათავისუფლონ და მით უმეტეს, ვერც დანიშნონ. ეს ბირჰოფის კომპეტენციაში არ შედის და არც უნდა შედიოდეს. გერმანიის ნაკრების მწვრთნელს ჩვენთან საფეხბურთო კავშირის პრეზიდენტი და პრეზიდიუმი ნიშნავს და ათავისუფლებს."*

შესაბამისად, კანი აბსოლუტურად ეთანხმება პრეზიდენტ ცვანციგერს, რომელმაც ლიოვთან და ბირჰოფთან მოლაპარაკებები შეწყვიტა და კონტრაქტის გაგრძელება-გაუგრძელებლობის საკითხის გადაწყვეტა მსოფლიოს ჩემპიონატის შემდეგ გადადო.

ამავდროულად, კანი არ ეთანხმება იმას, რაც ცვანციგერმა ლიოვს უკვე დაუთმო. შეგახსენებთ, რომ გერმანიის საფეხბურთო კავშირის პრეზიდენტმა ლიოვს გერმანიის 21-წლამდელთა ნაკრებშიც სრული კარტბლანში მისცა. კანი: *„ახალგაზრდული ნაკრებები სპორტული დირექტორის, მათიას ზამერის კომპეტენციაა და ეს პიროვნება წლებია, ამ სფეროში შესანიშნავად მუშაობს. ჩვენს ახალგაზრდულ ნაკრებებს წლების განმავლობაში არანაირი ტიტული არ ჰქონდა მოგებული და მას მერე, რაც ბავშვთა ფეხბურთი ზამერს ჩააბარეს, სამი ტიტული მოვიგეთ. მე უბრალოდ ვფიქრობ, რომ ბირჰოფს ლიოვი შეცდომაში შეჰყავს, თორემ მიმაჩნია, რომ იოგი ძალიან კარგად მუშაობს. აქ პრობლემას მხოლოდ ბირჰოფი წარმოადგენს. როგორც ჩანს, ასეთი კარტბლანშის მიღების შემდეგ ბირჰოფს მიღწეული თავში აუვარდა და მადა გაუორმაგდა."*

შეიძლება ითქვას, რომ კანი ცამდე მართალია, მაგრამ პრობლემას წარმოადგენს ის ფაქტიც, რომ ბირჰოფი და ლიოვი ერთი გუნდს წარმოადგენენ და ბუნდესმწვრთნელი ამბობს, ბირჰოფის გარეშე თანამდებობაზე ერთ წუთსაც არ გავჩერდებიო.

ამასობაში გაირკვა, რომ ბოლო შეხვედრის შემდეგ, ცვანციგერს ბირჰოფისთვის ულტიმატუმი წაუყენებია - კონტრაქტზე ხელის მოსაწერად 48 საათს გაძლევთო. ეს დრო უკვე გავიდა და ხელშეკრულებები არ გაფორმებულა, რაც იმას ნიშნავს, რომ ყველაფერი ისევ ჰაერშია გამოკიდებული. ცხადია, ცვანციგერის ულტიმატუმში არ შედიოდა ლიოვისა და ბირჰოფის იმ მოთხოვნების შესრულება, რომლებზეც ზემოთ ვწერდით.

*„ძალიან გავბრაზდი იმის გამო, რომ გერმანიის საფეხბურთო კავშირი ულტიმატუმის ენით გვესაუბრება. ექვსი წელია, აქ ვმუშაობ და ამ ხნის განმავლობაში ჩემმა შტაბმა ყველაფერი გააკეთა იმისათვის, რომ გერმანიის ნაკრებს წარმატებებისთვის მიეღწია და მისი რეპუტაცია ამაღლებულიყო. ვფიქრობ, ამ ხნის განმავლობაში ბუნდესგუნდმა უდიდესი პროგრესი განიცადა და ულტიმატუმს ნამდვილად არ ვიმსახურებდით. დაუშვებელია, რომ ამ ყველაფრის შემდეგ ასე გველაპარაკებიან",* - ეს სიტყვები ლიოვს ეკუთვნის. იოგიმ ეს განცხადება ვარშავაში, ევროპის 2012 წლის ჩემპიონატის შესარჩევი ციკლის წილისყრის შემდეგ გააკეთა. ბუნდესმწვრთნელმა ისიც თქვა, რომ ამ ყველაფრის შემდეგ, მისი და შტაბის სხვა წევრების კონტრაქტების მუნდიალამდე გაგრძელება ასი პროცენტით გამორიცხულია.

ამავდროულად, ლიოვმა უარყო ისიც, რომ დეკემბერში მასსა და ცვანციგერს შორის სიტყვიერი შეთანხმება შედგა. იოგი ამბობს, ჩვენ უბრალოდ ხელი ჩამოვართვით და როგორც ჩანს, პრეზიდენტმა ეს შეთანხმებად აღიქვაო. ცვანციგერი კი გაოცებულია და ამტკიცებს, რომ შეცდომით არაფერი გაუგია. თუმცა საფეხბურთო კავშირის პრეზიდენტი იქვე დასძენს, რომ მისთვის ნომერ პირველ კანდიდატად მაინც ლიოვი რჩება.

ბირჰოფს შეუტია **ფრანც ბეკენბაუერმაც:** *„ჩემი აზრით, ცვანციგერი ძალიან კარგად მოიქცა. ბოლოს და ბოლოს, ყველას თავისი ადგილი უნდა მიეჩინოს. ბირჰოფს, რა თქმა უნდა, ჰქონდა უფლება, ასეთი რამ მოეთხოვა, მაგრამ თანხმობის მიცემა აბსურდი იქნებოდა. გერმანიის ნაკრების მწვრთნელის ბედს ყოველთვის საფეხბურთო კავშირის პრეზიდენტი წყვეტდა და მომავალშიც ასე იქნება. მენეჯერმა კი თავის საქმეს უნდა მიხედოს".*

თვითონ ბირჰოფი, რა თქმა უნდა, თავს იცავს და აცხადებს, რომ წესით, მწვრთნელის გათავისუფლება/დანიშვნაზე ვეტოს დადება მის კომპეტენციაში უნდა შედიოდეს, რადგან მენეჯერი და პრეზიდიუმის წევრია. გერმანიის ნაკრების ყოფილი კაპიტანი ამბობს, რომ ასეთ უფლებას ბოროტად არასდროს გამოიყენებდა და რომ ეს უპირატესობა ისევ და ისევ ბუნდესგუნდისთვის სჭირდებოდა და არა თავისთვის ან სულაც იმისთვის, რომ საჭიროების შემთხვევაში ლიოვი გათავისუფლებისგან ეხსნა.

ასეა თუ ისე, ფაქტი ის არის, რომ მოლაპარაკებების ჩაშლამ დიდი აჟიოტაჟი გამოიწვია. ამ ეტაპზე გამორიცხული არაფერია – მათ შორის არც ის, რომ ლიოვმა და მისი შტაბის სხვა წევრებმა პოსტები სულაც მსოფლიოს ჩემპიონატამდე დატოვონ, რაც საკმაოდ არარეალურია, მაგრამ გამორიცხული ნაღდად არ არის, რადგან ლიოვის სკამი საკმაოდ შეირყა.

### ბირჰოფისა და ეფენბერგის შეტაკება პირდაპირ ეთერში

კვირას ბირჰოფი ტელეკომპანია „სქაი სპორტში" გახლდათ მიწვეული, სადაც შექმნილ ვითარებაზე მასთან ერთად, **შტეფან ეფენბერგიც** საუბრობდა. ეფემ ტრადიციულად გულახდილად ისაუბრა და ბირჰოფი არ დაინდო – შტეფანი განსაკუთრებით იმაზე განრისხდა, რომ ბირჰოფმა და ლიოვმა ცვანციგერისგან მიღებული 48-საათიანი ულტიმატუმი შეურაცხყოფად მიიღეს.

*„48 საათი კი არა, გადაწყვეტილების მისაღებად 48 წამიც კი არ დამჭირდებოდა,* - თითქმის უყვირა ეფენბერგმა ბირჰოფს, - *გერმანიის ნაკრების მწვრთნელად ან მენეჯერად მუშაობა ნებისმიერისთვის უდიდესი პატივია!"*

ეფენბერგის შეტევას ბირჰოფმა ასე უპასუხა: *„შტეფან, მე სულ სხვანაირს გიცნობ და მოდი, არ გვინდა ამ თემის განზოგადება..."*

ეფე: *„არა, ოლი! დამიჯერე, ზუსტად 48 წამში მოვაწერდი ხელს ახალ ხელშეკრულებას. სხვა დანარჩენზე კი მერეც შეიძლებოდა მოლაპარაკება..."*

ბირჰოფი: *„მე არ ვამბობ, რომ ყველაფერში მართალი ვარ და ყველაფერი სწორად გავაკეთე, მაგრამ".*

ეფენბერგი: *„არავითარი „მაგრამ", ოლი! შენ იცი, რომ ასპროცენტიანი ვარ".* ამ დისკუსიის შემდეგ ბირჰოფი მაინც ჯიუტად ამტკიცებდა, ჩემი თანხმობის გარეშე გერმანიის ნაკრების მწვრთნელი არც უნდა დაინიშნოს და არც უნდა გათავისუფლდესო. კითხვაზე, დატოვებს თუ არა თანამდებობას, თუკი ამით ლიოვს იხსნის გათავისუფლებისგან, ბირჰოფმა ასე უპასუხა: *„რა თქმა უნდა! მაგრამ მთელი სამწვრთნელო შტაბი მხარში მიდგას!"*

დაბოლოს, ეფენბერგის სიტყვები: *„ახლა გერმანიის საფეხბურთო კავშირის ამოცანა ის არის, რომ მსოფლიოს ჩემპიონატისთვის მოვემზადოთ და დავაკვირდეთ, როგორ ითამაშებს ბუნდესგუნდი სამხრეთ აფრიკაში. ხომ შეიძლება, რომ მუნდიალზე ცუდად ვიასპაროთ? ასეთ შემთხვევაში ახალ კონტრაქტებზე საუბარი აბსოლუტური სისულელე და ძალიან სასაცილო იქნება".*



ვოლფსბურგის ბოსი დიტერ ჰიონესი და მწვრთნელი ლორენც-გიუნტერ კიოსტნერი

ვოლფსბურგი

# კიოსტნერი სეზონის ბოლომდე

## მგლებმა კარგი მწვრთნელი ვერ იპოვეს

მიუხედავად იმისა, რომ გერმანიის მოქმედ ჩემპიონ „ვოლფსბურგში" ვითარება არც **არმინ ფეჰს** გაგდების შემდეგ გამოსწორდა, კლუბის ხელმძღვანელებმა გადაწყვიტეს, რომ მთავარი მწვრთნელის თანამდებობაზე სეზონის ბოლომდე დროებით დანიშნული სპეციალისტი **ლორენც-გიუნტერ კიოსტნერი** დატოვონ. მართალია, ოფიციალურად ამას არავინ ადასტურებს, მაგრამ ასეთი გადაწყვეტილება იმის გამო იქნა მიღებული, რომ „ვოლფსბურგმა" ვერც ერთი სასურველი კანდიდატი ვერ დაითანხმა. სწორედ ამიტომ, მენეჯერმა **დიტერ ჰიონესმა** ახალი მწვრთნელის დანიშვნა ზაფხულისთვის გადადო.

ფეჰს გაგდების შემდეგ, კიოსტნერმა „ვოლფსბურგს" უკვე ორ მატჩში უხელმძღვანელა. აქედან „მგლებმა" ერთი ფრედ დაასრულეს (1:1 „ჰამბურგთან") და ერთი ისევ წააგეს (გასულ შაბათს, „ბაიერნთან" - 1:3). გუშინ ჰიონესმა განაცხადა, რომ ის ახალ მწვრთნელს მარტის ბოლოს ან აპრილში წარადგენს, მაგრამ წარდგენილი სპეციალისტი კლუბს მხოლოდ ზაფხულში, მიმდინარე სეზონის დასრულების შემდეგ ჩაიბარებს.

ჩვენი გერმანელი კოლეგები „ვოლფსბურგთან" მიმართებაში ისეთი მწვრთნელების გვარებს ახსენებდნენ, როგორებიც არიან **ბერნდ შუსტერი, გუუს ჰიდინკი** და **სვენ-გორან ერიქსონი**, მაგრამ ჰიონესმა სამივე ვარიანტი კატეგორიულად უარყო. ახალი ინფორმაციით, „ვოლფსბურგში" **ჰუუბ სტევენსის** კანდიდატურა განიხილება. ეს უკანასკნელი ახლა ზალცბურგის „რედ ბულში" მუშაობს.

გვერდი მოამზადა
**გოტფრიდ ლენცმა**

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბერძნულ-რომაული ჭიდაობა | მსოფლიოს თასი



# აზერბაიჯანმა სომხეთი იუარა

სომხურ-აზერბაიჯანული საგა ისევ გრძელდება, ოღონდ ბევრად უარესად, ვიდრე ველოდით - აზერბაიჯანის ბერძნულ-რომაული სტილით მოჭიდავეთა ნაკრები 13-14 თებერვალს ერევანში გასამართ მსოფლიოს თასზე მონაწილეობას არ მიიღებს. ტურნირში გამოსვლის სანაცვლოდ ბაქო ერევნისგან უსაფრთხოების გარანტიას ითხოვდა, რაც ამ ქვეყნების პოლიტიკური ურთიერთობებიდან გამომდინარე, გასაკვირი სულაც არ არის. სამწუხაროდ, გარანტია ვერ მიილო და ერევანში ჩასვლაზე უარი განაცხადა. ჭიდაობის საერთაშორისო ფედერაციამ მათი მდგომარეობა გაითვალისწინა და აზერბაიჯანულ ფედერაციას საჯარიმო სანქციები არ დააკისრა. თუმცა საგა ამით არ დასრულებულა და დიდი ალბათობაა, გაზაფხულზე ახალი გაგრძელებით კვლავაც იფეთქოს. საქმე ისაა, რომ 13-18 აპრილს ბაქოში ევროპის პირველობა ტარდება, სადაც, შესაძლოა, უკვე სომხეთის გუნდები არ ჩავიდნენ. ჯერჯერობით ამის შესახებ სომხურ-აზერბაიჯანულ საინფორმაციო საშუალებებში სხვადასხვა ვერსიაა. თავიდან გავრცელდა სომხეთის ჭიდაობის ფედერაციის წარმომადგენელ **ბაზმასერ არაქელიანის** სიტყვები, თუ აზერბაიჯანელები არ ჩამოვლენ, მაშინ არც ჩვენ ჩავალთ ბაქოში ევროპის პირველობაზეო, მაგრამ მოგვიანებით სომხეთის ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის ვიცე-პრეზიდენტმა **რაზმიკ სტეპანიანმა** განმარტა, რომ აზერბაიჯანელთა ჩაუსვლელობა ევროპის პირველობაში სომეხთა მონაწილეობაზე გავლენას არ იქონიებს. ამ თემაზე კომენტარი მსოფლიოს ვიცე-ჩემპიონმა **რომან ამოიანმაც** (55) გააკეთა, რომელმაც გაიხსენა, როგორ დაამარცხა მსოფლიოს პირველობაზე აზერბაიჯანელი ოლიმპიადის ვიცე-ჩემპიონი **როვშან ბაირამოვი**. ამოიანმა დაამატა, რომ დანიაში გამარჯვებამდე ბაირამოვმა ოთხჯერ მოუგო, თუმცა ახლა მეტოქეს მისი ჯინი სჭირს, აზერბაიჯანელებს კი სიურპრიზები უყვართ, რის გამოც სომხებს ბაქოში ჭიდაობა გაუჭირდებათ.

ძალიან ცუდია, მტრად მოკიდებულმა მეზობლებმა საერთო ენა რომ ვერ გამონახეს. არადა, მას შემდეგ, რაც შარშან სექტემბერში სომხეთის ძიუდოს ფედერაციამ ჩინებულად უმასპინძლა ერევანში ევროპის ახალგაზრდულ პირველობაზე ჩასულ აზერბაიჯანის გუნდს, გვქონდა იმედი, რომ საერთო ენას ესენიც გამონახავდნენ და სპორტი კიდევ ერთხელ შეასრულებდა სამშვიდობო მისიას. იმ ტურნირსაც დიდი ვნებათაღელვა უძღოდა, მაგრამ ძიუდოს სომხური ფედერაციის ხელმძღვანელთა ძალისხმევით ყველაფერი „ჰეფი ენდით" დასრულდა. მაშინ სომხურმა მხარემ თითოეულ აზერბაიჯანელს პერსონალური დაცვა მიუჩინა, მცველ-დასაცავს შორის კი იმ რამდენიმე დღეში იმდენად მეგობრული დამოკიდებულება ჩამოყალიბდა, მათი დაშორება ემოციურ მომენტადაც კი იქცა. ამასთან, სომხეთის ძიუდოს ფედერაციის პრეზიდენტმა **ალექსან ავეტისიანმა** პოლიტიკურად სწორი ორი ნაბიჯი გადადგა - გახსნის ცერემონიალზე აზერბაიჯანის დროშა თავის შვილს გაატანინა, ჩემპიონატის დასასრულს გამართულ ბანკეტზე კი ორჯერ დაუკვეთა აზერბაიჯანული სიმღერა. მაშინ სომხებმა იმდენად კარგად უმასპინძლეს მეზობლებს, რომ იმ ტურნირის გამარჯვებულმა **ელმარ გასიმოვმა** (100) ბაქოში დაბრუნებისას განაცხადა, კიდევ ერთხელ დიდი სიამოვნებით წავიდოდი ერევანშიო. ძალიან ცუდია, ძიუდოისტებისგან განსხვავებით, მოჭიდავეებმა საერთო ენა რომ ვერ გამონახეს.

მსოფლიოს თასზე აზერბაიჯანელთა ნაცვლად საერთაშორისო ფედერაციამ დანიის, უზბეკეთის და შვედეთის გუნდები შეიგულა, თუმცა ერევანში ჩასვლა უზბეკებმაც იუარეს (ოღონდ არა პოლიტიკური მოტივით). შედეგად, საერთაშორისო ფედერაციამ ორიგინალური გადაწყვეტილება მიიღო - დანიელები და შვედები ერთ გუნდად გააერთიანა და ტურნირზე სკანდინავიის ქვეყნების ნაკრების სახელით დაუშვა. ბარემ აქვე მონაწილეთა სრულ სიასაც გაგაცნობთ - საქართველო, რუსეთი, თურქეთი, ირანი, კუბა, უნგრეთი და სომხეთი.

ამ ტურნირისთვის ჩვენი ნაკრები გლდანში ემზადება, ერევანში კი 11 თებერვალს გაემგზავრებიან, თუმცა **ბეგი დარჩია** უძლიერესი შემადგენლობით ვერ მიდის. გუნდს ორი გამოკვეთილი ლიდერი დააკლდება - ევროპის ჩემპიონი და მსოფლიოს ვერცხლის პრიზიორი **ბადრი ხასაია** (84) და ევროპისა და მსოფლიოს ჩემპიონი, ოლიმპიადის ვიცე-ჩემპიონი **რამაზ ნოზაძე** (96). ნოზაძეს ადრე ნატკენი ნეკნი ჯერაც არ მორჩენია. მეტიც - ვარჯიშებზე კიდევ უფრო გაიმიზეზა და არის საშიშროება, ევროპის ჩემპიონატიც გამოტოვოს. ხასაიას ტრავმები არ აწუხებს, მაგრამ თავის ტკივილებისა და გაციების გამო ლამის მთელი შეკრება გაუცდა. ამდენად, დარჩიას ხელში გადახალისებული გუნდი შერჩა: **ლაშა გოგიტაძე** (55), **რევაზ ლაშხი** (60), **მანუჩარ ცხადაია**, **ანტონ მამაგეიშვილი** (66), **გენადი გოგიშვილი** (74), **არსენ კახაბრიშვილი** (84), **იოსებ ჯაბიძე** (96), **დიმიტრი ჯავახიშვილი** (120). ამათგანაც ცხადაიას და ჯაბიძეს კოჭის მცირე ტრავმები აწუხებთ, თუმცა არც იმდენად საშიშ ფორმებში და მაინც ვარჯიშობენ.

**ირაკლი თავაძე**

ჭადრაკი

# აეროფლოტი ფრთებს დღეიდან გაშლის

მოსკოვში დღეს იწყება საერთაშორისო საჭადრაკო ფესტივალი *Аэрофф лот open n010*, რომელსაც რუსეთის დედაქალაქი მეცხრედ მასპინძლობს. ტურნირის საპრიზო ფონდია 180 000 ევრო, ბლიცში მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევი შეჯიბრების ჩათვლით.

რეიტინგების მიხედვით ოთხი ღია ტურნირი (A1, A2, B და C) ჩატარდება შვეიცარიულ სისტემით 9 ტურად. თითოეულ მოჭადრაკეს 40 სვლისთვის ეძლევა 100 წუთი, შემდეგი 20 სვლისთვის 50 წუთი და 15 წუთი პარტიის ბოლომდე ყოველ სვლაზე 30 წამის დამატებით.

ყველაზე დიდ ინტერესს, ცხადია, A1 ჯგუფი იწვევს, სადაც თავი მოიყარეს 2550 და მეტი რეიტინგის მქონე მოჭადრაკეებმა. როგორებიც არიან: ფრანგები — **ეტიენ ბაკრო** და **მაქსიმ ვაშიე-ლაგრავი**, რუსები — **ევგენი ბარეევი**, **ალექსეი დრეევი**, **ალექსანდრ ხალიფმანი**, ბულგარელი **იან ჩეპარინოვი**, ჩინელი **სიანჟი ბუ**, ამერიკელი **გატა კამსკი**, ვენესუელელი **ედუარდო იტურისაგა** და სხვები. მათ შორისაა ქართველი დიდოსტატი **ლელა ჯავახიშვილი**. მის გარდა, მანდილოსანთაგან ვაჟებს შეებრძოლებიან ფრანგი **მარი სებაგი**, ჩინელი **ჰოუ იფანი** და რუსი დები — **ნადეჟდა** და **ტატიანა კოსინცევები**. მთავარი პრიზისთვის სულ 72 დიდოსტატი და 4 საერთაშორისო ოსტატი იბრძოლებს.

**ვაჟა დანელია**



ლელა ჯავახიშვილი

წყალხტომა

# მეტი ჯილდოც შეიძლებოდა

ეინდჰოვენის თასის გათამაშებაზე ქართველმა წყალმხტომელებმა შარშან ხუთი მედალი მოიპოვეს, წლეულსაც ამდენივე ჯილდო მოიხვეჭეს, უფრო მეტიც შეიძლებოდა, რომ არა აშკარად მიკერძოებული მსაჯობა. საქართველოს წყალთა სახეობების ფედერაციის გენერალურმა მდივანმა **ირაკლი ბართაიამ**, რომელიც ჰოლანდიაში არბიტრად იყო მიწვეული, სამმეტრიანი ტრამპლინიდან ხტომებისას, კოლეგების უსამართლობით აღშფოთებულმა, სამსაჯო პულტიც კი მიაგდო და ორგანიზატორთა თხოვნით მხოლოდ 10 წუთის შემდეგ დაუბრუნდა თავის ადგილს.

ტიტების ქვეყანაში 15 ქვეყნის 280-მა წარმომადგენელმა მოიყარა თავი. წინა წლებთან შედარებით უფრო ძლიერი სპორტსმენებიც გამოვიდნენ სარბიელზე. უფროსებში **ჭოლა ჭანტურიამ** და **შოთა კორახაშვილმა** სამმეტრიანი ტრამპლინიდან სინქრონული ხტომაში მეორე ადგილი დაიკავეს. ირაკლი ბართაიას თქმით, მათ რომ თავიანთი შესაძლებლობები ბოლომდე გამოემჟღავნებინათ, პირველობას ვერავინ შეეცილებოდა.

სამმეტრიანი ტრამპლინიდან ხტომებში ჭოლამ ბრინჯაოს მედალი დაიმსახურა. მას ჰოლანდიელებმა — **იურიკ დე ბრულინმა** და მისმა თანაგუნდელმა, ევროპის შარშანდელი ჩემპიონატის ფინალისტმა **რამონ დე მეიჯერმა** გაუსწრეს. მეოთხე ადგილი კორახაშვილს ხვდა. ასევე მეოთხე იყო ქალებში **სალომე ჯუღელი**, რომელიც წლეულს გადავიდა უფროსებში და ამ შეჯიბრებაზე შესაძლებლობის მაქსიმუმი გაიღო, თანაც ორი ახალი ხტომა უნაკლოდ შეასრულა.

ცხრამეტწლამდელებში 16 წლის **აკაკი ივანიშვილი** 3-მეტრიანი ტრამპლინიდან ხტომაში მეათე იყო, მისმა თანატოლმა **თეონა ყაჭეიშვილმა** ამავე ასაკში ერთმეტრიანი ტრამპლინიდან მეშვიდე ადგილი დაიკავა.

შარშან წლის მიწურულს შეიქმნა ახალი წყვილი აკაკი ივანიშვილისა და **ალექსანდრე გუჯაბიძის** შემადგენლობით. ამ დუეტმა ეინდჰოვენში სამმეტრიანი ტრამპლინიდან სინქრონულ ხტომაში ბრინჯაოს მედალი დაიმსახურა შვეიცარიელებისა და ბერძნების შემდეგ. სამაგიეროდ, გუჯაბიძემ თექვსმეტწლამდელებში 10-მეტრიანი კოშკურიდან ხტომაში „ვერცხლი" მოიპოვა, სამმეტრიანი ტრამპლინიდან კი მეოთხე ადგილი ერგო.

**თამარ სიჭინავამ** შარშან ორი ოქროს მედალი წამოიღო ეინდჰოვენიდან. წლეულს კი ერთს დასჯერდა — შვიდმეტრიანი კოშკურიდან ხტომაში აჯობა ყველას. არადა, მეტოქეებზე ორი-სამი წლით უმცროსია. სამმეტრიანი ტრამპლინიდან ხტომაში თამარს მეოთხე ადგილი ხვდა.

მალე ჩვენი წყალმხტომელები ახალ შეჯიბრებებში გამოცდიან ძალებს.

**ვაჟა დანელია**



ჭოლა ჭანტურია და შოთა კორახაშვილი

ფარიკაობა

# უკეთ გვმართებს ქნევა ხმლისა

ქართველი მოფარიკავეები წლის მნიშვნელოვანი შეჯიბრებებისთვის მზადებას განაგრძობენ. ბოლო ათი დღის განმავლობაში ხმლით მოფარიკავეებმა **ბექა ბაზაძემ** და **ლაშა მიქელაძემ** უფროსთა შორის ორ შეჯიბრებაში იასპარეზეს. ათენში „აკროპოლისის თასზე", რომელიც ფარიკაობის საერთაშორისო ფედერაციის ეგიდით გაიმართა და სხვადასხვა ქვეყნის 107 წარმომადგენელი მონაწილეობდა, მიქელაძემ 84-ე, ბაზაძემ კი 88-ე ადგილი დაიკავეს. უარესი შედეგი აჩვენეს ბუდაპეშტის გრან-პრის გათამაშებაში — შესაბამისად, 115-ე და 128-ე ადგილები. ახლა ორივე სპორტსმენი კიევში იმყოფება საწვრთნელ შეკრებაზე, საიდანაც მომავალ შაბათ-კვირას რუსეთის დედაქალაქს გაემგზავრებიან „მოსკოვის ხმალში" საასპარეზოდ. იქ მათ შეუერთდებიან ნაკრების მთავარი მწვრთნელი **მერაბ ბაზაძე** და **თათია აფციაური**. თვის ბოლოს კი ჩვენი მოხმალავენი პლოვდივის „გრან-პრიზე" გამოვლენ.

კადეტებმა ლონდონში ევროპის თასზე მოიყარეს თავი. ეს ტურნირი სინგაპურის მსოფლიო ახალგაზრდობის ოლიმპიური თამაშებისთვის ერთ-ერთი მოსამზადებელი შეჯიბრება იყო. მოხმალავე **მიხეილ მარდალეიშვილმა** 125 მონაწილეს შორის 31-ე ადგილი დაიკავა. მან საკმაოდ იოლად მოუგო იტალიელ (15:7) და უნგრელ (15:4) სპორტსმენებს. მესამე წრეში კი ამერიკელ მეტოქესთან (ევროპის ფარიკაობის ფედერაციამ ამერიკელები ოფიციალურად დაუშვა შეჯიბრებაზე) დათმო შეხვედრა 13:15, არადა, თავიდან ორთაბრძოლას 8:2-ს იგებდა. ამ ტურნირზე სანდრო ბაზაძე 87-ე იყო, ხოლო **თეოდორა კახიანმა** 25-ე ადგილი დაიკავა.

როგორც ფარიკაობის ეროვნული ფედერაციის გენერალურმა მდივანმა **დავით სახვაძემ** გვითხრა, 20-21 თებერვალს ახალგაზრდა ქართველი მუშკეტერები (სამეულს რაპირისტი **არჩილ უგულავა** დაემატება) ბულგარეთის საერთაშორისო ტურნირზე გაემგზავრებიან. ასპარეზობის მერე იქვე დარჩებიან საწვრთნელ შეკრებაზე და 1-7 მარტს ათენში კადეტთა ევროპის პირველობაზე მოსინჯავენ ძალებს.

**ვაჟა დანელია**

ეროვნული ბიბლიოთეკა

კალათბურთი



ვიქტორ სანიკიძე



მანუჩარ მარკოიშვილი

# წყვილი მოგება

## 5-5 და 4-4

იტალიის ჩემპიონატის მე-17 ტურში ქართველმა კალათბურთელებმა ქულებით ვერ გაგვანებივრეს: **მანუჩარ მარკოიშვილმა** 4-4, ხოლო **ვიქტორ სანიკიძემ** - 5-5 ქულა-მოხნა მიითვალა. თუმცა, თამამად შეიძლება ითქვას, რომ მათ გამარჯვებაში თანაგუნდელებზე არანაკლები წვლილი მიუძღვით.

დავიწყოთ მანუს „კანტუთი", რომელმაც კრემონას „ვანოლის" უმასპინძლა და ყოველგვარი დაძაბულობის გარეშე მოუგო. მეექვსე წუთისთვის კანტუელები უკვე 20:8-ს იგებდნენ. მათ მატჩის მომდევნო 34 წუთშიც არ მოუდუნებიათ ყურადღება და 21-ქულიან გამარჯვებას მიაღწიეს - 89:68.

მანუჩარმა ოთხივე ქულა მეორე პერიოდის ბოლოს ჩააგდო. იგი სასტარტო შემადგენლობაშიც იყო და ალბათ, ბოლო წუთებსაც ითამაშებდა, 38-ე წუთზე მეხუთე ჯარიმა რომ არ მიელო. 24 წუთში მარკოიშვილმა 4 ქულას ამდენივე მოხსნა და 1 პასი მიამატა.

მატჩის ბომბარდირი „კანტუს" ამერიკელი ლეგიონერი **ჯერი გრინი** გახდა - 25 ქულა.

„ვანოლის" შემადგენლობაში 32 წუთი ითამაშა **ერლ როულანდმა**, რომელმაც 15 ქულა, 5 მოხსნა და 4 პასი გაიფორმა. როულანდი 2009 წლის ევროპის ჩემპიონატზე ბულგარეთის ნაკრებში თამაშობდა. თუ სხვა უკეთესი ვერ ნახეს, ბულგარელები ამ ზაფხულს თბილისში სწორედ კრემონელ გამთამაშებელს ჩამოიყვანენ.

■ ■ ■

„ვირტუსი"-"ბიელას" მატჩში ვიქტორ სანიკიძე სასტარტო ხუთეულში ვერ ვიხილეთ, თუმცა, როგორც ყოველთვის, მწვრთნელმა იგი გადამწყვეტი წუთებისთვის შემოინახა და ქართველმაც იმედი არ გაუცრუა.

ბიელაში 76:79 წაგების შემდეგ ვირტუსელებს ძალიან სურდათ, საკუთარი გულშემატკივრისთვის დაემტკიცებინათ, რომ მეტოქეზე უკეთესები არიან. თუმცა ბიელელებმა 36 წუთის განმავლობაში მასპინძლებს არაფერი დაუთმეს. სირენამდე 4 წუთით ადრე **პიეტრო არადორიმ** ორქულიანით „ბიელას" ჩამორჩენა ოთხამდე შეამცირა - 61:65. საპასუხო იერიშისას ვიქტორ სანიკიძემ სამქულიანი ისროლა, თუმცა ბურთმა მიზანს ვერ უწია. ამ ანგარიშის შეცვლა მაინც სანიკიძემ შეძლო: ორი საჯარიმო ზუსტად სტყორცნა და - 67:61. ამ ეპიზოდის შემდეგ გაიხსნა ამერიკელი **დევიდ მოსი** (სხვათა შორის, ბულგარელები მას პასპორტს სთავაზობენ და ნაკრებში ეპატიჟებიან), რომელმაც 9:2 გაქცევაში 7-ქულიანი წვლილი შეიტანა. „ვირტუსმა" 79:66 მოიგო.

მოსმა როულანდს „მიბაძა", 15 ქულა და 5 მოხსნა ჩაიწერა, ხოლო ვიქტორ სანიკიძემ 20 წუთში 5-5 ქულა-მოხსნა, 2 პასი და 1 დაფარება მიითვალა. მან 3-დან 1 ორქულიანი და 6-დან 3 საჯარიმო გამოიყენა. აქვე დავამატებთ, რომ „ბიელას" კალათბურთელები ყველაზე მეტჯერ სწორედ სანიკიძეზე დაჯარიმდნენ - 6-ჯერ.

„კანტუ" და „ვირტუსი" კვლავ მეზობლები არიან: ორივეს 10-10 მოგება აქვს და სატურნირო ცხრილში მეოთხე-მეხუთე ადგილებს ინაწილებენ. მე-18 ტურში სანიკიძის გუნდი მე-11 გამარჯვებას რომ მოიპოვებს, წინასწარაა ცნობილი - დასუსტებულ „ნაპოლის" ეთამაშება. „კანტუს" კი მძიმე ბრძოლა ელის სტუმრად „მონტეგრანაროსთან". ეს მატჩები 14 თებერვალს გაიმართება.

**ვაჟა სიმონიშვილი**

# ცქიტიშვილი

ესპანეთის ჩემპიონატში მე-13 მატჩი წააგო **ნიკა ცქიტიშვილის** „ფუენლაბრადამ". მადრიდელებმა ალიკანტეში ადგილობრივ „მერიდიანოსთან" 82:85 დათმეს.

საქართველოს ნაკრების ფორვარდმა 21 წუთი ითამაშა, 3-დან 2 ორქულიანი, 4-დან 1 სამიანი ჩააგდო და 7 ქულა მიითვალა, რასაც 2 მოხსნა მიამატა. „ფუენლაბრადას" რიგებში 10-ქულიანი ბარიერი ორმა კალათბურთელმა გადალახა: **ჯერალდ ფიშმა** 20 ქულა ჩააგდო, ხოლო **ზაზა ფაჩულიას** ყოფილმა თანაგუნდელმა **ესტებან ბატისტამ** - 18.

მართალია, **ტაირონ ელისი** წლეულს საქართველოს ნაკრებში აღარ ითამაშებს, მაგრამ ინერციით მივყვეთ და მის გარჯაზე ორიოდე სიტყვა ვთქვათ. ელისის „კახასოლმა" მადრიდის „ესტუდიანტესი" სევილიაში 83:78 დაამარცხა. ტაირონმა 29 წუთში 8 ქულა ჩააგდო.

**გიორგი შარაბიძესა და თორნიკე შენგელიას** „ვალენსიაში" არც ამჯერად უთამაშიათ. ვალენსიელებმა მათ გარეშე „გრანადას" 87:67 მოუგეს.

ცქიტიშვილის „ფუენლაბრადას" 21 ტურის შემდეგ 8 მოგება აქვს და ორი გამარჯვებით ჩამორჩება მერვეადგილოსან „ესტუდიანტესს" (პლეი ოფში 8 საუკეთესო გადის), ხოლო ორი მოგებით უსწრებს გასავარდნ ზონაში მყოფ „ბილბაოს".

„კახასოლს" 13 მოგება აქვს და მეხუთე ადგილზეა, ხოლო „ვალენსია" 14 გამარჯვებით მეოთხეა.

**ვაჟა სიმონიშვილი**

# უგრეხელიძემ ზლატოროგს თავი შეახსენა

სლოვენიის ჩემპიონატში **დავით უგრეხელიძემ** ყოფილი კლუბის, „ზლატოროგის" (ორი წლის წინათ „პივოვარნა" ერქვა) წინააღმდეგ ითამაშა. სტუმრად გამართულ შეხვედრაში დათო „კუპერის" კალათბურთელთა შორის ყველაზე გამორჩეული იყო: 30 წუთში 14 ქულა, 6 მოხსნა, 5 პასი, 1 ჩაჭრა და 2 დაფარება მოაგროვა. ქართველმა ცენტრმა მოედანზე 30 წუთი გაატარა, თუმცა მეტსაც ითამაშებდა, ხუთი ფოლი რომ არ მიელო.

„კუპერს" 17 მატჩიდან მხოლოდ 4 აქვს მოგებული და სლოვენიის პირველობის სატურნირო ცხრილში ბოლოსწინა, მე-11 ადგილზეა. მომდევნო ტურში უგრეხელიძის თანაგუნდელებს მეხუთე მოგების შანსი მიეცემათ - ბოლოადგილოსან „სენტურს" უმასპინძლებენ.

**ვაჟა სიმონიშვილი**

# ტრავმირებული კოჭით

გერმანიის ბუნდესლიგაში **ლაშა გამყრელიძემ** ტრავმირებული ფეხით მეორე მატჩი ჩაატარა. *„კოჭი მაწუხებს, ბოლო კვირაში უკვე მეორედ გადამიბრუნდა, თუმცა ტრავმა იმდენად სერიოზული არ არის, რომ მოედანზე ვერ გავიდე"*, - გვითხრა გამყრელიძემ.

მან „ბროსესთან" გასვლით შეხვედრაში 19 წუთი ითამაშა და მეტოქის კალათის მიმართულებით სამჯერ ისროლა - ორი ორქულიანი და ერთი სამიანი. საბოლოოდ მის ანგარიშზე 2 ქულა, 4 პასი, 1 მოხსნა და 3 ჩაჭრა დაფიქსირდა.

არაფერი გვითქვამს ლაშას გუნდის, „მიტელდოიჩერის" გამოსვლაზე. სათქმელი ბევრიც არაფერია - მასპინძელმა „ბროსემ" ვეისენფელსელები 19 ქულის სხვაობით დაამარცხა - 74:55.

ამ წაგებით „მიტელდოიჩერს" მოგებათა და წაგებათა თანაბარი რაოდენობა მოუგროვდა - 11-11. ასეთი მაჩვენებელი კიდევ ოთხ გუნდს აქვს და მერვე-მეთერთმეტე ადგილებს ინაწილებს. 13 დეკემბერს დოიჩერელები მეთექვსმეტეადგილოსან „ფენიქსს" მიიღებენ.

**ვაჟა სიმონიშვილი**

# გასეირნება სლოვენიაში

ადრიატიკის ლიგაზე **ვლადიმერ ბოისას** „ზადარმა" სლოვენიაში „ჰელიოსთან" იოლად გაიმარჯვა - 111:65.

ვოვა ამჯერადაც სასტარტო ხუთეულში იყო, თანაგუნდელებს 20 წუთში 9 ქულით, 1 მოხსნით, 2 პასითა და 1 ჩაჭრით შეეწია. ბოისამ ცხრავე ქულა შორეული ტყორცნებით მიითვალა - 4-დან 3 სამიანი გამოიყენა. აქედან ორი შორეული ტყორცნა ვოვამ საწყის 7 წუთში ჩააგდო და ხორვატების გაქცევას ჩაუყარა საფუძველი - 15:5. ზადარელთაგან ყველაზე მეტი **ჰროვე პერიჩმა** მოაგროვა - 19 ქულა.

„ზადარს" 11 მოგება, 9 წაგება აქვს და ადრიატიკის ლიგის სატურნირო ცხრილში მეშვიდე ადგილზეა. ბოისას გუნდი მომდევნო მატჩს 13 თებერვალს შინ სერბულ „ჰემოფარმთან" ჩაატარებს. სხვათა შორის, 12 მოგებით სატურნირო ცხრილში მეოთხე ადგილზე სწორედ „ჰემოფარმია". ადრიატიკის ლიგის მომდევნო ეტაპზე სწორედ საუკეთესო ოთხეული გადის.

**ვაჟა სიმონიშვილი**



ვლადიმერ ბოისა

ჩოგბურთი



# ჩიხლაძე მსოფლიო კლასიფიკაციას გამოაკლდა

გუშინ WTA-მ და ATP-მ რეიტინგლისტები განაახლეს, ქართველ ჩოგბურთელთა პოზიციები დიდად არ შეცვლილა, ამიტომ მხოლოდ ჩამონათვალს გთავაზობთ. ქალები: 163 (-) **ოქსანა კალაშნიკოვა** - 352 ქულა; 178 (-) **ანა ტატიშვილი** - 328; 212 (-) **მაკა ჩახნაშვილი** - 258; 349 (+2) **სოფიო შაფათავა** - 109; 439 (+1) **სოფიო ქვაცაბაია** - 77; 473 (+2) **მანანა შაფაქიძე** - 66; 483 (+2) **თათია მიქაძე** - 63; 538 (-) **ეკა გორგოძე** - 50; 1030 (+1) **მაგდა ოქრუაშვილი** - 6; 1080 (+3) **ია ჯიქია** - 4. ვაჟები: 551 (+1) **ნიკოლოზ ბასილაშვილი** - 48 ქულა; 1087 (+4) **ლაზარე კუხალაშვილი** - 6; 1495 (+2) **გიორგი ცივაძე** - 1; 1591 (+2) **სოზარ გოქაძე** - 1; 1591 (+2) **ნოდარ ითონიშვილი** - 1; 1591 (+2) **გიორგი რევაზიშვილი** - 1.

როგორც ხედავთ, მსოფლიო კლასიფიკაციას **ლადო ჩიხლაძე** დაემშვიდობა. ლადომ ბოლოს ერთი წლის წინათ ითამაშა ინდივიდუალურ ტურნირზე, მარტში მან დევისის თასზე ბოლოჯერ დაიცვა საქართველოს ღირსება და შემდეგ საქართველოს ჩემპიონატში ითამაშა. დასანანია, 24 წლის ჩოგბურთელი, გამორჩეული მონოდების პატრონი, მოულოდნელი ტრავმის გამო რომ ემშვიდობება სპორტს. ლადოს კარიერის საუკეთესო შედეგი 350-ე ჩოგნობა (22 წლის ასაკში) იყო. ახალგაზრდულ მსოფლიო რეიტინგში ის 32-ე ჩოგანი იყო (2002 წელს). სხვათა შორის, **ნიკა ბასილაშვილმა** სან ხოსეს (აშშ) ტურნირის ერთი საკვალიფიკაციო ეტაპის დაძლევისთვის შემდეგი ორშაბათისთვის საუკეთესო 500-ეულში კარიერაში პირველად დაიბევა ადგილი.

აშშ-ის ქალაქ მიდლენდში ქალთა საერთაშორისო ტურნირი დაიწყო, რომლის საპრიზო ფონდი 100 ათასი ამერიკული დოლარია. ძირითად ბადეში საქართველოს მე-2 ჩოგანი ანა ტატიშვილი ითამაშებს. საკვალიფიკაციოში კი ბედი 19 წლის მაგდა ოქრუაშვილმა სცადა, მაგრამ მე-4 ნომრად განთესილ სლოვენიელ **პეტრა რამპრესთან** (383) წააგო - 2:6, 3:6. ძირითად ბადეში კი საკმაოდ ძლიერი შემადგენლობაა, ანა ტატიშვილი იქ ყველაზე დაბალი რეიტინგით მოხვდა.

მალიორკაში (ესპანეთი, 10 ათასი$) რიგით მეორე საერთაშორისო ტურნირი დაიწყო. სოფიო ქვაცაბაია აქაც განთესილთა შორისაა (მე-5 ჩოგანი), ჩვენებური საკვალიფიკაციო ბადის გამარჯვებულ პოლონელ **კატარჟინა კავას** (759) შეხვდება. ეკა გორგოძე მე-4 ნომრად განთესილ მასპინძელ **ლარა არუაბარენას** (439) ეთამაშება. ძირითად ბადეში მოხვედრა კიდევ ორ ჩვენებურს სურდა, 14 წლის **მარიამ ქურასბედიანი** ფრანგ **სოლენ ფიშოსთან** დამარცხდა - 4:6, 0:6, 16 წლის **ნინო სუჯაშვილმა** კი ორი ეტაპის დაძლევა შეძლო, მან ჯერ ესპანელ **ალეხანდრა სალას** მოუგო - 6:2, 6:3, შემდეგ პირველ ნომრად განთესილ პოლონელ **კლაუდია გავლიკს** (652) - 4:6, 6:2, 6:4. ნინო ფინალურ წრეში ჩეხ **კლარა ელინგეროვასთან** დამარცხდა - 3:6, 1:6 და ძირითადი ტურნირის მიღმა დარჩა.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

ვანკუვერი 2010

# საჩუქარი ჟურნალისტებს

vancouver 2010

სპეციალურად ვანკუვერის იოლიმპიური თამაშებისთვის კომპანია RED BULL-მა შექმნა მედია ინსტრუმენტი სპორტული ჟურნალისტებისათვის, კომენტატორებისა და სპორტული გადაცემების წამყვანებისთვის. იგი შედგება USB Flash Stick-ისგან, რომელიც ავტომატურად იტვირთება ახალი ინფორმაციით სერვერთან მიერთებისას, თუ სერვერი შეიცავს ყველა საჭირო ინფორმაციას სპორტსმენებზე, მათ ფოტოებს, ინტერვიუებსა და ბიოგრაფიებს.

ინსტრუმენტი ძალიან გამოსადეგი და საინტერესო იქნება მედიის წარმომადგენლებისთვის. დავძენთ, რომ იგი უკვე მიიღო „ლელოს" რედაქციამ, რაც ოლიმპიადაზე აკრედიტებულ ჩვენს კორესპონდენტებს უთუოდ წაადგებათ მუშაობაში.

თბილისის მერიის სპორტის საქალაქო სამსახური თანაგრძნობას უცხადებს ხელბურთის სპორტული ცენტრის დირექტორს, საქართველოს დამსახურებულ მწვრთნელს ჯემალ ბარამიძეს მამის

სერგო ბარამიძის

გარდაცვალების გამო.

საქართველოს ხელბურთის ფედერაცია თანაგრძნობას უცხადებს საქართველოს დამსახურებულ მწვრთნელს ჯემალ ბარამიძეს მამის

სერგო ბარამიძის

გარდაცვალების გამო

ეროვნული ბიბლიოთეკა

ექვსი ერი

# ბასტარომ საფრანგეთს მოაგებინა, ჰესკელმა ინგლისს

ექვსი ერის გათამაშების პირველი ტურის სამივე შეხვედრა ლოგიკურად დასრულდა. საკითხავი მხოლოდ ერთი იყო, რამდენად შეძლებდა ბუქმეიკერების მიერ ფავორიტად შერაცხილი საფრანგეთის ნაკრები მასზე გაცემული ავანსების „განაღდებას".

თავიდანვე უნდა ითქვას, რომ „ლე ბლემ" გაამართლა. **მარკ ლიევრემონმა** კრიტიკოსები დაადუმა და შოტლანდიის ნაკრები სტუმრად დაამარცხა. მატჩამდე ყველაზე მეტი ხმაური ნაკრებში შუამარბ **მატიე ბასტაროს** ჩართვამ გამოიწვია. „სტად ფრანსეს" 21 წლის ამომავალმა ვარსკვლავმა მაქსიმუმი გაიღო. ის ერთნაირად ბრწყინვალე იყო როგორც დაცვაში, ისე შეტევაში თამაშისას. მეტოქე ორჯერ დაალელოვა და ფრანგებს პირველი გამარჯვება მოუტანა - 18:9.

ორივე ლელო ბასტარომ პირველ ტაიმში გაიტანა, თუმცა მე-10 წუთზე ანგარიში საჯარიმოდან შოტლანდიელთა ფულბეკმა **კრის პატერსონმა** გახსნა - 3:0. ოთხი წუთის შემდეგ კი ბასტარომ თავისი პირველი ლელო გაიტანა. ცხრა ნომერმა **მორგან პარამ** გარდასახვა ვერ გამოიყენა, თუმცა 13 წუთში საჯარიმო დაარტყა ზუსტად - 8:3.

გამარჯვების მომტანი ლელო ბასტარომ 33-ე წუთზე მიითვალა. პარა ამჯერად ზუსტი იყო - 15:3. პატერსონმა სხვაობის შემცირება პირველ ნახევარშივე მოახერხა - 15:6.

მეორე ტაიმი ნაკლებად შთამბეჭდავი გამოდგა. ფრანგები ვითარების ფორსირებას მოერიდნენ და პრაგმატული რაგბის თამაში დაიწყეს. მასპინძლებმა თითქოს სათამაშო უპირატესობის მოპოვება შეძლეს, რამდენჯერმე მრავალფაზიანი შეტევის ორგანიზებაც მოახერხეს, თუმცა საფრანგეთის ნაკრების ლელოში ვერაფრით შეაღწიეს.

საბოლოოდ, გუნდები თითო-თითო საჯარიმოს გაცვლას დასჯერდნენ და შეხვედრა სრულიად დამსახურებულად ფრანგების გამარჯვებით დასრულდა. რაც უნდა საკვირველი იყოს, მატჩის გმირად დასახელდა ფრანგთა რვა ნომერი **იმანოლ არინორდოკი**, რომელიც გუნდის შეტევების სულისჩამდგმელი და ერთ-ერთი ყველაზე აქტიური მოთამაშე იყო.

მეორე ტურში საფრანგეთის ნაკრები ირლანდიას უმასპინძლებს, რომელმაც შინ უპრობლემოდ დაამარცხა ექვსი ერის სავარაუდო აუტსაიდერი - იტალიის ნაკრები - 29:11.

ექვსი ერის მოქმედმა ჩემპიონმა მატჩის ბედი ჯერ კიდევ პირველ ნახევარში გადაწყვიტა. 36-ე წუთისთვის „სამყურები" 23:8 იგებდნენ. **ჯიმი ჰისლიპისა** და **ტომას ოლირის** ლელოები ირლანდიელთა მგეზავმა **რონან ოგარამ** ზუსტად გარდასახა. მანვე პირველ ტაიმში კიდევ სამი საჯარიმო გაიტანა. რაზეც იტალიელებმა გარემარბ **კაინ რობერტსონის** ლელოთი და **კრეიგ გოუერის** საჯარიმოთი უპასუხეს - 23:8.

მეორე ნახევარი ამ შეხვედრაშიც ულიმლამო გამოდგა. რონან ოგარამ და **დევიდ ვოლესმა** თითო-თითო საჯარიმო გაიტანეს. საპასუხოდ ირლანდიელთა კარი ერთხელ გარემარბმა **მირკო ბერგამასკომ** დალაშქრა - 29:11.

იტალიის ნაკრებში თვალში საცემია ნატურალიზებულ მორაგბეთა სიმრავლე. ძირითადი შემადგენლობის 15 მოთამაშიდან ნაღდი იტალიელი მხოლოდ სამია. ძმები, **მირკო და მაურო ბერგამასკოები** და რვა ნომერი **ალესანდრო ძანი**, რომელმაც ძირითად შემადგენლობაში ტრავმირებული არგენტინელის **სერჯო პარისეს** ადგილი დაიკავა.

როგორც მოსალოდნელი იყო, ყველაზე საინტერესო და უხვლელოიანი, „თვიქნემზე" ინგლისისა და უელსის ნაკრებების დაპირისპირება გამოდგა. „პომებმა", რომლებიც რეტროს სტილის მაისურებით თამაშობდნენ, მეტოქე 30:17 დაამარცხეს.

არადა, რომ არა უელსელთა მეორეხაზელ **ალან ჯოუნზის** საბედისწერო შეცდომა, შესაძლო იყო, მატჩი სრულიად განსხვავებული შედეგით დასრულებულიყო. არბიტრმა ჯოუნზი ათი წუთით 34-ე წუთზე გააძევა, როცა ანგარიში საყაიმო - 3:3 იყო. ინგლისელებმა რიცხობრივი უპირატესობა გამოიყენეს და ათ წუთში 17 ქულის აღება შეძლეს.

**ჯეიმზ ჰესკელისა** და **დენიელ კარის** ლელოები **ჯონი ვილკინსონმა** გარდასახა, მანვე მონაგარს საჯარიმოდან კიდევ სამი ქულაც მიუმატა -20:3. უელსელებმა, 17-ქულიანი ჩამორჩენის მიუხედავად, ბოლომდე იბრძოლეს და 71-ე წუთისთვის სხვაობა სამ ქულამდე შეამცირეს, თითო-თითო ლელო **ადამ ჯოუნზის** და **ჯიმი ჰუკის** ანგარიშზეა. **სტივენ ჯოუნზმა** ორივეჯერ გარდასახა - 17:20.

ინგლისელებმა ბოლო ათი წუთი ისევ ალმავლობით ჩაატარეს. 75-ე წუთზე ჰესკელმა მეორე ლელო მიითვალა. ვილკინსონმა, რომელიც გუნდს ამჯერადაც ბრწყინვალედ გეზავდა, გარდასახვაც გაიტანა და ერთი საჯარიმოც მიაყოლა - 30:17.

**შოტლანდია-საფრანგეთი 9:18**

შოტლანდია (15-9) პატერსონი, თ.ევანსი, მ.ევანსი, მორისონი, ლამონტი, გოდმენი (საუთვილი 52), კუზიტერი. (1-8) დიკინსონი, ფორდი (ლოუსონი 66), ლოუ (ჯაკობსენი 52), ჰეინესი (გრეი 68), კელოკი, ბრაუნი, ბარკლი, ბეტი.

*3ს: პატერსონი*

საფრანგეთი (15-9) პუატრენო, ფალი, ბასტარო, ჟოზიონი, რუჟერი (კლერი 5), ტრინ-დუკი, პარა. (1-8) დომინგო, სერვა (შუარუევსკი 50), მასი (დუკალსონი 45), ნალე, პაპე (პიერი 65), დუსატუარი (ბონარე 66), უერდრაოგო, არინორდოკი.

*2ლ: ბასტარო. 2ს,გ: პარა.*

მსაჯი: ნაიჯელ ოუენსი (უელსი)

**ინგლისი-უელსი 30:17**

ინგლისი (15-9) დ.არმითიჯი, კუეტო, ტაიტი, ფლუდი (ჰიპკისი 77), მონი, ვილკინსონი, კარი (ჰოჯსონი 76). (1-8) პეინი, ჰარტლი (თომსონი 59), ვილსონი (კოლი 59), შოუ, ბორტვიკი, ჰესკელი, მუდი (ს.არმითიჯი 76), ისთერი,

*3ლ: ჰესკელი (2), კრი. 3ს,3გ: ვილკინსონი.*

უელსი (15-9) ბირნი, ტ.ჯეიმზი (ჰალპფენი 64), ჰუკი, რობერტსი, შ.ვილიამსი, ს.ჯოუნზი, კუპერი (რისი 67). (1-8) პ.ჯეიმზი, გ.ვილიამსი (ბენეტი 53), ა.ჯოუნზი, ვ.ჯოუნზი, ჩარტერისი (დევისი 54), პაუელი (ტომასი 67), მ.ვილიამსი, რ.ჯოუნზი.

*2ლ: აჯოუნზი, ჰუკი. 2გ,ს: ს.ჯოუნზი.*

მსაჯი: ალან როლანი (ირლანდია).

**ირლანდია-იტალია 29:11**

ირლანდია (15-9) კირნი, ბოუი, ოდრისკოლი, დარსი, ტრიმბლი, ოგარა (პ.ვოლესი 68), ოლირი. (1-8) ჰილი, ფლენერი (ბესტი 56), ჰეიესი, კალენი, ოკონელი (რაიანი 67), მაკლოჰლინი, დ.ვოლესი, ჰისლიპი.

*2ლ: ოლირი, ჰისლიპი. 2გ: ოგარა, 5ს: ოგარა (4), დ.ვოლესი.*

იტალია (15-9) მაკლინი, რობერტსონი (მასი 59), კანალე, გარსია, მირკო ბერგამასკო, გოუერი (ბოჩინო 66), ტიბალდი (პიკონე 66). (1-8) პერუჯინი, ჯილარდინი (ონგარო 73), კასტროჯოვანი (აგუერო 56), დელ ფავა (ბორტოლამი 50), გელდენჰუისი, სოლე, მაურო ბერგამასკო, ალესანდრო ძანი.

*ლ: რობერტსონი. 2ს: გოუერი, მირკო ბერგამასკო.*

მსაჯი: რომენ პუატი (საფრანგეთი).

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ირლანდია | 1 | 1 | 0 | 0 | +18 | 2 |
| 2. ინგლისი | 1 | 1 | 0 | 0 | +13 | 2 |
| 3. საფრანგეთი | 1 | 1 | 0 | 0 | +9 | 2 |
| 4. შოტლანდია | 1 | 0 | 0 | 1 | -9 | 0 |
| 5. უელსი | 1 | 0 | 0 | 1 | -13 | 0 |
| 5. იტალია | 1 | 0 | 0 | 1 | -18 | 0 |

**II ტური**

**13 თებერვალი**

უელსი-შოტლანდია

საფრანგეთი-ირლანდია

**14 თებერვალი**

იტალია-ინგლისი



მატიე ბასტაროს ლელო

ლეგიონერები



ბურთით მამუკა მაგრაქველიძე

# ლიდერი შეიცვალა: ჟლენტის ოიონაქსმა ფეიქრიშვილის აჟენს გაასწრო

საფრანგეთის სარაგბო ჩემპიონატის ელიტურ, მეორე დივიზიონში მე-20 ტურის შეხვედრები გაიმართა, რის შემდეგაც მიმდინარე გათამაშებაში პირველად სატურნირო ცხრილს სათავეში **ანტონ ფეიქრიშვილის** „აჟენი" აღარ უდგას. ლიდერობა ამჯერად ხელთ იგდო **გიორგი ჟლენტის** „ოიონაქსმა", თუმცა აჟენელებს ერთი მატჩი თადარიგში აქვთ.

„აჟენმა" სტუმრად ითამაშა პლეი ოფში მოხვედრისთვის მებრძოლ „გრენობლთან" და ფრეს დასჯერდა - 12:12. ფეიქრიშვილი სათადარიგოთა შორის იყო და თამაშში 50-ე წუთიდან ჩაერთო.

აჟენელთა წაფორხილებით ისარგებლა გიორგი ჟლენტის „ოიონაქსმა", რომელმაც შინ დაამარცხა **გურამ კავთიძის** „ლიონი" - 21:6. ამ შეხვედრაში ელიტურ, მეორე დივიზიონში კავთიძის დებიუტი შედგა. ჩვენებურმა ტრავმა მოირჩინა და გუნდის მწვრთნელმა პირდაპირ ძირითად შემადგენლობაში ანდო ადგილი. გურამი 59-ე წუთზე შეცვალეს. ძირითადში ითამაშა ჟლენტმაც, რომელმაც მოედანი 76-ე წუთზე დატოვა.

რაგბისთვის უცნაური ანგარიშით - 3:3 დასრულდა **გიორგი კუთარაშვილის** „დაქსის" საშინაო შეხვედრა „პოსთან". კუთარაშვილი თადარიგში იყო და თამაშში მე-12 წუთიდან ჩაერთო.

სტუმრად დამარცხდა „ბორდოსთან" **მამუკა მაგრაქველიძის** „ტარბი" - 9:16 „ქირვანა" მოედანზე 50-ე წუთიდან გამოჩნდა., რეგულარული გათამაშების დასრულებამდე ათი ტურით ადრე „ტარბს", ქართველ მორაგბეთა გუნდებთაგან ყველაზე ცუდი სატურნირო მდგომარეობა აქვს. ჩვენებურის გუნდი 37 ქულით მე-12 ადგილზეა.

მართალია, ტარბელები ბოლოსწინა, მე-15 ადგილზე მყოფ „ექსს" 13 ქულით უსწრებენ, მაგრამ დარჩენილ ათ ტურში ყველაფერია მოსალოდნელი. ერთი სიტყვით, დივიზიონიდან გავარდნის თეორიული შანსი ისევ არსებობს, ამიტომ მაგრაქველიძეს და კომპანიას მოდუნების უფლება არ აქვთ.

სტუმრად წააგო ერთ-ერთ აუტსაიდერ „კოლომიესთან" **ლევან დათუნაშვილის** „ორიაკმა"- 9:13. დათუნაშვილმა საქართველოს ნაკრებში ითამაშა. ორიაკელები 45 ქულით მე-9 ადგილზე არიან და მარცხის მიუხედავად პლეი ოფში მოხვედრის შანსს მაინც ინარჩუნებენ.

**საფრანგეთი. II დივიზიონი: XX ტური:** გრენობლი - აჟენი 12:12, ბორდო - ტარბი 16:9, ნარბონი - ექსი 43:10, კოლომიე - ორიაკი 13:9, დაქსი - პო 3:3, ოში - მონ დე მარსანი 3:19, ლანამეზანი - ლა როშელი 5:31, ოიონაქსი - ლიონი 21:6.

**სატურნირო მდგომარეობა:** 1. ოიონაქსი - 65 ქულა, 2. აჟენი - 64, 3. ლა როშელი - 58, 4. ნარბონი - 56, 5. გრენობლი - 54, 6. ლიონი - 53, 7. პო - 53, 8. ბორდო - 49, 9. ორიაკი - 45, 10. დაქსი - 45, 11. მონ დე მარსანი - 38, 12. ტარბი - 37, 13. ოში - 37, 14. კოლომიე - 30, 15. ექსი - 24, 16. ლანამეზანი - 10.

პორტუგალია-საქართველო. 13 თებერვალი

# ნატრიაშვილის ნაცვლად ფეიქრიშვილს უხმეს

საქართველოს ნაკრებმა 2011 წლის მსოფლიო თასის შესარჩევი ტურნირის მორიგი მატჩისთვის მზადება დაიწყო. „ბორჯღალოსნები" სანვრთნელ შეკრებაზე საფრანგეთის საკურორტო ქალაქ კანში იმყოფებიან და გუშინ პირველი ვარჯიში გამართეს.

გერმანიასთან თამაშისას დაშავებული შერკინების კვაჭის, **ირაკლი ნატრიაშვილის** (ფარული) ნაცვლად **ტიმ ლეინმა** ნაკრებში საფრანგეთის ელიტური, მეორე დივიზიონის ლიდერ „აჟენში" მოთამაშე შერკინების ბურჯს, **ანტონ ფეიქრიშვილს** უხმო.

შეგახსენებთ, რომ საქართველოს ნაკრები 13 თებერვალს ლისაბონში პორტუგალიის ნაკრებს დაუპირისპირდება. მატჩი თბილისის დროით 19 საათზე დაიწყება.

**საქართველოს ნაკრები:**

პირველი ხაზი: დავით ზირაქაშვილი (კლერმონი), დავით ქუბრიაშვილი (ტულონი), დავით ხინჩაგიშვილი (ბრივი), აქვსენტი გიორგაძე (კასტრი), ანტონ ფეიქრიშვილი (აჟენი).

მეორე ხაზი: ილია ზედგინიძე (კარკერენი), გიორგი ნემსაძე (მასი), ლევან დათუნაშვილი (ორიაკი).

მესამე ხაზი: გია ლაბაძე (მარსელი), გიორგი ჩხაიძე (მონპელიე), ბესო უდესიანი (სენტ ეტიენი), ლაშა თავართქილაძე (ფარული), დიმიტრი ბასილაია (ლე ბუგე).

№9: ირაკლი აბუსერიძე (ოსერი), ბიძინა სამხარაძე (ფარული).

№10: ლაშა მალაღურაძე

№12-13: ირაკლი გიორგაძე (შამბერი), თედო ზიბზიბაძე (პერიგო), დავით კაჭარავა (ნიცა).

№11-14: ირაკლი მაჩხანელი (სენტ ეტიენი), მალხაზ ურჯუკაშვილი (ფიჟაკი), ალექსანდრე თოდუა (ლელო), ირაკლი ჩხიკვაძე (აია).

№15: მერაბ კვირიკაშვილი (ფიჟაკი).

გვერდი მოამზადა
**ბესიკ ჯანგავაძე**

www.sport.gov.ge

ეროვნული ბიბლიოთეკა

კალათბურთი. NBA. რეგულარული ჩემპიონატი



# მოჯადოებული ბოსტონი

გუშინ გამართული ორი შეხვედრიდან ერთ-ერთში „ტორონტომ" პროგნოზისამებრ უპრობლემოდ დაამარცხა „საკრამენტო კინგზი", რომელიც ამჟამად ღრმა კრიზისში იმყოფება. კანადელებმა პირველივე წუთებიდან ხელთ იგდეს ინიციატივა და თავიდანვე მიანიშნეს მეტოქეს, ვინ იყო მოედნის ბატონპატრონი. **ანდრეა ბარნიანისა** და **ჰედო თურქოგლუს** უნარიანი მოქმედებით, „ტორონტო" პირველივე მეოთხედში გაიქცა. თუმცა **პოლ უესტფოლმა** საჭირო დარიგებები მისცა თავისიანებს და „საკრამენტოს" თამაში უფრო შინაარსიანი გახდა. როგორც იქნა, გაილვიძა **კევინ მარტინმა**, ფარქვეშ ათამაშდა **სპენსერ ჰეივსი**... კალიფორნიელებმა მეტოქეს საკუთარი თამაში მოახვიეს თავს და თანდათან შეამცირეს სხვაობა, მესამე მეოთხედის ბოლოს კი „მეფეებმა" წინ გასვლაც მოახერხეს.

მაგრამ ამით სტუმრების ზღაპარი დასრულდა. ბოლო მეოთხედში თავისი სიტყვა თქვა „ტორონტოს" ლიდერმა **კრის ბოშმა**. მასპინძლების მძიმე ფორვარდმა კიდევ ერთხელ გამოავლინა ლიდერის ფუნქციები. ბოლო მეოთხედში სწორედ მისმა 12 ქულამ განაპირობა ფინალური გაქცევა, რისი გაბათილებაც „კინგზმა" ველარ შეძლო.

როგორც ჩანს, „ორლანდო" „ბოსტონისთვის" ყველაზე უხერხულ მეტოქედ იქცა. პლეი ოფის შარშანდელი სერიიდან მოყოლებული, „კელტები" ვერაფერს უხერხებენ ფლორიდელებს და თამაშს თამაშზე აგებენ მათთან. გამონაკლისი არც „ბოსტონ გარდენში" გამართული გუშინდელი შეხვედრა ყოფილა. გამოჯანმრთელებული **პოლ პირსის** დახმარებითაც ვერ შეძლო „სელტიქსმა" „მეჯიქის" დამარცხება.

თუმცა მასპინძლებისთვის ყველაფერი კარგად იწყებოდა. პირველი მეოთხედის ერთი ქულით მოგების შემდეგ, **დოკ რივერსის** ბიჭები მეორე 12-წუთეულში 10 ქულით გაიჭრნენ წინ. ამ გაქცევაში გუნდის ლიდერებთან ერთად სათადარიგო კალათბურთელებმაც შეიტანეს დიდი წვლილი და შესვენებისთვის „ბოსტონის" უპირატესობამ 11 ქულა შეადგინა.

ამით „მწვანეებისთვის" კარგი ამბები დასრულდა. მესამე მეოთხედში მხოლოდ ერთი გუნდი თამაშობდა. **ვან განდის** ბიჭებმა ნამდვილი ქარიშხალი დაატრიალეს მოედანზე და 12 წუთში 25 ქულა (!) მოიგეს. „ბოსტონი" ბევრს ეცადა მდგომარეობის გამოსწორებას, მაგრამ მისი ბოლო გაბრძოლება ამაო აღმოჩნდა.

ეს მატჩი მნიშვნელოვანია „ბოსტონის" ვეტერან **კევინ გარნეტისთვის** - მან ცხრაჯერ მოხსნა ფარიდან ასხლეტილი ბურთი და კარიერაში 11 960 მოხსნა დააგროვა. ამ მაჩვენებლით მან **დენის როდმანს** გადაუსწრო. მოქმედ კალათბურთელებს შორის უკეთესი შედეგი ერთადერთ მოთამაშეს აქვს - **შაკილ ო'ნილს** (12 879). გარნეტი ჯერ ვერ შევიდა ყველა დროის ოც საუკეთესო მომხსნელის სიაში - მას ამისთვის 246 მოხსნა აკლია.

**ტორონტო-საკრამენტო 115:104**

**31:24, 31:35, 22:28, 31:17**

ტ: ბოში (36+11 მოხსნა+5 პასი), ბარნიანი (22+8 მოხსნა), თურქოგლუ (16+5 პასი), რაიტი (16+5 მოხსნა).

ს: მარტინი (24+7 მოხსნა), ჰაუსი (14+11 მოხსნა), გრინი (13+5 მოხსნა), ევანსი (11+9 პასი), ნოჩიონი (11), ტომპსონი (10+6 მოხსნა).

**ბოსტონი-ორლანდო 89:96**

**24:23, 27:17, 11:36, 27:20**

ბ: რონდო (17+9 პასი+8 მოხსნა), ალენი (14), გარნეტი (13+9 მოხსნა), პირსი (13).

ო: კარტერი (20), ჰოვარდი (16+13 მოხსნა), ნელსონი (15), ლუისი (14), ბარნსი (11).

შემთხვევა

# ორი ტრაგედია

ვანკუვერის ოლიმპიადის წინ ამერიკის ჰოკეისტთა ნაკრებში ცუდი განწყობაა. გუნდის გენერალური მენეჯერის **ბრაიან ბურკის** ვაჟი - **ბრენდონ ბურკი** ავტოკატასტროფაში მიღებული ტრავმებით გარდაიცვალა.

ინციდენტი ინდიანას შტატში მოხდა. ჯიპი, რომლის საჭესთანაც 21 წლის ბურკი იჯდა, სატვირთო მანქანას შეეჯახა.

ბრაიან ბურკმა მონაწილეობა უნდა მიიღოს ვანკუვერის ოლიმპიადის გახსნის ცერემონიაში, მაგრამ ახლა უცნობია, საერთოდ დაესწრება თუ არა ის თამაშებს.

■ ■ ■

ტრაგიკულად დაიღუპა ველოსპორტში იტალიის ნაკრები მენეჯერი, მსოფლიოს ყოფილი ჩემპიონი **ფრანკო ბალერინი**.

45 წლის იტალიელის დაღუპვის მიზეზი ავტოავარიაა, რომელიც ტოსკანიას პროვინციის ქალაქ ლარჩანოში ჩატარებული რალის დროს მოხდა. როგორც „გაძეტა დელო სპორტი" წერს, ბალერინი პილოტ **ალესანდრო კიარდის** შტურმანი იყო. მათი მანქანა ტრასიდან გადავარდა.

ბალერინი იტალიის ნაკრების მენეჯერი იყო, რომლის ხელმძღვანელობითაც გუნდი 2006-08 წლებში ჩემპიონი ხდებოდა. იმ ნაკრებში ლეგენდარული ველომრბოლელები - **მარიო ჩიპოლინი, პაოლო ბეტინი** და **ალესანდრ ბალანი** გამოდიოდნენ. სწორედ ბალერინის მეთაურობით მოიგო იტალიამ ოქრო ათენის ოლიმპიური თამაშებზე.

ჩოგბურთი. ტურნირების მიმოხილვა

# ჩილიჩის მეორე ტიტული

ხორვატიაში, სამხრეთ აფრიკასა და ჩილეში ავსტრალიის ღია პირველობის შემდეგ პირველი ტურნირები გაიმართა. ევროპასა და აფრიკაში ჩოგბურთელებმა ამერიკული ჰარდისთვის დაიწყეს მზადება, სამხრეთ ამერიკაში კი სათიხნარო სეზონი გაიხსნა.

მონაწილეების კლასისა და საპრიზო ფონდის მხრივ ყველაზე პრესტიჟული ზაგრების ტურნირი იყო. განსაკუთრებული ინტერესი ავსტრალიის ღიას ნახევარფინალისტ **მარინ ჩილიჩისკენ** იყო მიპყრობილი. საწყის ეტაპებზე ხორვატმა ჯამში მხოლოდ 7 გეიმი დაუთმო მეტოქეებს, სამაგიეროდ, **ივო კარლოვიჩმა** და **იურგენ მელცერმა** დიდი ბრძოლა გაუმართეს ATP-ის ტურის ამომავალ ვარსკვლავს, მაგრამ ორ სეტში ერთნაირი ანგარიშით - 6:7, 4:6 წააგეს.

სატურნირო ბადის ქვედა ნაწილში აშკარა ფავორიტი არ ყოფილა - **ივან ლუბიჩიჩმა** ვერ გაამართლა ტურნირის მეორე ნომრის სტატუსი და მეორე წრეში დამარცხდა, ხუთი გერმანელიდან კი ნახევარფინალამდე ორმა მიაღწია - **მიხაელ ბერერმა** და **ფილიპ პეცშნერმა**. პირველმა **იანკო ტიპსარევიჩს** მოუგო, პეცშნერმა თანამემამულე **ბენიამინ ბეკერი** შეაჩერა. უფრო გამოცდილი ბერერი კარიერაში პირველად გავიდა ფინალში და იქ სერიოზული წინააღმდეგობა გაუწია ჩილიჩს - გერმანელი ერთადერთი ჩოგბურთელი აღმოჩნდა ტურნირზე, ვინც ხორვატს სეტი მოუგო. თუმცა გადამწყვეტ მომენტებში გერმანელი შეცდომებს უშვებდა - მესამე სეტში მან ექვსი ბრეიკპოინტი გაანიავა, თავად კი ერთი გეიმი წააგო თავის მოწოდებაზე - 4:6, 7:6 (7:5), 3:6. ბრძოლა 2 საათსა და 38 წუთს გაგრძელდა. ჩილიჩი პირველი ჩოგბურთელია ამ სეზონში, რომელმაც უკვე ორი ტიტულის მოგება მოასწრო, ამასთან, ხორვატი სტაბილურად იმეორებს 2009 წლის შედეგებს. ჩენაიში ტიტულის დაცვის შემდეგ, მან წარმატებით ითამაშა ავსტრალიის ღიაზე, შემდეგ კი ზაგრებში გაიმეორა შარშანდელი მიღწევა. ვნახოთ, როგორ გაგრძელდება ეს სერია. ცნობისთვის, 2009 წელს ზაგრებული ტრიუმფის შემდეგ მარინმა ოქტომბრის დასაწყისამდე ნახევარფინალში გასვლაც ვერ შეძლო.

■ ■ ■

ცუდი შემადგენლობა არც იოჰანესბურგში შეიკრიბა: სატურნირო ბადეს საუკეთესო ოცეულის ორი მოთამაშე ედგა სათავეში - **გაელ მონფილსი** და **დავიდ ფერერი**, რომლებმაც აშკარად ჩააგდეს ავსტრალიის ღია. მონფილსმა დამაჯერებლად გაიარა პირველი სამი წრე, მაგრამ ნახევარფინალში პირველივე სერიოზულ მეტოქესთან წააგო - **ფელისიანო ლოპესმა** სამ სეტში გაიმარჯვა - 3:6, 6:1, 7:6 (7:1).

მეორე ნახევარფინალიც ფრანგულ-ესპანური იყო. ფერერმა მონფილსზე იოლად დაძლია სასტარტო რაუნდები, მაგრამ ნახევარფინალში ვერაფერი მოუხერხა 29 წლის **სტეფან რობერს**, რომელიც თავისი ხანგრძლივი კარიერის განმავლობაში რეიტინგის საუკეთესო ასეულშიც არ ყოფილა.

ნახევარფინალში რობერმა ლამაზ სტილში დაამარცხა ფერერი (7:5, 6:4). გადამწყვეტ მატჩში ლოპესი უფრო აქტიური იყო და ფრანგმა მხოლოდ პირველ ათ გეიმში მოახერხა წინააღმდეგობის გაწევა, რის შემდეგაც მისი თამაში საბოლოოდ მოიშალა - 5:7, 1:6. ლოპესისთვის ეს მეორე ტიტულია კარიერაში და პირველი 2004 წლის შემდეგ.

■ ■ ■

თუ აფრიკასა და ხორვატიაში ტურნირები სწრაფ საფარზე გაიმართა, სანტიაგოში თიხნარის სეზონმა აიღო სტარტი. ლათინურამერიკული სერია ყველაზე ნელ ქვიშაზე იმართება და ევროპელთაგან აქ მხოლოდ ესპანელები ჩადიან. ტრადიციულად ფავორიტი ჩილელი **ფერნანდო გონსალესი** იყო. უკვე მეოთხედფინალში მასპინძელთა მთავარ იმედს დიდი წინააღმდეგობა გაუწია **მარტინ გრანოლერსმა**, რომელსაც ორივე პარტია ტაი-ბრეიკით მოუგო. თითქოს **ტომას ბელუჩისთან** მატჩში ფერნანდოს იოლი გასეირნება უნდა ჰქონოდა, მაგრამ ჩილელმა იმდენი ქნა, რომ 6:3, 4:2-დან დათმო ნახევარფინალი - 6:3, 4:6, 3:6.

სატურნირო ბადის ქვედა ნაწილიდან დამაჯერებლად მიიწევდა ფინალისკენ არგენტინელი **ხუან მონაკო**. მან ამ გზაზე მხოლოდ ერთი სეტი დათმო. გადამწყვეტ მატჩში ბრძოლა მხოლოდ მესამე სეტში იყო. პირველი პარტია უძლიერესი მოწოდებების ხარჯზე ბრაზილიელმა აიღო, მეორეში მეტოქის შეცდომები კარგად გამოიყენა მონაკომ, მესამეში კი იღბალი ბელუჩის მხარეს აღმოჩნდა და საბოლოოდ, 21 წლის ბრაზილიელმა კარიერაში მეორე ტიტული მიითვალა - 6:2, 0:6, 6:4.

**ATP**

**PBZ Zagreb Indoors**

**ზაგრები (ხორვატია). პარდი**

ფინალი

მარინ ჩილიჩი (ხორ, 1)-მიხაელ ბერერი (გერ) 6:4, 6:7 (5:7), 6:3.

**SA Open**

**იოჰანესბურგი (ს. აფრიკა). პარდი**

ფინალი

ფელისიანო ლოპესი (ესპ, 3)-სტეფან რობერი (საფ, 8) 7:5, 6:1.

**Movistar Open**

**სანტიაგო (ჩილე)**

ტომას ბელუჩი (ბრა, 3)-ხუან მონაკო (არგ, 2) 6:2, 0:6, 6:4.



# ერთა თასი არ იქნება

ჩოგბურთში მსოფლიოს გუნდური ჩემპიონატი არ გაიმართება. შეგახსენებთ, რომ ერთი თვის წინ სერბმა **ნოვაკ ჯოკოვიჩმა** ახალი ტურნირის - ერთა თასის კონცეფცია გაახმოვანა. მისი მიხედვით, 32-მა გუნდმა ორ წელიწადში ერთხელ ათი დღის განმავლობაში უნდა გაარკვიოს პლანეტის საუკეთესო ნაკრების ვინაობა. ასეთმა წინადადებამ ბევრი მოთამაშის მოწონება დაიმსახურა, რადგან დიდი ხანია ისინი გადატვირთული კალენდრის გამო ჩივიან.

თუმცა პროფესიონალ ჩოგბურთელთა ასოციაციამ და ჩოგბურთის საერთაშორისო ფედერაციამ ეს წინადადება არ მოიწონეს. *„ჩვენ ორ აბსოლუტურად განსხვავებულ ტურნირზე ვლაპარაკობთ. დევისის თასი ერთია, ერთა თასი - მეორე. მეორე ტურნირის საწინააღმდეგო არაფერი გვაქვს. ნებისმიერი პრომოუტერი მოინდომებს ამგვარი ჩემპიონატის გამართვას,* - განაცხადა ჩოგბურთის ფედერაციის პრეზიდენტმა **რიკი ბიტიმ**. - *კალენდარი ყოველწლიურია. ორ წელიწადში ერთი ტურნირის გამართვა სისულელეა. ჩვენ უამრავი პრობლემა გვაქვს ოლიმპიადასთან დაკავშირებით, რომელიც ოთხ წელიწადში ერთხელ იმართება, ამიტომაც კიდევ ერთი თავის ტკივილი არ გვჭირდება".*

რიკი ბიტიმ ასევე აღნიშნა, რომ ეჭვი ეპარება ახალი ტურნირის ორგანიზატორებმა მოახერხონ მსოფლიოს ყველა საუკეთესო ჩოგბურთელების შეკრება. მისი სიტყვებით, სამიოთხი ტოპჩოგბურთელის არყოფნა სერიოზულ ფინანსურ ზარალს გამოიწვევს.

საწინააღმდეგო ბანაკში კი იმას უსვამენ ხაზს, რომ უკვე დღეს **როჯერ ფედერერმა** და **ენდი მიურეიმ** უარი თქვეს მარტში დევისის თასის მერვედფინალში გამოსვლაზე. იგივე გააკეთეს **ჯეიმს ბლეიკმა** და **ენდი როდიკმა**, ხოლო **რაფაელ ნადალი** ტრავმას მკურნალობს.

■ ■ ■

მსოფლიოს პირველი ჩოგანი **სერენა უილიამსი** არ ითამაშებს WTA-ის პარიზის ტურნირში (GDF SUEZ-2010), რომელმაც გუშინ აიღო სტარტი. უარის მიზეზი ფეხის ტრავმა გახდა, რომელიც ამერიკელს ჯერ კიდევ ავსტრალიის ღია პირველობის მსვლელობისას აწუხებდა.

სერენას ხუთჯერ უთამაშია პარიზის ტურნირში და ორჯერ გამარჯვებას მიაღწია - 1999 და 2003 წლებში. თანაც უმცროსმა უილიამსმა ორჯერვე ფინალში ადგილობრივი პუბლიკის კერპი **ამელი მორესმო** დაამარცხა.

წელს GDF SUEZ-2010 8-14 თებერვალს გაიმართება და მისი საპრიზო ფონდი 700 ათას დოლარს შეადგენს.

სავარაუდოდ, ამ ტურნირში მონაწილეობას ამელი მორესმო მიიღებს, რომელიც მოქმედი ჩემპიონი გახლავთ. ეს მისი ბოლო ოფიციალური სტარტი იქნება დიდ ჩოგბურთში.

გვერდი მოამზადა
გია თვალაბეიშვილმა

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ამერიკული ფეხბურთი




# წმინდანებმა ცხენები მოარჯულეს

რიგით 44-ე სუპერბოული, რომელიც თავისი მნიშვნელობითა და დონით არ ჩამოუვარდება (და ხანდახან აღემატება კიდეც) ჰოკეის სტენლის თასს, NBA-ის ფინალურ სერიასა და ფეხბურთში მსოფლიოს ჩემპიონატს, მაიამიში Sun Life Stadium-ზე გაიმართა. ერთმანეთს ხვდებოდნენ ამერიკის საფეხბურთო კონფერენციის (AFC) ჩემპიონი „ინდიანაპოლის კოლტსი“ და ეროვნული საფეხბურთო კონფერენციის (NFC) საუკეთესო გუნდი - „ნიუ ორლეან საინტსი“. სპეციალისტთა აზრით, ამ წყვილში ფავორიტი „ინდიანაპოლისი“ იყო, რომელსაც ორჯერ ჰქონდა მოგებული სუპერბოული, აქედან ერთხელ 1971 წელს „ბალტიმორ კოლტსის“ სახელით.

AFC-ის ფინალში „ცხენებმა“ 30:17 დაამარცხეს „ნიუ იორკ ჯეტსი“. უფრო დაძაბული აღმოჩნდა NFC-ის გადამწყვეტი მატჩი „ნიუ ორლეანსა“ და „მინესოტა ვიკინგს“ შორის, რომელიც „წმინდანების“ ოვერტაიმში გამარჯვებით დასრულდა - 31:28. აღსანიშნავია, რომ „საინტსმა“ წინა სეზონთან შედარებით მკვეთრად მოუმატა თამაშს, მაგრამ ფინალში მის გასვლას ცოტა ვინმე თუ ელოდა.

„საინტსმა“ წარმატებას ხარისხიანი თავდასხმის ხარჯზე მიაღწია, სადაც აშკარად გამოირჩევა „რანინგბეკი“ **რეჯი ბუში**. ფინალის წინ ექსპერტებს იმედი ჰქონდათ, რომ „ნიუ ორლეანი“ ბრძოლას გაუმართავდა ფავორიტ „ინდიანაპოლისს“ და შარშანდელი სუპერბოულისგან განსხვავებით წლევანდელი მატჩი დაძაბული გამოვიდოდა. 2009 წელს, აშკარა ფავორიტმა „პიტსბურგმა“ მართალია მცირე ანგარიშით, მაგრამ მაინც უპრობლემოდ დაამარცხა „არიზონა“. სხვათა შორის, „პიტსბურგი“ წელს საერთოდ ვერ გავიდა პლეი ოფში.

სუპერბოულს, როგორც ყოველთვის, ბევრი საპატიო სტუმარი ესწრებოდა. ფინალზე არ ყოფილა **დევიდ ბექჰემი**, რომელიც სამი წლის წინ ფლორიდაშივე სტუმრობდა სეზონის მთავარ მატჩს. სამაგიეროდ, ტრიბუნაზე შენიშნავდით დებ **უილიამსებს**, **დემი მურსა** და **ეშტონ კატჩერს**, ოსკაროსან მსახიობ **ჰილარი სუონკს**... მომღერალმა **ქუინ ლატიფამ** ცნობილი პატრიოტული სიმღერა - America, America შეასრულა, ქანთრის მომღერალ **კერი ანდერვუდს** აშშ-ის ჰიმნის შესრულება მიანდეს. ტრიბუნების აღელვება გამოიწვია ტაბლოზე ავღანეთიდან ჩართვამ, სადაც ამერიკელი ჯარისკაცები ასევე უყურებდნენ სუპერბოულს.

რაც შეეხება უშუალოდ შეხვედრას, გადამწყვეტი მომენტი მაშინ დადგა, როცა „საინტსი“ 24:17 იყო დაწინაურებული. „კოლტსის“ ლიდერი, ლეგენდარული კვოტერბეკი **პეიტონ მენინგი** გადაცემის შესრულებისას შეცდა. ფინალური მეოთხედის დასრულებამდე სამი წუთით ადრე „საინტსის“ კორნერბეკმა **ტრეისი პორტერმა** მენინგის პასი ჩაჭრა, ტაჩდაუნი შეიტანა და საბოლოო ანგარიში დააფიქსირა.

მატჩის უძვირფასეს მოთამაშედ „ნიუ ორლეანის“ კვოტერბეკი **დრიუ ბრისი** დასახელდა, რომელმაც 32 წარმატებულ პასს მოუყარა თავი. ბრისმა ამ მაჩვენებლით წინა რეკორდი გაიმეორა.

## ვანკუვერი 2010

### ირანელი ქალი თხილამურებზე დადგება

**მარიან კალჰორი** პირველი ირანელი ქალია, ვინც ოლიმპიურ თამაშებში მიიღებს მონაწილეობას. მან კვალიფიკაცია გაიარა სლალომსა და გიგანტურ სლალომში. ამასთან, კალჰორი ისლამური ტრადიციების სრული დაცვით იასპარეზებს.

ირანის ოლიმპიურ ნაკრებში ასევე სამი მამაკაცი შედის: **პურია** და **ჰუსეინ სავეჰ-შემშაკები** სამთო-სათხილამურო სპორტში მოსინჯავენ ძალებს, **სიედ ჯაფარ სიედი** კი თხილამურებით რბოლაში გამოვა.

*„ირანში სათხილამურო სპორტი აღმავლობის გზაზეა. ჩვენ ბოლო ხუთი წლის განმავლობაში 40 საერთაშორისო სტარტი ჩავატარეთ.*

*ოლიმპიურ თამაშებზე პირველად იქნება წარმოდგენილი ერთბაშად ოთხი ირანელი სპორტსმენი, რაც ძალიან საამაყოა ჩვენთვის“*, - ამბობს ირანის სათხილამურო სპორტის ფედერაციის პრეზიდენტი **ისა სავეჰ-შემშაკი**.

### ოლიმპიადა წამგებიანი იქნება

კანადის მცხოვრებელთა დიდი ნაწილი დარწმუნებულია, რომ ვანკუვერის ზამთრის თამაშები ფინანსურ მოგებას ვერ მოიტანს. ასეთი დასკვნა გააკეთა სააგენტო Press-Harris-Decima-მ დაახლოებით ათასი კანადელის გამოკითხვის შემდეგ.

რესპონდენტთა 84 პროცენტს არ სჯერა, რომ ოლიმპიადა მომგებიანი იქნება. მხოლოდ 3 პროცენტს მიაჩნია, რომ ზამთრის თამაშები ფინანსურ წარმატებას მოიტანს. ამასთან, პესიმისტთა უდიდესი ნაწილი - 90 პროცენტზე მეტი, პროვინცია ბრიტანეთის კოლუმბიაში ცხოვრობს, სადაც ოლიმპიადის დედაქალაქია განთავსებული.

კანადაში ზამთრის წინა თამაშებმა (1988 წელს კალგარიში) ორგანიზატორებს სოლიდური მოგება მოუტანა. მაგრამ ახლა კანადელებს მიაჩნიათ, რომ ასეთი შედეგის გამეორება არარეალურია, რადგან ვანკუვერის ოლიმპიადის ორგანიზებაზე ასტრონომიული თანხა - 6.5 მილიარდი დოლარი დაიხარჯა.

Press-Harris-Decima-ს გამოკითხვა მომავალ თამაშებზე კანადელი გულშემატკივრების პრიორიტეტებსაც შეეხო. უმრავლესობამ განაცხადა, რომ მამაკაცთა ჰოკეის ტურნირზე ოქროს მედალი უფრო ღირებული იქნება, ვიდრე მედლების ცხრილში პირველი ადგილი.

### როგე რეიდებს ითხოვს

საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის პრეზიდენტი **ჟაკ როგი** კანადის მთავრობასთან ერთად განიხილავს ვანკუვერის თამაშების მსვლელობისას ოლიმპიურ ობიექტებზე რეიდების განხორციელების შესაძლებლობას. გარდა ამისა, ოლიმპიურ კომიტეტს დოპინგის აღმოჩენის მიზნით სპორტსმენთა ბინებში ჩხრეკის ჩატარება სურს. იმ შემთხვევაში, თუ ქვეყნის მთავრობა ამგვარ მეთოდებს დაუშვებს, დაირღვევა კონსტიტუციური უფლება პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის შესახებ.

ოთხი წლის წინ, ოლიმპიურ სოფელში მსგავსი რეიდების წყალობით წესის დამრღვევი ექვსი ავსტრიელი სპორტსმენი (ბიატლონისტები **ვოლფგანგ პერნერი**, **ვოლფგანგ როტმანი** და მოთხილამურეები **მარტინ ტაუბერი**, **იურგენ პინტერი**, **იოჰანეს ედერი** და **როლანდ დიტჰარტი**) გამოიჭირეს. მათ ნომრებში სისხლის გადასხმის აპარატები აღმოაჩინეს.

### ფორსბერი ვანკუვერში მიდის

შვედეთის ნაკრების ვეტერანი **პეტერ ფორსბერგი** ტრავმის შემდეგ ყინულზე დაბრუნდა და ინტენსიურად ვარჯიშობს შვედურ კლუბ „მოდოს“ შემადგენლობაში. ორგზის ოლიმპიური ჩემპიონი იმედოვნებს, რომ ოლიმპიადას საუკეთესო ფორმაში შეხვდება.

*„ის სულ უფრო და უფრო კარგად გამოიყურება. ფიზიკური ფორმა ოპტიმალურია და ფორსბერგს უკვე აღარ ეშინია ტრავმის მიღების. მოკლედ ყველაფერი კარგად მიდის, თუმცა პეტერმა მოთმინებით უნდა აიტანოს მზადების პროცესი“*, - ამბობს შვედეთის ნაკრების ერთ-ერთი მწვრთნელი.

„ტრე კრუნურის“ რიგებში ერთი ცუდი ამბავიცაა. შესაძლოა, ოლიმპიადის მიღმა დარჩეს „დეტროიტ რედ უინგზის“ ფორვარდი **ტომას ჰოლმსტრიომი**, რომელმაც „ლოს ანჯელესთან“ მატჩში მუხლის მძიმე დაზიანება მიიღო. თავდამსხმელს საბოლოო დიაგნოზს უახლოეს ორ დღეში დაუსვამენ.

გვერდი მოამზადა
გია თვალაბეიშვილმა

## ცხელი ხაზი

**ფეხბურთი**

| | |
|---|---|
| **ინგლისი** | |
| **I ლიგა** | |
| კოლჩესტერი-საუთენდი | 2:0 |
| **იტალია** | |
| **სერია B** | |
| გალიპოლი-გროსეტო | 2:2 |
| **გერმანია** | |
| **II ბუნდესლიგა** | |
| მიუნხენი-ალენი | 0:1 |
| **საფრანგეთი** | |
| **II დივიზიონი** | |
| არლი-კაენი | 0:0 |
| **ჰოლანდია** | |
| **II დივიზიონი** | |
| ექსელსიორი-ვოლენდამი | 4:1 |
| დორდრეხტი-ეინდჰოვენი II | 0:3 |
| ომნივორლდი-ემენი | 3:1 |
| ცვოლე-როსენდაალი | 6:1 |
| მაასტრიხტი-დენ ბოში | 2:2 |
| ტელსტარი-გრააფსხაპი | 0:2 |
| ტოპ ოსი-იგლზი | 0:0 |
| კამბური-ფორტუნა | გადაიდო |
| **ბელგია** | |
| **II დივიზიონი** | |
| ეუპენი-ლომელი | 2:1 |
| **პორტუგალია** | |
| ბელენენსეში-ბრაგა | 1:3 |
| **საბერძნეთი** | |
| **II დივიზიონი** | |
| პიერიკოსი-დოქსა | 2:0 |
| ეთნიკოსი-პანსერაიკოსი | 1:2 |
| **თურქეთი** | |
| **II დივიზიონი** | |
| ალთაი-კარსიაქა | 0:2 |
| **კვიპროსი** | |
| აპეპ-ეთნიკოსი | 1:1 *შეწყდა* |
| **ავსტრალია** | |
| სენტრალი-ნიუკასლი | 3:0 |

**ჰოკეი**

| | |
|---|---|
| **შვედეთი** | |
| ლინჩოპინგი-როგლე | 3:4 |
| მოდო-ბრიუნასი | 4:1 |
| ტიმრა-სიოდერტალე | 1:1 დ.დ. |
| ფერიესტადი-აიკ | 2:3 |
| ფრიოლუნდა-ლულეა | 2:1 |
| ჰვ71-იურგორდენი | 5:3 |

**ჩოგბურთი**

| | |
|---|---|
| **ATP. კოშტა დუ საუპე** | |
| ხიმენო ტრავეო-ვენტურა | 7:6, 6:1 |
| მონტანიესი-გრეული | 6:2, 2:3 *შეწყდა* |
| **ATP. როტერდამი** | |
| სეპი-ბოლი | 6:1, 7:5 |
| ტიპსარევიჩი-ფ. მაიერი | 3:6, 7:6, 6:7 |
| სიოდერლინგი-სერა | 4:6, 6:4, 6:1 |
| რობრედო-ჰაასე | 7:6, 6:4 |
| ზვერევი-სისლინგი | 7:6, 3:6, 5:7 |
| **ATP. სან ხოსე** | |
| სელა-ხირალდო | 7:6, 7:6 |
| ნიემინენი-პოერშკე | 3:6, 6:3, 6:2 |
| **WTA. პარიზი** | |
| ვესნინა-დულგერუ | 6:1, 6:4 |

## TV პროგრამა

**9 თებერვალი. სამშაბათი**

**SPORT 1 (უკრაინა)**

08:30 ჰოკეი. NHL. რეგულარული ჩემპიონატი. დღის მიმოხილვა.
09:28 კალათბურთი. FIBA-ის მიმოხილვა.
09:55 Libero. ანალიტიკური პროგრამა.
10:57 ფეხბურთი. ინგლისის ჩემპიონატი. მანჩესტერ იუნ-პორტსმუთი.
12:40 კალათბურთი. ევროლიგა. TOP16. II ტური. ოლიმპიაკოსი-ხიმკი.
14:20 ფეხბურთი. იტალიის ჩემპიონატი. ლივორნო-იუვენტუსი.
16:05 ფეხბურთი. იტალიის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
17:05 ფეხბურთი. ინგლისის ჩემპიონატი. ბირმინგემი-ვულვზი.
18:50 სავიზიტო ბარათი.
19:10 სპორტინფორმი - ახალი ამბები.
19:20 ფეხბურთი. პრემიერლიგის სამყარო.
19:50 ფეხბურთი. გერმანიის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
20:55 სპორტინფორმი - ახალი ამბები.
21:05 ფეხბურთი. ინგლისის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
22:00 საინფორმაციო-ანალიტიკური პროგრამა.
23:00 სპორტინფორმი - ახალი ამბები.
23:10 კალათბურთი. ევროლიგა. TOP16. II ტურის მიმოხილვა.
23:45 ფეხბურთი. ინგლისის ჩემპიონატი. მანჩესტერ სიტი-ბოლტონი (LIVE).
01:45 ფეხბურთი. ინგლისის ჩემპიონატი. უიგანი-სტოკი.
03:35 ძრავების სამყარო. ტელეჟურნალი.
04:05 ჰოკეი. NHL. რეგულარული ჩემპიონატი. ბაფალო-ბოსტონი (LIVE).
06:45 ფეხბურთი. იტალიის ჩემპიონატი. ფიორენტინა-რომა.

**SPORT 2 (უკრაინა)**

08:15 ფეხბურთი. იტალიის ჩემპიონატი. ინტერი-კალიარი.
10:00 ფეხბურთი. იტალიის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
10:55 ჰოკეი. NHL. რეგულარული ჩემპიონატი. ვაშინგტონი-პიტსბურგი.
12:40 ფეხბურთი. გერმანიის ჩემპიონატი. ვერდერი-ჰერტა.
14:25 კალათბურთი. FIBA-ის მიმოხილვა.
14:50 ფეხბურთი. ინგლისის ჩემპიონატი. ლივერპული-ევერტონი.
16:40 ჩოგბურთი. ATP-ის ტური. მასტერსი. პარიზი. საფრანგეთი.
18:05 Libero. ანალიტიკური პროგრამა.
19:10 კალათბურთი. ევროლიგა. TOP16. II ტური. ოლიმპიაკოსი-ხიმკი.
20:50 ფეხბურთი. იტალიის ჩემპიონატი. ლივორნო-იუვენტუსი.
22:35 სავიზიტო ბარათი.
22:55 ფეხბურთი. გერმანიის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
00:00 ფეხბურთი. ინგლისის ჩემპიონატი. ფულჰემი-ბარნლი (LIVE).
02:00 ფეხბურთი. ინგლისის ჩემპიონატი. მანჩესტერ სიტი-ბოლტონი.
03:45 ფეხბურთი. ინგლისის ჩემპიონატი. უიგანი-სტოკი.
05:30 ჩოგბურთი. ATP-ის ტური. მასტერსი. პარიზი. საფრანგეთი.
06:55 კალათბურთი. ევროლიგა. TOP16. II ტური. ოლიმპიაკოსი-ხიმკი.

**EUROSPORT**

11:35 მულტისპორტი.
11:45 ევროგოლი - საფეხბურთო მიმოხილვა.
12:30 ფეხბურთი. მსოფლიოს ჩემპიონატი 2010. ტელეჟურნალი.
13:00 ტრამპლინიდან ხტომა. მსოფლიოს თასი. HS145. ვილინგენი. გერმანია.
14:00 სათხილამურო რბოლა. მსოფლიოს თასი. ქალები, კაცები. სპრინტი. კენმორი. კანადა.
15:00 ევროგოლი - საფეხბურთო მიმოხილვა.
15:30 ფეხბურთი. მსოფლიოს ჩემპიონატი 2010. მონაწილეთა პრეზენტაცია. ტელეჟურნალი.
16:00 ველოსპორტი. კატარის ტური. III ეტაპი (LIVE).
17:00 ჩოგბურთი. WTA-ის ტური. II დღე. პარიზი. საფრანგეთი (LIVE).
22:00 ევროგოლი - საფეხბურთო მიმოხილვა.
22:10 ფეხბურთი. მსოფლიოს ჩემპიონატი 2010. მონაწილეთა პრეზენტაცია. ტელეჟურნალი.
22:40 ფეხბურთი. მსოფლიოს ჩემპიონატი 2010. ტელეჟურნალი.
23:10 აფროსნობა. ამერიკის თასი. ვალენსია. ესპანეთი.
23:20 პროფესიული კრივი. IBF-ის ვერსია. უმძიმესი წონა. ჯ. აგბეკო (განა)-ი. პერესი (აშშ). აშშ.
00:00 პროფესიული კრივი. WBA-ის ვერსია. ნახევრადმძიმე წონა. ჟ. პასკალი (კანადა)-ა. დიაკონუ (რუმინეთი). კანადა.
02:00 ექსტრემალური სპორტი.
01:15 ავტოსპორტი. დაიტონას 24-საათიანი რბოლა. აშშ.
03:15 ტრამპლინიდან ხტომა. მსოფლიოს თასი. HS145. ვილინგენი. გერმანია.
04:10 აფროსნობა. ამერიკის თასი. ვალენსია. ესპანეთი.
04:20 მულტისპორტი.

## ჰოკეი. NHL. რეგულარული ჩემპიონატი

**მონრეალი-ბოსტონი 0:3**

0:1, 0:0, 0:2

**გოლები:** 0:1 მაკჰუაილი-1 (სავარი-19), 0:2 შტურმი-17 (პ. ბერჟერონი-23, ხარა-26), 0:3 შტურმი-18 (პ. ბერჟერონი-24).

**ვაშინგტონი-პიტსბურგი 5:4 (ო)**

0:2, 2:2, 2:0, 1:0

**გოლები:** 0:1 კროსბი-38, 0:2 კროსბი-39 (მალკინი-40, გოლიგოსკი-20), 1:2 ოვეჩკინი-40 (შულტცი-14), 1:3 ჯ. სტაალი-15 (ტაილერ კენედი-9, კუკი-12), 1:4 ჯ. სტაალი-16 (მალკინი-41), 2:4 ფერი-15 (ბ. მორისონი-21), 3:4 ოვეჩკინი-41 (პოტი-18, ბექსტრიომი-47), 4:4 ოვეჩკინი-42 (ნუბლი-18, ბექსტრიომი-48), 5:4 ნუბლი-21 (ოვეჩკინი-44, მაიკ გრინი-41).

ეროვნული ბიბლიოთეკა

ფორმულა 1. სეზონის წინ

# ვინ მოიგებს 2010 წლის ჩემპიონატს?



ესპანელი ჟურნალისტებისთვის ამ კითხვაზე პასუხი ცხადია - **ფერნანდო ალონსო**. პირველი საზამთრო ტესტები მსოფლიოს ორგზის ჩემპიონის გამარჯვებით დასრულდა. მაგრამ, არც ისე მარტივადაა საქმე...

ფორმულა 1-ის ექსპერტები უკვე მარჩიელობენ მომავალ სეზონისთვის გუნდების ფორმაზე. პირველად ბოლო რამდენიმე წლის განმავლობაში, ეს პროცესი უფრო მარტივი გახდა, რადგან ერთბაშად შვიდმა გუნდმა გაიყვანა ახალი მანქანა ვალენსიის ტრასაზე. ჯერ საქმეში არ გვინახავს ოთხი დებიუტანტი, აგრეთვე „ფორს ინდია" და „რედ ბული". როგორც მინიმუმ ორი გუნდი არ იყენებს 2010 წლისთვის საბაზო კომპონენტებს - „რენო" და „მერსედესი". **როს ბრაუნის** გუნდი მოგვიანებით დაამონტაჟებს წინა ანტიფრთასა და ახალ დიფუზორს.

ახალი რეგლამენტისა და საწვავის დიდი ავზების გამო, ფორმულა 1-ის ახალი ბოლიდები „მტაცებელს" მოგვაგონებს - გრძელი, ასფალტს მიკრული მანქანები ომამდელი „ბუგატის" ასოციაციას იწვევს. საერთო ფონზე მოკრძალებულად მოჩანს „რენოს" R30. თუმცა **რობერტ კუბიცამ** დაგვიდასტურა, რომ მანქანის შიგნით მართლაც არის დაყენებული დიდი ავზი.

დღეისთვის ტესტები ისეთი იშვიათობაა, რომ მას გრან-პრიზე არანაკლები ინტერესით ელიან. ამიტომაც მივიღეთ ერთი პარადოქსი - **ხაიმე ალგერსუარი**, რომელმაც შარშან რვა გრან-პრი ჩაატარა, კარიერაში პირველად მონაწილეობს სრულფასოვან ტესტებში.

ცნობილია, რომ წინასასეზონო ტესტები ორგვარ მოსაზრებას ბადებს: სპეციალისტთა ერთი ნაწილი ვარჯიშის შედეგებს სკეპტიციზმით აფასებს, მეორენი კი ამტკიცებენ, რომ ტესტებისას პილოტები და გუნდების წარმომადგენლები ასე თუ ისე რეალურად გვიჩვენებენ მათი ბოლიდების ნამდვილ ძალას. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, თუ **ჰემილტონი** „მაკლარენიდან" გალიმებული გადმოვიდა, ხოლო რობერტ კუბიცამ იმის მტკიცება დაიწყო, რომ მისი „რენოს" დაბალი სიჩქარე სავსე ავზით იყო გამოწვეული, შეიძლება ვივარაუდოთ, რომ „მაკლარენს" ყველაფერი კარგად აქვს, „რენოს" - არც ისე.

გასულ წელს მეორე ჯგუფის სპეციალისტთა ვარაუდი გამართლდა: „ბრაუნების" სისწრაფე მაშინვე შეამჩნიეს, ისევე როგორც, „ფერარის" და „მაკლარენის" პრობლემები. თუ ამ ჭრილში განვიხილავთ, 2010 წლის სეზონი ძალიან დაძაბული და საინტერესო უნდა გამოვიდეს: ჰემილტონი ღიმილს ვერ იკავებს; **შუმახერი** ისე დაქრის, თითქოს არც წასულა დიდი სპორტიდან (და ეს იმ დროს, როცა მისი „მერსედესისთვის" ჯერ არ დაუყენებიათ ახალი ფრთა და დიფუზორი); ალონსო ტესტებზე საუკეთესო დროს აჩვენებს და აღფრთოვანებაში მოჰყავს 30 ათასი მაყურებელი.

ნიშნავს თუ არა ეს იმას, რომ „მაკლარენი", „მერსედესი" და „ფერარი" კონსტრუქტორთა თასისთვის იბრძოლებენ? რატომაც არა. მათთან ახლოს შეიძლება დავაყენოთ „ტორო როსო" - **ბუემიმ** და ალგერსუარიმ ტესტებზე საკმაოდ კონკურენტუნარიანი დრო აჩვენეს. მართალია, წელს ამ გუნდმა დამოუკიდებლად შექმნა ბოლიდი, მაგრამ მის საფუძველში **ადრიან ნიუის** წარმატებული კონსტრუქცია ძევს.

რა თქმა უნდა, ვალენსიის ტესტებისას ყურადღება მიიპყრო **პეტერ ზაუბერის** გუნდმა. ფორმალურად ამ საჯინიბოს „BMW-ზაუბერი" ჰქვია, მაგრამ ის „ფერარის" ძრავებით მარაგდება. მოკლედ, **პედრო დე ლა როსას** „ზაუბერი" საკმაოდ მაღალ სიჩქარეს აჩვენებდა და რაც მთავარია, მისი სისწრაფე სხვა პილოტებმაც დაადასტურეს.

ფორმულა 1-ში ხშირად ყოფილა შემთხვევა, როცა პატარა გუნდები მცირე რაოდენობის საწვავის ხარჯზე სწრაფი წრეებით იქცევდნენ ყურადღებას. გასულ წელს სწორედ ასეთი აზრი გავრცელდა „ბრაუნის" შესახებ, მაგრამ მოტყუვდნენ. „ზაუბერის" შემთხვევაში კი საპირისპირო ფაქტთან გვაქვს საქმე - დე ლა როსასა და **კობაიაშის** მანქანები სწრაფები არიან, მაგრამ არა იმდენად, რომ მათი მომავალი ჰეგემონია ვიწინასწარმეტყველოთ. ეს კი იმას ნიშნავს, რომ ცარიელი ავზების ვერსია სიმართლეს წააგავს.

პირველი ტესტების დროს საინტერესო იყო „უილიამსზე" დაკვირვება. ამ გუნდის ახალბედა **ნიკო ჰიულკენბერგი** სეზონში პირველი ავარიის ავტორი (დე ლა როსა დაზარალდა) გახდა, მაგრამ **ფრენკ უილიამსის** გუნდისთვის დაკვირვება პირველ რიგში, „კოსუორტის" ძრავის გამო იყო საინტერესო.

როგორც ცნობილია, ეს კომპანია ავტოსპორტის საერთაშორისო ფედერაციის ყოფილი ჩინოვნიკების მხრიდან განსაკუთრებული სიმპათიით გამოირჩეოდა. ახალი გუნდის შექმნაზე ტენდერი იმ საჯინიბოებმა მოიგეს, რომლებმაც თავიანთი მომავალი სწორედ „კოსუორტს" დაუკავშირეს. **ბარიკელოსა** და ჰიულკენბერგის პირველი ტესტების შემდეგ „უილიამსის" ბოლიდი არც ისე შთამბეჭდავად გამოიყურებოდა - ყოველ შემთხვევაში იმავე „ზაუბერის" ფონზე. ჯერჯერობით გასარკვევია, რამდენად უკავშირდება ეს ჩავარდნა „კოსუორტის" ძრავის სიმძლავრეს...











ავტოსპორტი




# პიკემ ქალთან წააგო

შაბათს, ფორმულა 1-ის ყოფილ პილოტ **ნელსინიო პიკესა** და ინდიკარის ვარსკვლავ **დანიკა პატრიკს** დებიუტი ჰქონდათ ARCA-ის ამერიკულ ჩემპიონატში, სადაც ისეთივე მანქანებით გამოდიან, როგორებიც ნასკარის სერიაში.

ბრაზილიელისთვის რბოლა წარუმატებლად წარიმართა: ის რამდენიმე ავარიაში მოყვა, მათ შორის რბოლის ბოლო ნაწილში, როცა კონტრაქტი იყო მის „ტოიოტასა" და პატრიკის „შევროლეს" შორის. საბოლოოდ, პიკემ ფინიშს ვერ მიაღწია, თუმცა 27-ე ადგილი დაიკავა.

სამაგიეროდ, დანიკა პატრიკმა დამაჯერებლად განვლო დისტანცია და მრავალი ავარიის მიუხედავად, საკმაოდ მაღალი - მეექვსე ადგილი დაიკავა.

*„მანქანამ" კარგი შთაბეჭდილება დატოვა, - განაცხადა პატრიკმა რბოლის შემდეგ. - რამდენჯერმე მოვხვდი ავარიაში, რის გამოც ჩემი „შევროლე" ფინიშზე არც ისე შთამბეჭდავად გამოიყურებოდა, მაგრამ საერთო ჯამში ყველაფერმა კარგად ჩაიარა".*

სავარაუდოდ, ერთი კვირის შემდეგ დანიკა პატრიკი ისევ აილებს სტარტს დაიტონის ტრასაზე, მაგრამ უფრო პრესტიჟულ Nationwide-ის სერიაში, რომელიც ნასკარის „ქვედა" დივიზიონად ითვლება.

გვერდი მოამზადა
**გია თვალაბეიშვილმა**